WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№50 (234) ● 12-18.XII.2012 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## ირინე გოგოლაშვილი:

### `TV-9~-ს ყოფილო თანამშრომლებო, თქვენ ლუბა ელიაშვილს კი არ გაექეცით, როგორც კი დრო იხელთეთ, ბიძინა ივანიშვილს უღალატეთ, რადგან იქ თავიდანვე საღალატოდ იყავით მისული



## qarTveloba gvacadeT Cvens samSoblosi!



რეპორტაჟი მოძრაობა „ლაზარეს“ დამფუძნებელთა კრებიდან

## ირმა ინაშვილი:



### `nacionaluri moZraoba~, rogorc Tavis droze faSisturi partia, unda aikrZalos!

ვანო მერაბიშვილს ისე რომ იბარებენ დაკითხვაზე, როგორც ერთ-ერთ დამნაშავე პირს და მთელი რიგი დანაშაულობების მოწმეს, ეს, მეტწილად, „ობიექტივის“ დამსახურებაა!

## lagodexSi `beS jamalas~ epoqa grZeldeba



თანამდებობების დააკვება ისევ იმ ადამიანებს სურთ, რომლებიც ლაგოდეხში ჩასულ ბიძინა ივანიშვილს „ხლაპუშკებს“ უფეთქებდნენ ფეხქვეშ?

## vin daWra 124 sazenito qvemexi gia baramiZis ministrobis dros da ratom dums amis Sesaxeb irakli oqruaSvili?







## aris Tu ara danaSauli `nacionaluri moZraobis~ wevroba?

ISSN 2233-3983

# aris Tu ara danaSauli `nacionaluri moZraobis~ wevroba?

ერთ-ერთი რაიონის საკრებულოს 15 „ნაციონალი“ წევრიდან 12 „ქართულ ოცნებაში“ გადმოვიდა. დაახლოებით, იგივე მოხდა მეორე რაიონის საკრებულოშიც, ოღონდ იქ მხოლოდ 9 „ნაციონალი“ გახდა „მეოცნებე“.

კარგი ამბავია, ხომ?

წინიდან რომ შეხედავ, კი, მაგრამ უკნიდან რომ შეავლებ თვალს, — არც ისე...

**საქმე ისაა, რომ ეს პრაგმატული მოსაზრებებით „ოცნებაში“ გადმობარგებული ყოფილი „ნაცები“ იმ ადამიანების ადგილებს იკავებენ, ვინც მართლაც გულწრფელად უჭერდნენ მხარს „ქართულ ოცნებას“, რის გამოც აწ უკვე „მეოცნებეებად“ ქცეული „ნაცები“ ხან ქვებს „ესროდნენ“ და ხან იარაღს უღერებდნენ „ურჯულოებს“.**

თუ ასე გაგრძელდა და ნაციონალების გადმოდინებამ „ქართული ოცნების“ კალაპოტში მასობრივი ხასიათი მიიღო, არ არის გამორიცხული, სახელისუფლებო სტრუქტურებში კვლავ ყოფილი „ნაცები“ დარჩნენ, ხოლო მეოცნებეებს ოცნების უფლებაღა დაუტოვონ.

მორალური და ზნეობრივი თვალსაზრისით, ნამდვილად საჩოთირო და სათაკილო საქციელია.

ჩვენ საკუთარი ხელით ვიყრით თვალში ნაცარს და თავს ნებაყოფლობით მოვისულელებთ ხოლმე, თორემ განა ყველამ შესანიშნავად არ ვიცით, რომ „ნაცმოძრაობის“ ძალადობრივი, მართლაც დანაშაულებრივი რეჟიმი სწორედ მათი ათიათასობით „უცოდველი“ მხარდამჭერისა და აქტივისტის მხრებზე იდგა, რომლებიც სხვაგვარად მოაზროვნეებს ასმენდნენ, აშანტაჟებდნენ, აშინებდნენ, პროვოკაციებს უწყობდნენ.

თუ გულწრფელნი ვიქნებით იმაში, რაც ქვეყანაში ხდებოდა, თავისი დიდი წვლილი საზოგადოების იმ კონფორმისტულ ნაწილს მიუძღვის, რომელიც პირადი გამორჩენის, პირადი კეთილდღეობის მოტივებით მხარს უჭერდა „ნაცმოძრაობას“.

**რაც შეეხება პროფესიონალიზმს, უამრავი შემთხვევა ვიცით, როცა „ნაციონალები“ სწორედ მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს ერეკებოდნენ სამსახურებიდან და მათ ადგილზე უწიგნურ, გაუნათლებელ ადამიანებს ილებდნენ.**



— თუ სხვა არაფერი დაუშავებია ამა თუ იმ ადამიანს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრობა დანაშაული არ არის... ვინც საქმე იცის, ვინც პროფესიონალია, ყველა თავის ადგილზე დარჩება, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის „ნაც. მოძრაობის“ წევრი, — აცხადებენ „ქართული ოცნების“ მესვეურები.

ჩვენი აზრით, არ არის საკითხისადმი ასეთი მიდგომა მთლად ზუსტი და სამართლიანი.

**„ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ არაერთხელ ხაზგასმით თქმულა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი, კრიმინალური ორგანიზაცია იყო.**

**ერთ-ერთი ლიდერი უფრო შორს წავიდა და მას „კალვერას ბანდა“ უწოდა.**

ასეთი ორგანიზაციის წევრობა და მისთვის მხარდაჭერა თავისთავად დანაშაულია, შეიძლება სისხლის სამართლის დანაშაული არა, მაგრამ „ნაციონალების“ საკადრო პოლიტიკა, კადრების შერჩევა პოლიტიკური სანდოობის და ერთგულების მიხედვით ხდებოდა და არა კვალიფიკაციის მიხედვით.

ახლა, როცა ქუჩაში გაყრილი პროფესიონალები უკან დაბრუნებას ითხოვენ, მათ ადგილებზე ნაციონალების მიერ მორეკილი არაპროფესიონალები არიან გამაგრებულნი და მათი იქიდან გამოყვანა შეიძლება ვიღაც-ვიღაცებმა პოლიტიკურ დევნად შეაფასონ.

აი, ამგვარი ტრაგიკომიკური სიტუაციაა დღეს შექმნილი და ამ სიტუაციიდან გამოსავალი არც თუ ისე ადვილი მოსაძებნია.

ერთადერთი გზა, რის შესახებაც „საერთო გაზეთს“ ბევრჯერ დაუწერია, წინა ხელისუფლების ნამოქმედარის ობიექტური და პირუთვნელი პოლიტიკური შეფასებაა.

თუ ეს გაკეთდება, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და მტყუან-მართლის გარჩევაც გაიოლდება.

## ბიძინა ივანიშვილი აზერბაიჯანს სავარაუდოდ, 26 დეკემბერს ეწვევა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აზერბაიჯანს სავარაუდოდ, 26 დეკემბერს ეწვევა. ამის შესახებ ინფორმაციას აზერბაიჯანული სააგენტო “აპა” ავრცელებს.

ეს ივანიშვილისთვის პრემიერის რანგში რიგით მეორე საგარეო ვიზიტი იქნება, პირველად იგი ბრიუსელს ეწვია. ივანიშვილის მესამე ვიზიტი სავარაუდოდ, აშშ-ში შედგება.

## ლუკაშენკო მზადაა დსთ-ში დაბრუნების თხოვნით საქართველოს დაუჩოქოს



ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აპირებს გაიღოს მაქსიმალური ძალისხმევა საქართველოს დსთ-ში დასაბრუნებლად და ამ მიზნის მისაღწევად მზად არის საქართველოს ხელისუფლებას დაუჩოქოს კიდეც.

„1 იანვრიდან ჩვენ (ბელორუსი) დსთ-ს თავმჯდომარე ვხდებით და საქართველოს ველოდებით. მე ჩამოვალ თქვენთან და მუხლებზე დავდგები ოღონდ არა საჯაროდ, თუ გინდათ, საჯაროდაც და გთხოვთ დაბრუნდეთ დსთ-ში“, — მიმართა საქართველოს ხელისუფლებას ლუკაშენკომ მინსკში გამართულ კონფერენციაზე, რომელსაც დსთ-ს წვრი ქვეყნების, ბალტიისპირეთის და საქართველოს მედიასაშუალებების მთავარი რედაქტორები ესწრებოდნენ.

მან აღნიშნა, რომ რუსეთი საქართველოს დსთ-ში დაბრუნებას მიესალმება.

“საჭიროა დაბრუნება და ჩვენ ყველა საკითხზე გამოსავალს მოვძებნით, თუკი, რა თქმა უნდა, ქართველი პოლიტიკოსები ამას მოინდომებენ”, - აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, რომ საქართველომ აღნიშნული გაერთიანება რუსეთთან 2008 წლის ომის შემდეგ დატოვა. საქართველოს ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ქვეყნის დსთ-ში შესაძლო დაბრუნების საკითხი არ განიხილება.

## ექსპერტები სახელმწიფოს მხოლოდ სოციალურად დაუცველთა და უმუშევართა დაზღვევას ურჩევენ




ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უმჯობესი იქნება, სახელმწიფომ მხოლოდ უმუშევართა და სოციალურად დაუცველთა ფენები დააფინანსოს. ამის შესახებ ანგარიშში — “საქართველოს 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის ანალიზი და რეკომენდაციები” — არის ნათქვამი, რომლის პრეზენტაციაც დღეს თბილისში, სასტუმრო “რედისონ ბლუ ივერიაში” გაიმართა.

ორგანიზაციის ექსპერტების მოსაზრებით, საქართველოს ყველა მოქალაქისათვის საბაზო სამედიცინო დაზღვევის უზრუნველყოფის ნაცვლად, მიზანშეწონილია, ბენეფიციართა რაოდენობის ზუსტი იდენტიფიცირება საჭიროებების მიხედვით მოხდეს.

“მოსახლეობის გარკვეული კატეგორიისათვის, რომელთა შემოსავალი ქვეყანაში არსებულ საარსებო მინიმუმს რამდენჯერმე აღემატება, სამედიცინო დაზღვევის გადახდა საკუთარი სახსრებიდან უნდა გახდეს სავალდებულო. დანარჩენ კატეგორიას კი, რომელთა შემოსავალი საკმაოდ დაბალია ანდა მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამედიცინო პაკეტის ღირებულების გადახდა. ეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების ეფექტურ ხარჯვას უზრუნველყოფს”, — ნათქვამია ანგარიშში.

ამავე კვლევის თანახმად, უმჯობესია, სახელმწიფომ ბავშვებში ქრონიკული დაავადებების პრევენციაზე იზრუნოს, ვიდრე ტოტალური დაზღვევა მოახდინოს.

ცნობისათვის: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა ზემოთ ხსენებული კვლევა ფონდ “ღია საზოგადოება-საქართველოს” მხარდაჭერით ჩაატარა.

`medianiusi~

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

**„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში (№49) გამოქვეყნებულმა სკანდალურმა წერილმა „ტვ-9 არხიდან ნაციონალების აგენტურა გარბის“ არხის ყოფილი ხელმძღვანელის და ტელევიზიის სხვა ყოფილი თანაშრომლების გულისწყრომა გამოიწვია. ამ თემასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ტელეარხზე ერთდროულად გავიდა რამდენიმე სატელევიზიო სიუჟეტი, სადაც „ტვ-9“-ის ყოფილი თანამშრომლების მხრიდან „საერთო გაზეთისა“ და ჟურნალისტ ირინე გოგოსაშვილის მისამართით უარყოფითი კომენტარები გაკეთდა.**

**გთავაზობთ ჟურნალისტ ირინა გოგოსაშვილის რეპლიკას.**

# `Tqven luba eliaSvils ki ar gaeqeciT, rogorc ki dro ixelTeT, biZina ivaniSvils uRalateT, radgan TV-9-ze Tavidanve saRalatod iyaviT misuli~

მე-9 არხიდან გაქცეული „ნაცების“ აგენტურა გვიჩივის! გვიჩივის, ე.ი. ომს გვიცხადებს, ხომ? კეთილი და პატიოსანი, ძვირფასო თამარ, ძვირფასო კახაბერ და დანარჩენო „ძვირფასნო“, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ომებს იგებს ის, ვისაც კარგი „შეიარაღება“ აქვს. ჩემი მთავარი იარაღი თქვენ წინააღმდეგ ის დოკუმენტები იქნება, რომელსაც მომდევნო ნომრიდან შემოგთავაზებთ.

განსაკუთრებით კახა ბექაური იქადნება — ამას ვიზამ და იმას ვიზამო...

ეხ, ბექაურო, ბექაურო, ზუსტად შენზე უთქვამთ: „ქათამმა თხარა, თხარა და თავისი დასაკლავი დანა გამოთხარაო“, თორემ, სხვა მხრივ, აბა, რა გათქმევინებდა: „საერთო გაზეთმა“ და მისმა ჟურნალისტმა მიზანმიმართული კამპანია გააჩაღაო? არა, თან რომ იქადნები — მე ამ საქმეს გავასაჯაროებ და ასე არ დავტოვებო. ვიდრე „შემაშინებდე“, ერთი, უცბად, ის „გამისაჯაროვე“, რამდენი მილიონი ლარის „მოტეხვას“ გედავებოდა კონტროლის პალატა I არხზე მუშაობის დროს და რა „ჯადოსნობით“ არ დაგიჭირათ მიშამ მაშინ შენ და ზაზა შენგელია? ახლაც გეკითხები და საჯარო დისკუსიაშიც თამამად მოგიყვები — ანალოგიური ბრალდებებით სააკაშვილმა, შენგან განსხვავებით, შევარდნაძის სხვა ჩინოვნიკები რატომ დააპატიმრა და შენ რატომ დაგინდო?

თქვენი „მედიაექსპერტი“ კორძაია რომ გვმოძღვრავს — სტატიაში მოყვანილი ფაქტები დამახინჯებულიაო, რომელი ფაქტი დავამახინჯე? ის, რომ შენ თავის დროზე I არხზე როგორც ამბობენ, ფულებს „ტეხავდი“, თამარ რუხაძე თბილისში, სანაპიროზე რომ ავტოავარია შეემთხვა, თუ ის, თქვენი „კონსილიუმის“ მთავარი პერსონა, ასევე ერთ-ერთი მთავარი პერსონა რომ გახლდათ ზურაბ ჟვანიას ბურუსით მოსილ „აიროვან“ სპეცოპერაციაში?

მე მოვიგონე ეს ბრალდებები? მე აღვძარი სისხლის სამართლის საქმეები თუ სააკაშვილის ხელისუფლებამ?!

რა მაგის პასუხია და ისიც მაინტერესებს, ბექაურო, შენი შვილი, რომელზეც ასევე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საზღვარზე ისე როგორ გადააპარე, ვანომ და მიშამ რომ ვერ „შენიშნეს?“

თავშიც გითხარით და ახლაც გიმეორებთ: „ომი გწყურიათ?“ კი, ბატონო, ვიღებ გამოწვევას, მაგრამ თქვენს ადგილზე მე თავს შევიკავებდი, რადგან რუსების ერთი გამოთქმისა არ იყოს — „ვოინა ეტო ხუ...ნა, გლავნოე მანიოვრი“ და რა იცით თქვენ რა მანევრები შემიძლია მე?

ისე, ისიც ძალიან მაინტერესებს (და თქვენს ადგილზე მთავარი საფიქრალი ეს მექნებოდა), ამ „ცამოწმენდილზე“ არხის მფლობელმა გენდირექტორის შეცვლა რატომ გადაწყვიტა და უკვე განთავისუფლებულ დირექტორს რატომ დაედევნენ უკან ჟურნალისტები, პროდიუსერები და წამყვანი — მათთვის ხომ არავის უთქვამს, წადითო?

რაც შეეხება თამარ რუხაძეს და მის ასევე უსაფუძვლო ბრალდებას — ჩვენი მისამართით „მიზანმიმართული კამპანია“ დაიწყო ჟურნალისტმა და მისმა გაზეთმაო, განვიმარტავთ და მოგახსენებთ, რომ თამარ რუხაძის მიერ ჩადენილ ავტოავარიას თავად ქალბატონი თამარი არ უარყოფს, მაგრამ აღნიშნულ სტატიაში მე მის სიმთვრალე-სიფხიზლეზე ასეთი ფრაზა მაქვს დაწერილი: „როგორც მაშინ გავრცელებული ინფორმაციით შევიტყვეთ, ქალბატონი რუხაძე საჭეს ნასვამი მართავდა-თქო“! „გავრცელებული ინფორმაციების“ წყარო კი, როგორც ყოველთვის, ქართული მედიასაშუალებები იყვნენ და მაშინ, როცა „ნაცების“ გაზეთმა „24 საათმა“, თუ არ ვცდები „პრაიმ თაიმმა“ და სხვა დანარჩენმა გაზეთებმაც დაბეჭდეს: თამარ რუხაძე საჭეს ნასვამი მართავდაო! რატომ მაშინ არ გაუჩნდა ჩივილის სურვილი ქალბატონ რუხაძეს?

მინდა ცნობისთვის ისიც შეგახსენოთ, რომ ჟურნალისტის მთავარ მოვალეობაა ფაქტების კონსტატაცია და შეკითხვების დროული დასმაა! სწორედ აქედან ამოვედი მეც და ჩემს სტატიაში წარსულში მომხდარი ფაქტების კონსტატაცია გავაკეთე, დავსვი შეკითხვები და აქვე, ლოგიკურად, ისიც ვიკითხე — ეს ხალხი სააკაშვილის ხელისუფლებამ, სხვებისგან განსხვავებით, ნეტავ, რატომ არ დასაჯა-თქო?

„ძვირფასო კოლეგებო“, ვასილ, თამარ და კახაბერ! თქვენ რომ გონიერება გყოფნიდეთ, ახლა „ღირსების“ დაცვაზე კი არა, იმაზე დაფიქრდებოდით ძალიან გაბრაზებულმა გოგოსაშვილმა რა დოკუმენტები შეიძლება აგვიფრიალოს ცხვირწინო? გუშინწინდელ ჩემს ინტერვიუშიც გითხარით — ძალიან ნუ გამაბრაზებთ-თქო და მას აქეთ ორი დღეა უკვე, რომ გავბრაზდი და რა ვქნა ახლა — ბექაურით დავიწყო, მაღლაფერიძით თუ რუსაძით? ვფიქრობ, ბექაურით დავიწყებ და, როგორც I არხის მაშინდელმა ჟურნალისტმა თამარ მოლაშვილმა, მეც წარვადგენ ფაქტებს სასამართლოს წინაშე, თუ რა საქმეებს სჩადიოდა ფინანსური დირექტორი აღნიშნულ ტელევიზიაში მაშინ და შემდეგ კი დანარჩენებზეც გადავალ...

თქვენ ლუბა ელიაშვილს კი არ გაექეცით, როგორც კი დრო იხელთეთ, ბიძინა ივანიშვილს უღალატეთ, რადგან TV-9-ზე თავიდანვე საღალატოდ იყავით მისული.

ჰო, იცით, კიდევ რა გამახსენდა? როცა მე-9 არხის გადამღები ჯგუფი სახლში ინტერვიუს ჩასაწერად მესტუმრა, ოპერატორი ბიჭი ეგრევე ამოვიცანი, მაგრამ გავყუჩდი... შემდეგ საუბარში თავად ოპერატორმა გაიხსენა ჩემი დაპატიმრების ისტორია ფოთის ხიდზე და, იცით, რა მითხრა? „ქალბატონო ირინა, ხომ გახსოვთ, „იმედზე“ ვმუშაობდი მაშინ, ჩვენი ჟურნალისტებიც იქ იყვნენ და იცით, ვინ დარეკა „ნაცების“ შტაბში და ვინ „ჩაგიშვათ“? იმ ბიჭმა კონკრეტული სახელი და გვარი მითხრა „ჩამშვების“ (ეჰ, ნამუსი ვაიღუნო, ძღაბი?)

მერწმუნეთ, მარტო ამის გამო ღირდა „მე-9 არხის“ სტუმრობა ჩემს ოჯახში, რადგან კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იესოს სიტყვების ჭეშმარიტებაში — „არა არს დაფარულიო“. ამით კი იმის თქმაც მინდა, რომ თქვენს დაფარულ საქმიანობასაც მალე მოეფინება ნათელი უფლისა და სიმართლის სასარგებლოდ, კახავ, თამარ და ვასილ!

აბა, სულ ბედნიერად მეყოლეთ და მომავალ შეხვედრამდე სა-სა-მარ-თლო-ში!

პაკააა!

**პატივისცემით,**
**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S. გავრცელდა ინფორმაცია, რომ TV-9-ში ფინანსური აუდიტი შევიდა.**






**კახა ბექაური: მეცხრე არხისთვის მიცემული ჩემი კომენტარი, რომელიც ეთერში არ გავიდა:**

**„საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული სტატია არის იმ ბინძური კამპანიის გაგრძელება, რომელიც წამოიწყო “ყველაფრისმცოდნე”, უვიცმა ექსპერტმა, გია ხუხაშვილმა. ხუხაშვილმა ჯერ ტელეკომპანია “მაესტროს” პრეს-კლუბში მეცხრე არხის მენეჯმენტის ცვლილება ამ არხის ურეიტინგობას დაუკავშირა. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში გამოქვეყნდა IRI-ს კვლევის შედეგები, სადაც ტელეკომპანიის გავრცელების არეალის გათვალისწინებით, მეცხრე არხი, ყურებადობით და სანდოობით პირველ ადგილზეა. ბუნებრივია, მეცხრე არხის ხუხაშვილისეული ურეიტინგობა არც საზოგადოებამ მიიღო და კვლევამაც საწინააღმდეგო დაადასტურა. ამიტომ საჭირო გახდა ბინძური კამპანიის მიმართულების შეცვლა და მეცხრე არხიდან წასული თანამშრომლების “ნაციონალური მოძრაობის” აგენტებად გამოცხადება. ლუბა ელიაშვილი “კვირის პალიტრასთან” ასევე გამოთქვამს ეჭვებს მიმდინარე ფინანსური აუდიტის შედეგად, მომავალში გამოვლენილ შესაძლო დარღვევების შესახებ. როდესაც ორგანიზაციაში ხელმძღვანელობა იცვლება, გადაბარების პროცესში, ბუნებრივია ფინანსური აუდიტის ჩატარება, მაგრამ არაბუნებრივია, როდესაც დღევანდელი დირექტორი, ფინანსური აუდიტის დამთავრებამდე, საჯაროდ, შესაძლო დარღვევების შესახებ ეჭვებს გამოთქვამს. ეს არის ბინძური კამპანია, რომელსაც ხუხაშვილი და ელიაშვილი საჯაროდ აწარმოებენ. მე არ ვიცი რა მოტივები ამოძრავებთ მათ, ვის წისქვილზე ასხამენ წყალს, მაგრამ მე მზად ვარ საჯაროდ ვუპასუხო ყველა ამ “ბრალდებას”, მათ შორის საჯაროდ გავარჩიო, ქალბატონ ლუბასთან ერთად, ნებისმიერი აუდიტორის მიერ გაკეთებული ფინანსური დასკვნა და მისი ეჭვების არ დადასტურების შემთხვევაში, საჯაროდ აღიარონ საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების დეფიციტი.**



## საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ირაკლი ალასანიას

# vin daWra 124 sazenito qvemexi gia baramiZis ministrobis dros da ratom dums amis Sesaxeb irakli oqruaSvili?

**ირაკლი ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრად რომ დაინიშნა, ცოტა ხანში განცხადება გააკეთა, ჩემი წინამორბედი, ანუ გიორგი ბარამიძე, დასაჭერიაო. ბარამიძეს, ალბათ, დაიჭერდნენ კიდეც, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მატროსოვივით რომ არ გადაფარებოდა. ვფიქრობთ, ის ფაქტი, რომელზეც დღეს გვინდა გიამბოთ, გარკვეულწილად, უკავშირდება ოქრუაშვილის ამ სკანდალურ განცხადებას, თუმცა შემდეგ ყველაფერი მიაჩუმათეს. საქმე ეხება თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში 124 საზენიტო ქვემეხის უვარგისად გამოცხადებას და დაჭრას.**

**ალნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს“ ყოფილი სამხედრო პირი, არტილერისტი, მაიორი შოთა გელაძე ესაუბრა.**

ირაკლი ოქრუაშვილის შს მინისტრობის დროს ჩვენი რესპონდენტი შინაგანი ჯარების ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ბრიგადის მეთაურის მოადგილე იყო შეიარაღების დარგში. მისი განცხადებით, ოქრუაშვილს პროფესიონალების მიმართ დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა, როცა ყველა ასეთი ადამიანი სამსახურიდან გაყარეს და ის ხალხი მოიყვანეს, რომლებიც წესდებას და შინაგანაწესს კი არა, ზემოდან წამოსულ ბრძანებებს ემორჩილებოდნენ. პროფესიონალები იმიტომაც გაყარეს, რომ ისინი ბრმად არ შეასრულებდნენ აბსურდულ მითითებებს, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც იტყოდნენ, რისი გაკეთება შეიძლებოდა და რისი არა.



ახლა კი უშუალოდ მომხდარი ფაქტის შესახებ. კახეთის რეგიონში, დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ნაწილში 124 ცალი 100 მმ-იანი საზენიტო ქვემეხი დაჭრეს, ჯართად ჩასაბარებლად გაამზადეს. თითოეული ქვემეხის წონა, დაახლოებით, 9,5 ტონა იყო. შოთა გელაძის განცხადებით, ეს ქვემეხები გია ბარამიძის თავდაცვის მინისტრობის პერიოდში დაიჭრა.

**შოთა გელაძე**: „ეტყობა, ამ ფაქტის შესახებ ოქრუაშვილმა მიიღო ინფორმაცია და ერთი ამბავი ატეხა. ეს ხდება 2004 წლის დეკემბერში. გამოიძახა სპეცრაზმი, ადგილზე ჩავფრინდით სამი არტილერისტიც. თავიდან როცა დამიბარეს, არც ვიცოდი, რა უნდოდათ, სასწრაფოდ წამიყვანეს აეროპორტში და კახეთში ვერტმფრენით გადაგვაფრინეს. ადგილზე ჩასული რას ვხედავ, ეს ქვემეხები როგორც იდგა, ისევე დაეჭრათ. ქვემეხი როცა შენახვაზე დგას, მას ტექნიკური მომსახურება უტარდება, ლულაშიც სპეციფიკური ქაღალდი იდება. ეს ქაღალდი არც კი ამოეღოთ, ისე იყო დაჭრილი. მხოლოდ ექვსი ცალი ქვემეხილა იყო გადარჩენილი. ამ სამხედრო ნაწილში ყველა დააპატიმრეს, მათ შორის ტრაქტორისტები და შემდუღებლებიც კი და თბილისში წამოიყვანეს. დაინიშნა მცირე თათბირი „მოდულის“ შენობაში, რომელსაც იმ მხარის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებსაც ქვემეხები გადასცეს. მათ ვითომ სპეციალისტები ჰყავდათ მოწვეული, რომლებიც ამტკიცებდნენ, ეს ქვემეხები უვარგისი იყო და უნდა დაჭრილიყოო. ამ ე.წ. სპეციალისტებიდან ზოგს ტექნიკური უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, ზოგს კიდევ რა. მოკლედ, არც ერთი არ იყო პროფესიონალი სპეციალისტი. მეორე მხარეს წარმოვადგენდით მე, გენერალი ემზარ ჭოჭუა და პოლკოვნიკი გივი ჯმუხაძე, ყველა პროფესიონალი არტილერისტი.

მე ქალაქ ტულის უმაღლესი სამხედრო საინჟინრო-საარტილერიო სასწავლებელი მაქვს დამთავრებული, სპეციალობით საარტილერიო შეიარაღების ინჟინერ-მექანიკოსი ვარ. ასეთი სასწავლებელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სულ ორი იყო. მეორე მხარეს ავუხსენი რა განათლებაც მქონდა და განვაცხადე, მე არაფერს გიმტკიცებთ, ხომ ამბობთ, რომ ქვემეხები უვარგისი იყო, ერთი კვირა დამჭირდება, ამ ქვემეხებს (უსასყიდლოდ) ჩავუტარო ტექნიკური მომზადება, გავიყვან პოლიგონზე და გაისვრიან, მაშინ ხომ დარწმუნდებით, რომ ვარგისია-თქო. ეს იყო რუსული წარმოების ქვემეხები, რომელსაც დისტანციური ამფეთქებელი ჰქონდა, რამდენ კილომეტრზეც დააყენებდი ამ ამფეთქებელს, იმდენ კმ-ს რომ გასცდებოდა, იქ ფეთქდებოდა. ჩვენ რა თავდაცვის სისტემებიც გვქონდა, დ-30 იყო თუ „გრადი“, იმაზე შორს ისროდა ეს ქვემეხები. 2004 წლის ცხინვალის მოვლენების დროს ეს ქვემეხები რომ გამოეყენებინათ, ისე სამარცხვინოდ არ დამთავრდებოდა ის „შტურმი“.

შევთანხმდით ჩემს შეთავაზებაზე, მომცეს სამხედრო ავტომანქანები, ჩავუბი და ჩამოვიყვანე გადარჩენილი ქვემეხები შინაგანი ჯარის ტერიტორიაზე, ჩავუტარე ტექნიკური მომსახურება, გავიყვანეთ ვაზიანის პოლიგონზე, დავაყენეთ სამიზნეები და ჩავატარეთ ღამის სროლები. დამტკიცდა, რომ ყველა ქვემეხი ვარგისი იყო. სხვათა შორის, ამ ყველაფერს ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ და იღებდნენ. შინაგანი ჯარების მაშინდელ პრესსამსახურის უფროს ნინო მელაძეს ექნება ეს ჩანაწერები. სხვათა შორის, გივი თარგამაძეც ესწრებოდა გამოცდას, რომელმაც მკითხა — ეს ქვემეხები მართლა გაისვრისო, ვუპასუხე, ესენი კი გაისვრის, მაგრამ მე დამიჯერენთქო და ასეც მოხდა.

**- ვინ დაჭრა ეს ქვემეხები და თქვენ რატომ დაგიჭირეს?**

- რამდენადაც ვიცი, ნიკო ლეკიშვილის ძმის ფირმამ დაჭრა, ზუსტად არ მახსოვს ამ ფირმის სახელი, მგონი „დელტა“ ერქვა. გარდა ქვემეხებისა, იქ იყო დენთი და მილიონობით ცალი 100 მმ-იანი ქვემეხის ჭურვები, რომელსაც „ლატუნის“ (თითბერი) ჰილზები (მასრები) ჰქონდა, ეს ლითონი კი სერიოზული თანხა ღირს. სად წავიდა ეს ყველაფერი, რაში გამოიყენეს, ან ვინ დაადგინა, რომ უვარგისი იყო, ვერ გავარკვიე, რადგან საქმე აქამდე აღარ მისულა. თავდაცვის სამინისტროში როცა ვმსახურობდი, იმ პერიოდში ტექნიკა იქნებოდა თუ სხვა რამ, ჩამოიწერებოდა (მაშინ ტენდერები არ იყო, მაგრამ იყო შესყიდვები), მოდიოდა კონკრეტული პირი და გვთავაზობდა, მე შევისყიდიო. სამწუხაროდ, იმ პერიოდში, როცა ეს გადაცემა-დაჭრა მოხდა, მე უკვე აღარ ვმუშაობდი თავდაცვის სამინისტროში, ამიტომ არ ვიცი, როგორ ჩატარდა ეს ოპერაცია, ინფორმაციაზე ხელი არ მიმიწვდებოდა. როგორც ჩანს, ვიღაცამ ჩამოწერა და ლეკიშვილის ძმის ფირმას გადასცა, მაგრამ არ ვიცი, ვინ ჩამოწერა და რატომ. სხვათა შორის, რამდენიმე წელი ზუსტად იმ სამსახურში ვმუშაობდი, რომელსაც ეს ყველაფერი ექვემდებარებოდა.

სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით თქვა ოქრუაშვილმა, ბარამიძე დასაჭერიაო, მაგრამ ჩემს მეტი არავინ დაუჭერიათ. 2005 წლის 19 იანვარს დამაკავეს და მაშინ გავიგე, რომ თურმე კაი ხნის ძებნილი ვყოფილვარ, თურმე ძებნილი პირი სამხედრო ნაწილის მეთაურის მოადგილე ვიყავი და 2004 წლის დეკემბერში სახელმწიფო ჯილდოზეც ვიყავი წარდგენილი.

რატომ დამიჭირეს, ამის გარკვევა მეც ძალიან მაინტერესებს. ყველაფერს ქვემეხების დაჭრის ფაქტს ვუკავშირებ. ალბათ, სიმართლის გარკვევა არ აწყობდათ და იმიტომ მომიშორეს, თორემ მე არაფერი დამიშავებია. დამიჭირა დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურამ, რა შუაში იყო ეს უწყება, როცა მე ისანი-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე ვცხოვრობ. ჯერ ქრთამის აღებას მაბრალებდნენ, მოიყვანეს ვიღაც ჯარისკაცები, თითქოს მათ ფული გამოვართვი, და რამდენჯერმე შეაცვლევინეს ჩვენება. ჩემ ადვოკატს ამ რაიონის მაშინდელმა პროკურორმა ირაკლი წერეთელმა უთხრა, ბრძანებაა, რომ შოთა გელაძე ციხეში უნდა იჯდეს და მე რა ვქნაო. ხან რა მოიგონეს, ხან რა და ბოლოს თაღლითობა დამაბრალეს. ბრალის აღიარებას მთხოვდნენ, საპროცესო გარიგებას გაგიფორმებთ და ორ წელს მოგისჯითო. რაც არ ჩამიდენია, როგორ უნდა მეღიარებინა? წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა ჩემი სასამართლო პროცესი და ბოლოს 4-წლიანი პატიმრობა მომისაჯეს. უდანაშაულო ადამიანი დამსაჯეს, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილსა და გივი თარგამაძეს ყური არ შეუბერტყავთ. ციხიდან სამწელიწადნახევარში გამათავისუფლეს და აქეთ დამამადლეს კიდეც, ვადაზე ადრე გიშვებთო. როგორც იქნა, მომცეს ცნობა, რომ ნასამართლევი არ ვარ და არც ძებნაში ვიმყოფები. საქმე იმაშია, რომ საქართველოში არსად ვიყავი რეგისტრირებული. სამი თვე დაჭირდა იმის დადგენას, საქართველოს მოქალაქე ვიყავი თუ არა, დღესაც მისამართის გარეშე მაქვს პასპორტი. ჩემს მშობლიურ რაიონშიც კი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, რეგისტრირებული არ აღმოვჩნდი.

**- ოქრუაშვილი გიცნობდათ და იცოდა დაჭერილი რომ იყავით, თუ ხელები დაიბანა და გაგწირათ?**

- ოქრუაშვილმა კარგად იცოდა, რა დონის სპეციალისტიც ვიყავი, იმიტომ გამომიძახა ამ ე.წ. ექსპერტიზაზე. იცოდა გოგი თავთუხაშვილმაც, იმ პერიოდში ის იყო შინაგანი ჯარების სარდალი. ალბათ ბატონ გოგის ისიც კარგად ახსოვს, რომ ის სამი „გრადი“, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ ჯართში ჩააბარა (გოგი თავთუხაშვილმა იყიდა მერე ეს „გრადები“), ჩემი ხელით აღვადგინე და აღრიცხვაზე დავაყენე. ცხინვალის 2004 წლის მოვლენების დროს, როცა ქვეყნის თავდაცვა უმოქმედო იყო, შინაგან ჯარში სახელდახელოდ ჩამოყალიბდა ცეცხლის მართვის ცენტრი, როგორც საარტილერიო ბრიგადა. იქ ვიყავით თავმოყრილი პროფესიონალი არტილერისტები (ემზარ ჭოჭუა, გივი ჯმუხაძე, შოთა გელაძე, გუჯა ნიკოლაძე, სერგო აზარაშვილი). ამ ცენტრში შეიარაღების უფროსი ვიყავი. შემდეგ შინაგანი ჯარი რომ დაიშალა, ახლა რომ საარტილერიო ბრიგადაა, იქ უნდა დავნიშნულიყავი შესაბამის თანამდებობაზე, თუმცა როგორც კი ჩემზე წარდგინება წავიდა, ზუსტად იმ დღეს დამიჭირეს.



დაჭერილი რომ ვიყავი, ოქრუაშვილს აუცილებლად ეცოდინებოდა, რადგან მე რამდენჯერმე დავუკავშირდი გოგი თათუხაშვილს, გამაგებინეთ, რისთვის დამიჭირეს, ამ გამოცდამდე ორი კვირით ადრე ხომ გითხარით, რომ ეს ქვემეხები ვარგისია, მაგრამ მე დამიჭირენ, დამეხმარეთ-თქო. თათუხაშვილმა მითხრა, ჩემზე რაც იქნება დამოკიდებული, მაქსიმუმს გავაკეთებო, თუმცა მქონდა ინფორმაცია, რომ მასა და ოქრუაშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა და თათუხაშვილმა ვეღარაფერს მოაბა თავი. ვფიქრობ, გია ბარამიძე და ნიკო ლეკიშვილის ძმა გადაარჩინეს და სამაგიეროდ, მე გამომიყვანეს განტევების ვაცად.

თუ ვიღაცას ფული გამოვართვი და არ ვუბრუნებდი, ეს სამოქალაქო საქმეა, ციხეში რატომ უნდა ჩავესვი? ნარკოტიკს და იარაღს ვერ ჩამიდებდნენ და თაღლითობა მომიგონეს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ თურმე ჯარისკაცებს კოსოვოს სამშვიდობო ბატალიონში გაგზავნას შევპირებივარ და ამიტომ გამომირთმევია მათთვის ფული. არ ვიცი, საიდან მოიტანეს, რომ შინაგან ჯარს რაიმე შეხება ჰქონდა კოსოვოს ბატალიონთან. სხვათა შორის, ამ ჯარისკაცებმა სასამართლოზეც შეცვალეს ჩვენება.

მე ოქრუაშვილს იმაში ვდებ ბრალს, რომ თუ შნო არ ჰქონდა, მაშინ ამ ქვემეხებთან დაკავშირებით ეს ამბავი რატომ ატეხა, რასაც უდანაშაულო ადამიანი შეეწირა. იმდენი ვაჟკაცობა მაინც ჰყოფნოდა რომ ეთქვა, კარგი, თქვენ მორიგდით, ბარამიძეს და ლეკიშვილს აღარ ედავებით, მაშინ გელაძესაც დაანებეთ თავიო. მიუხედავად იმისა, რომ ონკოლოგიური ავადმყოფი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი მყავდა, სასამართლოსთვის ეს რატომღაც შემამსუბუქებელი გარემოება არ აღმოჩნდა.

რაც შეეხება ქვემეხებთან დაკავშირებულ საქმეს, მე პროფესიონალი სპეციალისტი ვარ და სხვანაირ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდი. 1999-2001 წლებში თავდაცვის სამინისტროში (დავით თევზაძის მინისტრობის დროს) საბრძოლო მასალების სამსახურის უფროსი ვიყავი, მაგრამ დამაქვეითეს, რადგან უკანონობის გაკეთებას მთავაზობდნენ და უარი ვთქვი. ამიტომაც გადავედი შემდგომ შინაგან ჯარებში. ამ საქმეში ფიგურირებდა ყოფილი გენშტაბის უფროსი დევი ჭანკოტაძეც. თუ დაინტერესდებით, ამ ფაქტზეც შემიძლია ინფორმაცია მოგაწოდოთ.

აგვისტოს ომის დროს უკვე ციხიდან გამოსული ვიყავი. სახლში რა გამაჩერებდა, მოვძებნე გენერალი ჭოჭუა, ის გორის საარტილერიო ბრიგადაში მსახურობდა და დახმარება შევთავაზე. მითხრა, ძალიან მჭირდები აქო, მაგრამ არ ვიცი, ორ საათში რა შეიცვალა, გამზადებული ვიყავი წასასვლელად, როცა მითხრა, ბრძანებას ვერ ვწერ შენთან დაკავშირებით, რამე რომ მოგივიდეს, სადღაც ხომ უნდა დაფიქსირდეს, რომ ეს კაცი ამა და ამ ბრძანებით იყო აქ, შენ ოჯახს რა ვუთხრაო. ახლა იმ ომს მე ვერ მოვიგებდი, მაგრამ რაღაცაში ხომ მაინც წავადგებოდი ჩემ ქვეყანას.

მე ახალ ხელისუფლებაზეც მწყდება გული, სიტყვით პროფესიონალ კადრებს ეძებენ და ნუთუ ჩემი დონის სპეციალისტი არ სჭირდებათ?

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# daimaxsovre, biWo, Wov da xisimo, vinc Sen gagu l ianebs, imas Seni da Cemi saqar Tve l o ar uyvars!

აჭარაში 2004 წლის ე.წ. „რევოლუციის“ შემდეგ „ნაცებმა“ ასლან აბაშიძის მიერ ნაჩუქარ ერთ „ნივას“ გადააყოლეს დიდი პოეტი, მაგარი კაცი და კარგი მეგობარი ზურაბ გორგილაძე. ადრეც მითქვამს და ახლაც ვამბობ — ზურას ლექსები რომ მახსენდება, თვალებში ცრემლი მიდგება და მათრახების ქვეშ გამუსლიმებული, ძირძველი ქართველების, აჭარლების სატკივარი მტკივა და მაფიქრებს!

„ოჰოი, ნანა დიდოუ ნანა,
აჭარელი ვიყავ განა,
ჩემო დედა საქართველო,
ჩემი თავი გენაცვალა“, — ამბობდა ზურაბ გორგილაძე და ამ სტრიქონებით იმ დედას ეფერებოდა, რომელმაც მაღალმთიან აჭარაში ჭადზე ჯვრის გამოსახვით შემოინახა თავისი რელიგია. იმ დედას ეფერებოდა, 300 წელი თავისი შვილი რომ არ ენახა და როცა იხილა, ტანზე მჭიდროდ მიიკრა და აღარ იშორებდა. იმ დედა-საქართველოს ეფერებოდა ზურიკო, რომელმაც ათასი ჭირვარამი გადაიტანა და პირად საუბრებში, არაერთგზის უთქვამს ჩემთვის — აჭარის ხელმეორედ გაქრისტიანების საქმეში ასლან აბაშიძეს მოციქულთა ტოლფასი ღვაწლი მიუძღვისო.

დიახ, მეც იგივეს ვამბობ დღეს და სულ ფეხებზე მკიდია, ვინ დამიწყებს ქილიკს ამის გამო.

დიახ, თავის დროზე მუსლიმმა ასლან აბაშიძემ პირადი მაგალითით აჩვენა თავისი კუთხის შვილებს, რომ მათი ჭეშმარიტი, ძირძველი რელიგია მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო, სწორედ ამ რელიგიის გამო ებრძოდნენ მათ მუსლიმი თურქები და როცა დაინახა, რომ „მავანთა განზრახულობით“ აჭარას გამუსლიმების საფრთხე ისევ ემუქრებოდა, იცხო მირონი და მირონის მადლი საქართველოს პატრიარქს ილია II-ს შეატანინა საკუთარ ოჯახში.

აჭარისა და სხალთის ეპარქიას კი მართლმადიდებლობის გაძლიერებისათვის, ეკლესიებისა და მონასტრების აგება-რესტავრაციისათვის დიდძალ თანხებს ურიცხავდა და არც აქეთ, დანარჩენი საქართველოს წმინდა ადგილებისათვის ავიწყდებოდა შესაწირის გაღება. ბევრმა არ იცის, რომ მცხეთაში, დედათა მონასტერში ასლან აბაშიძის მეუღლის, ასევე ხელმეორედ გაქრისტიანებული (მისი ნათლია ილია II) მაგული გოგიტიძის ღვაწლი და დახმარება, კელიაში მისი ფოტოსურათით არის დადასტურებული და დღესაც, იქაურ დედებს რომ შეეკითხოთ, წვრილად მოგიყვებიან, გაჭირვების ჟამს რა თანადგომა და ფინანსური დახმარება გაუწია მაგულიმ მათ.

ამ ყველაფრის მოყოლა რატომ დამჭირდა, იცით? იმიტომ, რომ ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში აჭარიდან განსახლებულ ეკომიგრანტებში, ისეთი პრობლემები არასოდეს ყოფილა როგორიც დღეს ნიგვზიანში და წინწყაროშია და თუ ყოფილა, აჭარის ხელმძღვანელობის უშუალო ჩარევით, ერთ საათშივე აღმოფხვრილა და აღმოფხვრილა არა „ქსენოფობია“ „რელიგიური ექსტრემიზმის“ ძახილით, არამედ ერთი წინადადებით, რომელსაც ასლან აბაშიძე თავის ემისრებს აბარებდა: —„თავს ნუ გვჭრით, გახსოვდეთ ხოლმე, რომ ქართველები ხართო“. აბა, რომელიმე მუსლიმ აჭარელს გაებედა და ზედმეტი ეთქვა? მახსოვს, ასლანის მიერ გეგმიურ, მამულიშვილურ საშურ საქმეს — აჭარელთა ხელმეორე გაქრისტიანებას, მაშინდელი მუფთი და მუსლიმი აჭარლები, მათ ღალატად თვლიდნენ, მაგრამ უნდა გენახათ, როგორი შიში და რიდი ჰქონდათ ასლანის და როგორი მოწიწებით ეახლებოდნენ ხოლმე — იქნებ, ერთი ჯამე, ანდა მეჩეთი ჩვენთვისაც აღგვედგინაო? მეტსაც გეტყვით, ასლან აბაშიძე მის სახლთან ახლოს მდგარ ჯამეში, მოლის მიერ აღვლენილ ლოცვასაც აკონტროლებდა და ბოლოს იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ მიკროფონები მოახსნევინა და ბათუმში უკვე აღარსად ისმოდა მაისი „ალაჰ ილალაჰ“!



ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ამის გამო და მუსლიმური სარწმუნოების უარყოფის გამო გადაუხადეს სამაგიერო, დღეს აჭარაში ასე მომძლავრებულმა და ასე მსუყედ დაფინანსებულმა მუფთმა თუ მოლებმა, ასლან აბაშიძეს სწორედ მათი მრევლი იყო მთიან აჭარაში, ქუჩაში თუ ბარში ჩამოსული და „მიშა-მიშას“ ყვირილით ყურებს ჭედავდნენ, ხოლო დღეს, როცა აჭარა აგრერიგად მოძლიერდა მუსლიმურობის თვალსაზრისით, კმაყოფილებას ვერ მალავენ და ახლა აქეთ, სადაც კი თუნდაც ერთმა აჭარელმა ეკომიგრანტმა ფეხი დაადგა, მეჩეთის აგებას ითხოვენ და ითხოვენ არა მოწიწებით, არამედ მუქარით და საქართველოს ვაიკანონების მოშველიებით — რელიგიური აღმსარებლობის უფლება, ლოცვა და შესაბამისი სამლოცველოს აგება ყველა ადამიანს აქვსო!

ახლა დააკვირდით თქვენ, რა ძალები უდგანან მათ გვერდით და რა „ნატაციებს“ გვიკითხავენ ისინი ყოველი კვირის ხუთშაბათს, პარასკევის ლოცვის წინ? ვინ და... ბექა მინდიაშვილი „თავისუფლების ინსტიტუტიდან“. მინდიაშვილის ძმაკაცები გაურკვეველი წარმომავლობის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და რაც ყველაზე მთავარია — აჭარიდან, ყოველ პარასკევ დღეს, „შეწუხებული და დამწუხრებული“ მუსლიმი ქართველები, მუფთი ჯემალ პაქსაძის მეთაურობით, ხომ? ერთი რამ ვერ გამიგია — შეიძლება, მთელმა საქართველომ ყოველი პარასკევი დღის დადგომამდე და შემდეგ ახალი პარასკევი დღის მოლოდინით იცხოვროს? შეიძლება „რუსთავი-2“ და „საზოგადოებრივი არხი“ თავის ხუთშაბათის საინფორმაციოს დასაწყისში, მომდევნო დღის მუსლიმთა ლოცვის მოსალოდნელ ხელშეშლასა თუ ადგილობრივი მართლმადიდებლების დისკრედიტაციით იწყებდეს? დავიჯერო — ან ბექა მინდიაშვილს, ანდა მის ძმაკაც ენჯეოშნიკებს, მხოლოდ მუსლიმთა პარასკევის ლოცვის მუცლის გვრემა აქვთ და ამ ყველაფრის უკან — ისევ „ნაც. მოძრაობა“ და „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოჩეკილი გველ-ბაყაყი არ დგანან? რატომ გახდა დღეს ასეთი აქტუალური ქართველი მუსლიმების მომავალი თანაცხოვრება, ძირძველ მართლმადიდებლებთან და რას გვიმზადებს „ნაციონალური ბანდა“ გურიაში სასაფლაოზე მოპარული ჯვრების მიღმა? სად არიან ის ცნობილი აჭარლები, რომლებიც ასლან აბაშიძის მმართველობის დროს, ასეთი გამოვლინების შემთხვევაში, ადგილზე ჩადიოდნენ და რატომ აღარავინ ეუბნება, თავის დროზე ძალით თავსმოხვეულ მუსლიმური რელიგიის მიმდევრებს; ახსოვდეთ, ქართველები რომ არიან? ბიჭო, ჭოვ და ხისიმო! შენ ვინც გაგულიანებს, იმას ფარაც აქვს, ოქროც აქვს და სამსახურიც... სახლებიც ბევრი აქვს და ქალ-ბაღანაც მოვლილ-ნაპატიები ჰყავს, მაგრამ დეიმახსოვრე, შენი და ჩემი საქართველო არ უყვართ მაგფერებს და შორს დეიჭირე თავი მაგათგან, გიმიგე?

მაგათ ჩვენი ღელე-ღურდანი სულ ფეხებზე ჰკიდიათ და როცა კიდო ჩამოვლენ თქვენსას, შეეკითხე ერთი საკუთარ ჯიშს და მოდგმას — რეიზა უღალატეს და რამდენ ფარას უხდიან ამ ღალატში უცხოელი პატრონები მათ? ჭოვ, მაგ ბექას რომ ელოდები ყოველ პარასკევს შენს სოფელში, მაგფერ არაკაცებს რომ ელაპარაკები მიკროფონებში —„ლოცვა მინდა და ხელს მიშლიანო“ — წაი, შეი შენ სახლში და ილოცე, დიგიშალა ვინმემ? ახლა. გურიაში მეჩეთს რომ არ აგაშენებინებს გურული კაძახი, ლაპარაკი უნდა მაგას? დაიმახსოვრე და შეიგნე — სადაც გინდა ილოცე, რამდენი ხანიც გინდა ილოცე, ვისთან ერთადაც გინდა ილოცე, მარა ნამეტანს ნუ მეითხოვ, ქართველი ხარ და გახსოვდეს ეს! ბექას და მისნაირებს კი არასოდეს მოუსმინო, იმიტომ, რომ მაგათ სისხლი სწყურიათ ჩემი და შენი, ძმების სისხლი სწყურიათ ისევ და რა ვქნათ ახლა, მაგენი რომ გავახაროთ, უფრო მეტი ფარა რომ ვაშოვნინოთ, დავკლათ ერთმანეთი?



ისე, ერთიც მინდა გითხრათ — ამბობენ, ამ კონფლიქტის გაღვივებაში, ნაკლები წვლილი არც ლევან ვარშალომიძეს და მამამისს გურამ ვარშალომიძეს არა აქვთო და ისიც მითხრეს, რომ ყოველ კვირა დღეს, ბათუმიდან ნიგვზიანში, ბათუმიდან წინწყაროში ათასობით ლარს აგზავნიან, ოღონდ ახალ ხელისუფლებას პრობლემები გაუმრავლონო! ახლა თქვენ თუ ფულის გამო ყვირიხართ ყველა პარასკევს, შემირცხვენია თქვენი კაცობა, მაგრამ თუ „ფარა“ არაფერ შუაშია, დაგვიმტკიცეთ მთელ საქართველოს და შეწყვიტეთ ზღვარგადასული შეხლა-შემოხლები თქვენს მეზობლებთან, გამიგეთ? მე უნდა გასწავლოთ, რომ „შორებელ მოკეთეს, ავი მეზობელი გერჩივნოსო?“ ანდა, რატომ არიან გურულები გაავებული, კარგად რომ დაფიქრდეთ, ხომ უცბად მიხვდებით, არა?

თქვენ რომ დღეს „ვიღაცის“ წაქეზებით ერთმანეთზე იწევთ, ხვალ, შეიძლება, იმ „ვიღაცამ“ ყველა ჩვენთაგანზე გამოიწიოს და მერწმუნეთ, დაღვრილი სისხლის გარშემო მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოთქმული გოდება გაისმება: „შვილო, შვილო, რეიზა გაგიმეტე და დაგიხუჭე თვალებიო!“ ჰოდა, აბა, მითხარით ჩემო ძმებო აჭარლებო, იმ „ვიღაცის“ გულისთვის, ღირს ჩვენი დაპირისპირება? განა შენც ქართულად არ ლაპარაკობ და მეც? განა იავნანაც ერთი არ გვაქვს და სამშობლოც?!

დაბოლოს, თუ ჩემი, მართლმადიდებელი ქრისტიანი ქალის არ გჯერათ აჭარელო ეკომიგრანტებო, მოუსმინეთ, რას ამბობს მუჰამედი შუღლის გამღვივებელთა და ელჰავიის (ხრამი, უფსკრული) შესახებ: „ვისაც სწამთ და კეთილს შვრებიან — ყველა გაჩენილ არსთა შორის უმჯობეს არიან, ხოლო, ვისაც ძმის ნაღვაწი წონაში მჩატე მოუვიდეს, სადგომად ელჰავი ექმნეს“ (ყურანი მუჰამედისა).

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მოვუწოდებ ახალ ხელისუფლებას!

**სასწრაფოდ გამოავლინოს და დასაჯოს ის პირები, რომლებიც ძმათამკვლელი პროვოკაციისთვის ამზადებენ ნიგვზიანის და წინწყაროს მოსახლეობას! ხოლო მინდიაშვილები და „ძმანი მისნი“ არ გააჭაჭანონ იქაურობას და ბარემ იმ ტელემაუწყებლებსაც ამოსდონ ლაგამი, რომლებიც რელიგიური შუღლის გასაღვივებლად ლამისაა ნახევარსაათიან სიუჟეტებს ამზადებენ ყოველდღიურად და ზაფრავენ მოსახლეობას.**

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# irma inaSvili:
# `nacionaluri moZraoba~, rogorc Tavis droze faSisturi partia, unda aikrZalos!

გვესაუბრება „ობიექტივის“ ხელმძღვანელი **ირმა ინაშვილი:**

**— ირმა, ციხის კადრების ვიდეო-მასალამ, რაც გარკვეულწილად თქვენი დამსახურებაცაა, ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს შეუწყო ხელი. როგორ გრძელდება ეს ისტორია?**

— გეთანხმები, ციხის კადრების გავრცელებით ქვეყანაში ვითარება შეიცვალა, თუმცა ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი პოლიტიკური რეალობა და მძლავრი ოპოზიციური პოლიტიკური ცენტრი რომ არა, რა თქმა უნდა, ამ კადრების გავრცელება ამ ეფექტს ვერ მოიტანდა. ერთმა, მეორე ფაქტორი შეავსო და შესაბამისი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. თუმცა, ცვლილებები, მხოლოდ პოლიტიკური კუთხით არ მომხდარა.



ჩვენი, მთავარი მიზანი იყო პატიმრებს რეალურად ეგრძნოთ შვება. ამ თემაზე უკვე ბოლო 9 წელია ვსაუბრობთ.

**დღეს, ფაქტია, რომ ციხეებში, პატიმრებს ისე მოპყრობას ვეღარ უბედავენ, როგორც ადრე იყო, ანუ ვეღარ აწამებენ ვერც ელექტრო შოკით, ვერც ბოთლებით, ვერც ცოცხებით და ა.შ. თავისთავად დამაფიქრებელია ფაქტი — ციხეებში და პოლიციის ორგანოებშიც სააკაშვილის რეჟიმს წამების მსგავსი მეთოდები ჰქონდა დანერგილი — მამაკაცთა გაუპატიურების მეთოდი, რაც დიდი ტრაგედიაა.**

როგორც იცით, ახლახან გავრცელდა ინფორმაცია ბორჯომის პოლიციის უფროსის დაპატიმრების შესახებ. ჩვენების თანახმად პიროვნება სკამის ფეხით გააუპატიურეს, თან ფოტოებს უღებდნენ და ემუქრებოდნენ ფოტო-მასალას ქალაქში გამოვაკრავთო. ეს მეთოდოლოგია, მანკიერება უნდა დასრულდეს. ციხის, პოლიციის თანამშრომლების მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს. ძალიან ბევრი თანამშრომელი წამების ფაქტებში ჩართული იყო. ამ ხალხთან ფსიქოლოგიური მუშაობაა საჭირო, რათა მათ გაიგონ, რომ წამება დაუშვებელია. ცოტა ხნის წინ შსს-ს მინისტრს მედიასთან დახურული შეხვედრა ჰქონდა. ეს საკითხი მინისტრთან დავსვი. მან ბრძანა, რომ შეიქმნება ჯგუფები, აშშ-დან, ევროპიდან მოიწვევენ სპეციალისტებს, რომლებიც თანამშრომლებთან სწორედ ამ კუთხით იმუშავებენ. ის, რომ ციხის კადრების გავრცელებას სხვადასხვა სახის დეზინფორმაცია მოჰყვა, ეს უკვე ფაქტია. ამ ისტორიაში ბუნდოვანი არაფერი იყო. უბრალოდ, კადრების გავრცელების შემდეგ, გარკვეულ ძალებს, ამის გარშემო სიბინძურის აგორება ხელს აძლევდა. ეს იყო ირმა ინაშვილის და „ობიექტივის“ წინააღმდეგ კარგად ორგანიზებული შავი პიარი, რომელიც დღემდე არ დასრულებულა. ჩვენი მისამართით უამრავი აბსურდული ბრალდება ისმის. მაგალითად, ხშირად გაისმის ბრალდება, თითქოს ჩვენ ბედუკაძე გადავაგდეთ, არ შევუსრულეთ დანაპირები, მაგრამ არავინ აკონკრეტებს რა დანაპირებზე იყო საუბარი. ვერცერთი ჟურნალისტი ვერ მეტყვის, რას ითხოვდა ბედუკაძე, უფრო მეტიც, თავად ბედუკაძეც ვერ აყალიბებს ამას. ჩვენ ყოველთვის ღიად, გახსნილად ვამბობდით, რომ ბედუკაძე ამ კადრების გამომზეურებას არ აპირებდა, სანამ მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდებოდა. ჩვენ შეძლების ფარგლებში ყველა მისი მოთხოვნა დავაკმაყოფილეთ. ამ შავი პიარის ორგანიზატორებს ამოძრავებთ შემდეგი მიზანი — ამ ისტორიის გარშემო გაუგებრობა შექმნან, რაც ბუნებაში არ არსებობს. მეორე —

**ბედუკაძე ცილს გვწამებდა თითქოს რუსეთის, ვანოს აგენტები ვართ, თითქოს ვანომ 2 მილიონი მოგვცა. ეს ბრალდება, იმ ადამიანების მიმართ, ვინც ეს რეჟიმი დავამხეთ, უბრალოდ სასაცილო, კომიკურია. ვანო მერაბიშვილს, როგორც ერთ-ერთ დამნაშავე პირს და მთელი რიგი დანაშაულობების მოწმეს ისე რომ იბარებენ დაკითხვაზე, ეს მეტწილად „ობიექტივის“ დამსახურებაა.**

საჯარო გავხადე „ობიექტივის“ ანგარიშები. ბრალს გვდებდნენ, რომ ჩვენს ანგარიშზე მილიონები ჩაირიცხა, თუმცა არც ერთი ჟურნალისტი არ დაინტერესებულა ჩემგან ეს ანგარიშები მიეღო. ძირითადად, შემოწირულობა საბერძნეთიდან და შვედეთიდან გვაქვს მიღებული და ეს 10 ათას ლარს არ აღემატება. ვსვამ კითხვას — როგორ მოიქცეს ირმა ინაშვილი და „ობიექტივი“? — ანგარიშები საჯარო გახდა და იქ მილიონები არ დევს. ლოგიკურად დღის წესრიგში დგება საკითხი — ამ ცილისწამების გამავრცელებელმა პასუხი უნდა აგოს. აქ უკვე დგას მედიის პასუხისმგებლობის საკითხი. მე ჟურნალისტებს ვეუბნები — როდესაც თქვენ ჩვენს შესახებ სიცრუეს ავრცელებთ, მინიმუმ ჩემგან ამის დამადასტურებელი უარმყოფელი მასალა უნდა მოითხოვოთ. ასე არ ხდება და დეზინფორმაცია ვრცელდება. ამიტომ, თუკი მომავალში კვლავ გავრცელდება „ობიექტივის“ წინააღმდეგ მსგავსი ტიპის ცილისწამება, ყველა კონკრეტული მედია-საშუალების და ჟურნალისტის წინააღმდეგ პროკურატურას საქმიანი რეპუტაციის და ღირსების შელახვის გამო საჩივრით მივმართავ. იმიტომ, რომ სხვა გზას ვერ ვხედავ, რათა შავი პიარი, ცილისწამების ეს ნაკადი შევაჩეროთ.

**— ვის ინტერესშია ეს შავი პიარი?**

— ცხადია, როცა ამ კადრებს ვავრცელებდი, გაცნობიერებული მქონდა რა ნაბიჯს ვდგამდი. ვიცოდი, რომ ამით იწყებოდა ჩემი ცხოვრების რთული ეტაპი, სადაც მხოლოდ მოფერება არ იქნებოდა, არამედ ბევრი ტალახი, ლაფი და ფურთხი, მაგრამ ამ ფურთხის და ტალახის მოცულობამ ნამდვილად გადააჭარბა მოსალოდნელ საზღვრებს. ჩემი სამშობლოსთვის და ხალხისთვის არაფერი დამიშავებია იმის მსგავსი, რომ დღეს ყველა გაზეთი და ყველა ტელევიზია მაფურთხებდეს. მე, ჩემი კოლეგები კი არა, ის ორგანიზატორები მაფურთხებენ, რომლებიც მედია-საშუალებებს ამ დავალებებს აძლევენ.

**— ვინ არიან ამ საქმის სულისჩამდგმელები, ანუ ორგანიზატორები, ვინც გებრძვით?**

— მაქვს გარკვეული ეჭვები. გასულ კვირას ორი ადამიანი — გია ხუხაშვილი და მიხეილ მაჭავარიანი დავასახელე. გვაქვს ეჭვი, რომ ამ კამპანიის ორგანიზატორები სწორედ ისინი არიან. ხუხაშვილმა „მაესტროს“ ეთერში უარყო ეს ფაქტი, თუმცა ეს ახსნა არც ჩემთვის და არც „ობიექტივისთვის“ დამაკმაყოფილებელი არაა. იმიტომ, რომ ბევრი ჟურნალისტი, ამ კამპანიის ორგანიზატორად, ჩემთან საუბარში, ბატონ გიას ასახელებს, უბრალოდ ამის დამტკიცება არ შემიძლია.

**— როგორ ფიქრობთ, გია ხუხაშვილი კონკრეტულად თქვენ რატომ უნდა გებრძოდეთ?**

— ვფიქრობ, ამ კამპანიის ორგანიზატორებს სურთ ჩვენი როლი დააკნინონ და საზოგადოებას აჩვენონ, რომ არც ირმა ინაშვილს და არც „ობიექტივს“ არანაირი მსხვერპლი არ გაუღიათ. მათ ჩვენი თავგანწირვის გაუფასურება სურთ, რასაც სხვადასხვა მედია-საშუალებებით ახერხებენ. ცხადია, ისინი მედიასივრცეს აკონტროლებენ. პირდაპირ ვამბობ, ვინც ამას აკეთებს, იგი მედიასივრცეს აკონტროლებს.

**მაქვს ინფორმაცია, ერთ-ერთ მოქმედ მაღალჩინოსანზე, რომელიც „ობიექტივის“ წინააღმდეგ ორგანიზებულ შავ კამპანიაში მონაწილეობს.**

ჯერ ამ მაღალჩინოსნის დასახელებისგან თავს ვიკავებ. მას საშუალებას ვაძლევ ეს შავი კამპანია შეწყვიტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალ კვირას ამ ადამიანსაც დავასახელებ.

აუცილებლად მოუწევს პასუხისგება იმ ცილისწამებებზე და ბრალდებებზე, რასაც ჩემი მისამართით ორი თვეა ახმოვანებს. ბედუკაძის უკან იდგა და დგას გარკვეული ძალა. იგი ცილისწამების ნაკადის რეალიზებას ვერ მოახდენდა, ეს საკმაოდ ორგანიზებული დამხმარე ძალა რომ არ ყოფილიყო. მე საქმე ორგანიზატორებთან მაქვს. საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად მივმართავ პროკურატურას, რათა გაირკვეს ვინ დგას ბედუკაძის უკან. ბედუკაძის დაბრუნებას მხოლოდ მივესალმები. პროკურატურას მივმართავ, ამ საქმეში, ბედუკაძის კეთილი წვლილი გაითვალისწინოს. ვის ეშინია ან ვის აწუხებს ბედუკაძის საქართველოში დაბრუნება?! — დაბრუნდეს და უფრო მეტიც, მან საგამოძიებო ორგანოებს ყველა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.

**— ბედუკაძის უკანაც ხუხაშვილი, მაჭავარიანი დგანან? თუ ვისზე გაქვთ ეჭვი?**

— არ ვფიქრობ, რომ მხოლოდ ერთი მიმართულება — ხუხაშვილი-მაჭავარიანი არსებობს, არამედ მაქვს შეგრძნება, რომ ამ შავ კამპანიას კიდევ სხვა ძალა უწევს ორგანიზებას. უბრალოდ, მინდა, ჩემი ეჭვები კარგად გადავამოწმო.

**— როგორც ვახსენეთ, ამ კადრებმა ცვლილებები განაპირობა. თუ დაინტერესდა ამ ფაქტით შსს, პროკურატურა, დაკითხვაზე ხომ არ ყოფილხართ დაბარებული?**




**— ეს ადამიანი ახალი ხელისუფლების მაღალჩინოსანია?**

— დიახ, ახალი ხელისუფლებიდანაა, ცუდი ადამიანები ყველგან არიან.

**— რაც შეეხება ლადო ბედუკაძეს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი ჩამოსვლას აპირებს.**

— როდესაც ბედუკაძე გავიცანით, გავიგეთ, რომ ციხის წამების ამსახველი მასალა ჰქონდა, ვცდილობდით მასში სინანული გაგვეღვიძებინა და გვინდოდა მას ამ კადრების განსაჯაროების და მონანიების საშუალება მისცემოდა. სამწუხაროდ, მან ძალიან ბევრი ცილისმწამებლური განცხადება გაავრცელა. ვფიქრობ, პროკურატურამ მას ბრალი უნდა შეუმსუბუქოს, მაგრამ

— რამდენადაც ვიცი მთავარი პროკურატურა და შსს აქტიურად ადევნებს თვალს მედიაში გავრცელებულ განცხადებებს. არაერთი ბრიფინგი მივუძღვენით ამ თემას და ვფიქრობ, ჩვენს მიერ საჯაროდ გახმოვანებული ინფორმაცია მთავარი პროკურატურისთვის, შსსსთვის დამაკმაყოფილებელია. თუ საჭირო იქნება, აქტიურად დავეხმარებით პროცესს.

**პროკურატურას გადავეცით ამ კადრების ვიდეო-მასალის დედნები, რათა ეს გამოძიების პროცესში გამოიყენონ. ასევე, გადავეცით ტექნი-**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**კა, რომლის დახმარებითაც აკობიამ კარანტინის კადრები გადაიღო. ვფიქრობთ, ესაა ჩვენი კიდევ ერთი წვლილი გამოძიების ამ პროცესში.**

დარწმუნებული ვარ ეს საქმე ობიექტურად იქნება გამოძიებული. ძალიან დიდი ნდობა მაქვს მთავარი პროკურორის და მჯერა რომ ყველა ის ადამიანი, ვინც პატიმრებს ასე სასტიკად აწამებდა, დაისჯება. ანგარიშსწორების მომხრე არ ვარ, მაგრამ ასეთი მძიმე დანაშაულის ჩამდენნი, უნდა დაისაჯონ, რათა სხვა დროს ვერცერთმა ზედამხედველმა ცოცხით ან სხვა ინსტრუმენტებით უმწეო პატიმრების გაუპატიურება ველარ გაბედონ.

**— რაც შეეხება დაჭერების თემას, საზოგადოებაში უკმაყოფილებაა, ხალხი მთავარი დამნაშავეების დასჯას ითხოვს და თანაც რეალური მოტივებით. რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

— პატარა იაღლიშები არის, თუმცა ვფიქრობ პროცესი ძალიან სწორად და ჯანსაღად მიდის. მთავარი პროკურატურა, შსს და იუსტიციის სამინისტრო სწორად მუშაობს. ვიცი, რომ სერიოზულ საქმეებზე მიმდინარეობს გამოძიება და არა მარტო იმაზე, რასაც ეკრანზე ვხედავთ. საქმეები მძიმდება და მძიმდება. ჩემი მხრიდან არჩილ კბილაშვილს, ირაკლი ღარიბაშვილს და თეა წულუკიანს სრული ნდობა აქვთ. არ მინდა ეჭვი შევიტანო, რომ ამ ადამიანებს პირადი ინტერესი ან რაიმე პოლიტიკური დაინტერესება ამოძრავებთ. დამნაშავე უნდა დაისაჯოს და დაიკითხოს. დღეს, ვანო მერაბიშვილი მეორედ რომაა დაკითხვაზე და დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ დაკითხვის მერე უკან აღარ გამოუშვებენ, ეს თუნდაც ირინა ენუქიძისთვის კომპენსაციაა, რომელიც ამაოდ ხაოდა — ეს ბოროტება ყველას კარზე დადგებაო და მართლაც ასე მოხდა. 140-ზე მეტი სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა გამოასალმეს პატრულის თანამშრომლებმა სიცოცხლეს. ვფიქრობ, ღარიბაშვილს ამ სისტემაში მენტალური რეორგანიზაციის ჩატარება მოუწევს.

**— მერაბიშვილი ერთხელ უკვე გამოუშვეს, რა გაფიქრებინებთ, რომ ახლა დაიჭერენ?**

— მაქვს ინფორმაცია, რომ არაერთ საქმესთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული ძიება მიდის, სადაც ივანე მერაბიშვილის ბრალეულობის საკითხი იკვეთება. ამიტომ მაქვს მოლოდინი, რომ მერაბიშვილს დააპატიმრებენ და ეს სავსებით სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება. ამ ადამიანმა 9 წლის მანძილზე, ღიად, საზოგადოების თვალწინ, იმდენი დანაშაულებრივი განცხადება გააკეთა, რასაც შემდგომ მკვლელობები მოჰყვა, პატრული წაახალისა დანაშაულისკენ. გვახსოვს, ნულოვანი ტოლერანტობის კამპანია. ამ განცხადებებს მოჰყვა 140 ბიჭის ბელურებივით ჩახოცვა. ამიტომ, მტკიცებულებები არსებობს და მაქვს მოლოდინი, რომ საქმე ეტაპობრივად დამძიმდება.

**— ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, რომ შემდეგი შეიძლება პრეზიდენტი დაკითხონ. რამდენად რეალურია ეს?**

— რა თქმა უნდა, სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც პირდაპირ ხელს ადებენ სააკაშვილს, ბაჩო ახალაიას, მერაბიშვილს იმაში, რომ ციხეებში წამების კადრების გადაღება სწორედ მათი დავალებით ხდებოდა. შემდეგ ეს კადრები — დაუწუნებელი მასალა მიდიოდა სწორედ ბაჩო ახალაიას, მერაბიშვილის და სააკაშვილის კაბინეტებში. ეს სადიზმით სავსე ტრაგიკული მასალები იყო, დღემდე არავინ იცის ეს მასალები განადგურებულია თუ არა, ქვეყანაშია თუ მის გარეთ, გამოძიებას რთული სამუშაოს ჩატარება მოუწევს. მაგრამ თუნდაც პატიმართა წამების ფაქტები საკმარისია, რათა სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. აღარაფერს ვამბობ აგვისტოს ომზე და უამრავ სხვა დანაშაულზე, რომელიც მას როგორც ქვეყნის პირველ პირს ჩადენილი აქვს.



## vano merabiSvils ise rom ibareben dakiTxvaze, rogorc erT-erT damnaSave pirs da mTeli rigi danaSaulobebis mowmes, es, metwilad, `obieqtivis~ damsaxurebaa!

**— გამოსაძიებელი მართლაც ბევრია, იგივე 7 ნოემბერი, 26 მაისი, რის შემდეგაც ხალხი დაზაფრული იყო. თქვენ მაშინ მდუმარე აქციაც კი მოაწყვეთ. თუმცა, რა ხდება დღეს, რატომ გამოეთიშა ხალხი პროცესებს, 1 ოქტომბერი ხომ ხალხმა მოახდინა, ამ დროს კი მაყურებლად იქცა და არა პროცესების თანამონაწილედ?**

— ახლა გამოქვეყნდა კვლევა თითქოს „ქართულ ოცნებას" 70 პროცენტიანი რეიტინგი აქვს, „ნაციონალებს" — 13 პროცენტიანი და „ქრისტიან-დემოკრატებს" — 3 პროცენტიანი. ისმის კითხვა — სხვა პარტიების მონაცემები რატომ არ არის გამოქვეყნებული, რატომ მაინცდამაინც „ქრისტიან-დემოკრატები"? მეორეც, ვამბობ, რომ ამ კვლევის შედეგები რეალობას არ შეესაბამება. სამწუხაროდ, ხელისუფლებას დღეს 70 პროცენტიანი ნდობა არ აქვს და არც „ნაციონალურ მოძრაობას" აქვს 13 პროცენტიანი ნდობა. ასეთი გაყალბებული რეიტინგების გამოქვეყნება და კიდევ ერთხელ ხალხის შეცდომაში შეყვანა საჭირო არაა. ყველაზე კარგად საზოგადოების მაჯისცემა იმ ორგანიზაციებში იგრძნობა, სადაც უამრავი ადამიანი იყრის თავს. ამის მაგალითია, „ობიექტივი", სადაც დღეში, მინიმუმ 150 მოქალაქე მოდის. ხალხს არ მოსწონს საკადრო პოლიტიკა. არ მოსწონს ის, რომ კონკურსები არ ცხადდება და მხოლოდ ხელისუფლების მაღალჩინოსნების ნათესავები საქმდებიან. ასევე, ხალხს არ მოსწონს ის, რომ ადამიანები, ვინც აქტიურად მონაწილეობდნენ „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიაში, იგნორირებულნი არიან. ამ დროს, თუნდაც რეგიონებში „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების დასაქმება ხდება. ამის გამო ხალხმა იმედი დაკარგა და მათში ეჭვები გაჩნდა. იმიტომ, რომ ყველა თავგანწირულ ადამიანს რაღაცნაირად მადლიერების მოლოდინი აქვს, ადამიანის ბუნებაა ასეთი. როცა იგი ხედავს, რომ იბრძოდა და ბოლოს ვერაფერი მიიღო, ხოლო, ვინც სააკაშვილის რეჟიმის მომხრე იყო, დღეს იგი დაწინაურებულია, რა თქმა უნდა, მათ კითხვები უჩნდებათ. ეს კითხვები შემდეგ გაღიზიანებაში, ბოლოს აგრესიაში გადადის და ასე იქცევა ხოლმე



ხელისუფლება, რომელიც დემოკრატიის სახელით მოვიდა, უცებ დიქტატორულ რეჟიმად.

**ძალიან არ მინდა, დღევანდელმა ხელისუფლებამ, რომელიც უსისხლო რევოლუციით მოვიდა, ის შეცდომები გაიმეოროს, რაც მისმა წინამორბედებმა გაიარეს. თუმცა ვერ ვიხსენებ ვერცერთ წინამორბედ ხელისუფლებას, რომელმაც არჩევნებიდან ასე მალე რეიტინგი დაკარგა, როგორც ამ ხელისუფლებას მოუვიდა. მიკვირს, რატომ უშვებს ეს ხელისუფლება რეიტინგის ასე დაცემას და რატომ ჩარაზა ყველა კარი? რატომ არ არის კარი გახსნილი საზოგადოებისთვის. უამრავი ხალხი მოდის ჩვენთან და ამბობენ, რომ მინისტრს და მის მოადგილეებს კი არა, ელემენტარულად განყოფილებების უფროსებსაც კი ვერ ხვდებიან.**

ანუ რა გამოდის? — შეიცვალა ერთი ხელისუფლება მეორეთი, ადამიანებს ჰქონდათ მოლოდინი, მაგრამ გაირკვა, რომ მათთვის მაინც არაფერი შეცვლილა. ეს ძალიან ცუდია. მეტი საჯაროობა, მეტი გახსნილობაა საჭირო, არავითარი კულუარული პოლიტიკა. მაგალითად, ჩვენ ახლა არანაირი რეალური ინფორმაცია არ გვაქვს, თუ რა პროცესები მიდის, არ ხდება საზოგადოების ინფორმირება, ამიტომ ბევრი კითხვა ჩნდება, იგივე ტარიფებზე, დასაქმებაზე და ა.შ. შესაბამისად, კითხვების დაგროვების პროცესი ძალიან ცუდად მთავრდება. გულწრფელად გეუბნებით, მინდა ასე მოხდეს, ამ ხელისუფლებისადმი კეთილად ვარ განწყობილი და იმედია ამ შენიშვნებს გაითვალისწინებენ. ციხეებში წამყვან თანამდებობებზე და პოლიციის უფროსებად ჯალათები რომ ინიშნებიან, ეს აბსოლუტურად მიუღებელია. ან როდესაც მოქალაქეს პროკურატურაში საჩივარი შეაქვს და ისევ ის პროკურორი ხვდება, რომელმაც იგი შეავიწროვა და მას სამართალი, თავისუფლება წაართვა, ეს უკვე აბსურდამდე მიდის. ამ ხელისუფლებამ ეს უნდა გამოასწოროს.

**— წეღან ახსენეთ, დღეში უამრავი ადამიანი მოდისო. ერთ ფაქტს პირადად შევესწარი, ირაკლი დოკვაძის დედა გაოგნებულია, რომ მისი პოლიტ. პატიმარი შვილი უეცრად სიიდან გაქრა.**

— ირაკლი დოკვაძე პოლიტ. პატიმარია. მას ეს სტატუსი მინიჭებული აქვს. ჩემთვის დიდი გაურკვევლობა და აღმოჩენაა ის, რომ ირაკლი დოკვაძე თურმე პოლიტ. პატიმართა ამ საერთო სიაში დამტკიცებელი არ იყო. ვწუხვარ, რომ ამას ყურადღება ვერ მივაქციე. გაუგებარია რატომ ამოვარდა იგი ამ სიიდან. შევეცდები გამოვიძიო ვინ დაბლოკა ირაკლი დოკვაძე, ეს მიზანმიმართულად გაკეთდა თუ უყურადღებობის ბრალია?!

**— რაც შეეხება ამნისტიის კანონპროექტს, ბევრი საუბრობს, რომ ეს პროცესი კრიმინოგენულ ვითარებას გაამწვავებს. რამდენად რეალურია ეს მოსაზრება?**

— ეს აბსურდია. ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე ითვლიან რამდენი პატიმარი შეიძლება ჰყავდეთ. ჩვენი მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე მაქსიმალური ზღვარი 5.500-ია.

**ერის კრიმინალიზაციის პროცესს მიხეილ სააკაშვილი აწარმოებდა. მან იმდენი ადამიანი გამოამწყვდია ციხეში, განცდა გაჩნდა, რომ კრიმინალი ერი ვართ. ეს ხელოვნურად შექმნილი პროცესი იყო. ამიტომ ფართო ამნისტია უნდა განხორციელდეს, მაგრამ სააკაშვილი რეციდივისტებს რომ იწყალებს და ქუჩაში უშვებს, წესით ის ხალხი უნდა გამოუშვან ვინც ციხეში უკანონოდ ზის და არა რეციდივისტები.**

საკუთარი ძროხის გასაყიდად წასულ კაცს რომ აპატიმრებენ, ან კარაქის ქურდს აი, ასეთი ხალხია გამოსაშვები. პოლიტ. პატიმრები და უკანონო პატიმრები, რა თქმა უნდა, უნდა გათავისუფლდნენ, ეს არ გამოიწვევს კრიმინოგენული სიტუაციის დაძაბვას. სააკაშვილის რეჟიმი თავად იყო კრიმინალური ხელისუფლება, რომელიც ცხადია კრიმინალებს ეყრდნობოდა. ზონდერები, მათი ხელმძღვანელები ჩვეულებრივი კრიმინალები იყვნენ — მერე რა რომ პარლამენტში ისხდნენ, მერე რა რომ მინისტრები იყვნენ, და მერე რა, რომ ამას პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა. სააკაშვილი დღესაც კრიმინალური დაჯგუფების —„ნაციონალური მოძრაობის" ლიდერად რჩება. ამიტომ მისი მხრიდან ქუჩაში კრიმინალების გამოშვება გასაკვირი არ არის, მაგრამ ვფიქრობ, ახალი ხელისუფლების ძალოვანები ამ რისკის ასაცილებლად მზად არიან.

**— როდემდე შეიძლება ამ კრიმინალურ დაჯგუფებას, როგორც ოპოზიციას ისე ვუყუროთ, ძალა, რომელიც კანონგარეშეა, საერთოდ არ უნდა აიკრძალოს?**

— „ნაციონალური მოძრაობა" დამნაშავე პოლიტიკური ორგანიზაციაა. ჩემი აზრით, მისი პოლიტიკური ლიკვიდაციის შესახებ ფართო კამპანია უნდა დაიწყოს. თითქოს „ნაციონალური მოძრაობა" დღეს ოპოზიციონერები არიან, მათი უფლებები ილახება, ეს რა თქმა უნდა, თამაშია. თუ გავიხსენებთ, 9 წლის მანძილზე მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობებს, აღარ გაჩნდება კითხვა მსხვერპლია თუ არა ცნობილი მწამებელი და სადისტი ბაჩო ახალაია. ან არ გაჩნდება კითხვა — შეილახა თუ არა ვანო მერაბიშვილის უფლებები, როცა მას დაკითხვის დაწყებამდე კამერით იღებდნენ. რა თქმა უნდა, მერაბიშვილის უფლებები არ შელახულა, ხოლო თავად იგი ბევრ დანაშაულშია ეჭვმიტანილი და მონაწილე. ამიტომ, ჩემი აზრით, „ნაციონალური მოძრაობა", როგორც თავის დროზე ფაშისტური პარტია, ამ ქვეყანაში უნდა აიკრძალოს და ეს საზოგადოებამ უნდა გააკეთოს.

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**

# lagodexSi `beS jamalas~ epoqa grZeldeba

## თანამდებობების დააკვება ისევ იმ ადამიანებს სურთ, რომლებიც ლაგოდეხში ჩასულ ბიძინა ივანიშვილს „ხლაპუშკებს“ უფეთქებდნენ ფეხქვეშ?



დღე არ გავა, „ნაციონალურმა ტელეარხებმა“ „რუსთავი-2“ და „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ საკუთარი ტელეწამყვანების მუქარანარევი ხმით არ გვაუწყონ — რეგიონებში, თვითმმართველობის ორგანოებში, მოსახლეობა შეიჭრა და გამგებლებისა თუ საკრებულოს თანამშრომელთა გადადგომას უკანონოდ მოითხოვენო!

არადა, რატომ უკანონოდ? ნუთუ აქამდე, ანუ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე იგივე გამგებლები და საკრებულოები, მართლაც ხალხის რჩეულებით კომპლექტდებოდა? განა, ახალია ისიც, რომ რაიონის გამგებლებს, პირადად სააკაშვილის, ადეიშვილისა თუ მერაბიშვილის უშუალო რეკომენდაციებით ნიშნავდნენ და შემდეგ „ხალხის რჩეულთაგან“ ათას უკანონობას ითხოვდნენ „ნაცები“?

ამ მხრივ არც ლაგოდეხის რაიონი იყო გამონაკლისი და, ნებისმიერი ლაგოდეხელი დამეთანხმება, რომ წლების განმავლობაში ჯერ „მოქალაქეთა კავშირის“ და შემდგომ უკვე მათი პირმშო „ნაც. მოძრაობის“ არჩეულებმა“ ერთ დროს ბაღნარად ქცეულ რაიონს საბოლოოდ უტირეს დედა და თუ რამ გამოსახრავი იყო, ძვლამდე გამოხრეს. დიახ, სწორედაც, რომ დედა უტირეს (თუმცა, ამ შემთხვევაში, კახურად სხვა სიტყვა ითქმება ხოლმე), დალეწეს და გაყიდეს ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, დაწყებული ნაკრძალის პირას მდგარი ტურბაზით, თამბაქოს ქარხნით, ღვინის ქარხნებით, სასტუმრო-რესტორნებით, სარწყავი მილებით, მსუყე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით, ავტოსადგურებისა თუ სხვა „წვრილ-წვრილი“ ობიექტების ჩათვლით! ნებისმიერ ქვეყანაში სასაზღვრო ქალაქებში ეკონომიკა თუ მცირე ბიზნესი ჰყვავის, ფასები პროდუქციაზე დაბალია, მაგრამ ამას ასევე საზღვრისპირა ლაგოდეხზე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რადგან ამ რაიონში უკვე დიდი ხანია მეზობელ აზერბაიჯანში ვერც ვერავინ გადადის (მიუხედავად უვიზო მიმოსვლისა) და ვერც ვერავინ გადმოდის სავაჭროდ, რადგან საზღვრისპირა ზოლს იქით სასაზღვრო პოლიცია და აქეთ საბაჟოები (თავისი არაადამიანური მოპყრობითა და ფასებით) სისხლს სწოვენ რიგით მოსახლეობას და ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ხშირად ფიზიკურადაც უსწორდებიან მათ. მოკლედ, ლაგოდეხელების გაუსაძლისი ყოფა აგერ უკვე 20 წელს ითვლის და გრძელდება. არადა, საქართველოში საკოლმეურნეო ბაზრებში ბოსტნეული, ბაღჩეული თუ ხილი, პირველად ლაგოდეხიდან მოჰქონდათ გლეხებს და ლაგოდეხური კიტრი, პომიდორი, წიწაკა თუ მწვანილი განთქმული იყო. დღეს? დღეს ეს ყველაფერი მოკვდა, ანდა აქა-იქ, ზოგიერთ სოფლებში სულს ღაფავს, რადგან მიწის დასამუშავებლად საჭირო საწვავი ცეცხლის ფასი ღირს აზერბაიჯანიდან იაფი საწვავი ვერ გადმოაქვთ, ხოლო სასოფლო ტექნიკა, დიდი ხნის წინ, ნაწილ-ნაწილ გაიზიდა ადგილობრივი ხელმძღვანელობის ხელდასმით! ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ბოლო 20 წლის განმავლობაში, ლაგოდეხშიც კლანურმა მმართველობამ იმძლავრა, მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ხათრის, შიშის თუ უბრალოდ, გულგრილობის გამო ამ კლანებს ღიად არ უპირისპირდებოდა და მხოლოდ არჩევნების იმედად იყო დარჩენილი. მაგრამ... მაგრამ არჩევნებსაც ხომ ყოველთვის უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურებზე მდგომი კლანები ხელმძღვანელობდნენ და ამ „დემოკრატიულ პირამიდაში“, ადგილობრივი მოსახლეობიდან მხოლოდ რამდენიმე „რჩეულს“ ჰქონდა უფლება, თითო ლოდი დაედო „ძლიერთა ამა ქვეყნის“ უკვდავებაში? ჰოდა, ლაგოდეხის რაიონში, ერთ-ერთი ასეთი „რჩეული“, სოფელ კაბალის საკრებულოს თავმჯდომარე ჯამალ ნიაზოვი გახლდათ, რომელიც „ნაც.ხელისუფლებამ“ და რამდენიმე არასამთავრობომ რამდენიმე დღის წინ, ჩაგრულ „გმირად“ მონათლა, ხოლო მისთვის საფუძვლიანი გულისწყრომის მთქმელი ლუკა კურტანიძე კი — ქსენოფობად და რელიგიური შუღლის გამღვივებლად.

ძვირფასო მკითხველო, არაერთგზის მითქვამს, რომ ლაგოდეხის რაიონში ნებისმიერ არჩევნებს ნებისმიერი ხელისუფლება — მხოლოდ სოფელ კაბალის მეშვეობით იგებდა, რადგან ამ აზერბაიჯანულენოვან სოფელში მოსახლეობის რაოდენობა, მთლიანად რაიონის მოსახლეობას ოდნავ ჩამორჩება და მერწმუნეთ, მატერიალური თვალსაზრისითაც ჩვენზე უკეთ გამოიყურებიან.

ახლა, ვინ არის ჯამალა ნიაზოვი, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ სულ ახლახან დაკითხვაზე დაიბარა და შემდეგ გულის პრანჭვები დაემართა პროკურატურაში? — არ იკითხავთ? ვინ არის და როგორც მას ხუმრობით ეძახიან — „ბეშ ჯამალა“, რადგან ბოლო 8 წელია, ჯამალასაც და მის სოფლელებსაც ციფრმა „ბეშ“ (ხუთი, აზერბაიჯანულად) ქართველებისგან განსხვავებით დიდი სიკეთეები მოუტანა, სოფელი გაფართოვდა, გამდიდრდა, გამრავლდა და დღეს ყველაზე დიდი დოვლათი სწორედ ამ სოფელშია დაგროვილი. „ბეშ ჯამალა“, სულ „ბეში“ კი არ იყო კაცო, ბეშამდე შევარდნაძის მზეს ფიცულობდა და როცა არჩევნების დროს წერა-კითხვის უცოდინარ თავის თანასოფლელებს „ბირ“-ო (ერთს) შემოუძახებდა მთელი სოფელი, დიდიან პატარიანად დილაუთენია გარბოდა მოქალაქეთა კავშირისათვის ხმის მისაცემად და ამ საქმეში, ნიაზოვთან ერთად, მაშინდელი საკრებულოს თავმჯდომარე მურადხანოვიც აქტიურად ირჯებოდა. აბა, მაშინ იყო თუ იყო გაყალბება და ყალბი პასპორტების ფრიალი სოფ. კაბალში, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, არც 2012 წლის 1 ოქტომბერს იყო უმაგისობა.

დიახ, ლაგოდეხში, ნაც.მოძრაობის და ციფრი „ბეშის“ (ხუთიანის) გამარჯვებას ადგილობრივი ხელისუფლების და ჯამალ ნიაზოვთან შეთანხმება უძღოდა წინ და ლაგოდეხის დღევანდელი დეპუტატი გია გოზალიშვილი უკვე მერამდენე წრეზე კვლავ გამარჯვებული რომ დარჩა, სწორედ „ბეშ ჯამალას“ დამსახურებაა და სხვა არავისი.

„ქსენოფობების“ მიერ მხილებული „ბეშ ჯამალა“, პროკურატურიდან პირდაპირ აზერბაიჯანში რომ გააქროლა ლაგოდეხის ხელისუფლებამ, დავიჯერო, ეს არავითარ ეჭვს არ ბადებს? მეტიც, სწორედ დეპუტატმა გოზალიშვილმა რომ მიაცილა აზერბაიჯანის საზღვრამდე, დაცვა რომ გააყოლა და სავარაუდოდ, „კეთილი რჩევა დარიგებებიც“ გაატანა თან: „ჯემალ, აბა, შენ იცი, კრინტი არ დაძრა არაფერზე“-ო — ეგეც არაფერი? ახლა ვინმე ისე ნუ გამიგებს, თითქოს მე, პიროვნულად რაიმე პრობლემა მაქვს დღევანდელ დეპუტატ გოზალიშვილთან და რაღაც ბოღმა მალაპარაკებდეს, მაგრამ ჩემო გია! შენც ხომ კარგად იცი, რომ ჩვენს მშობლიურ რაიონში, კომუნისტების შემდგომ, ანუ 90-იან წლებიდან მოყოლებული, არჩევნებს აზერბაიჯანელები გაგებინებდნენ? სწორედ ამდაგვარი „არჩევნების“ ლოგიკური დასასრული კი ის იყო, რომ მთელი ლაგოდეხის რაიონში აგური-აგურზე არ დადებულა და რაც იმ პერიოდში იყო აშენებული, თითქმის ყველაფერი თქვენი ხელისუფლებების (ჯერ მოქ.კავშირი, შემდგომ კი ნაცები) პერიოდში დაინგრა და გასხვისდა. აბა, გულზე ხელი დაიდე და თქვი — შენი გამგებლობის, საკრებულოს თავმჯდომარეობის და დეპუტატობის დროს, რაიმე ღირებული, საშვილიშვილო და ჰაერივით სასიცოცხლო ერთი ობიექტი მაინც აშენებულა? კიდევ ვიმეორებ, ღმერთმა დამიფაროს, მაყვალა მასწავლებლის შვილს გული გატკინო, მაგრამ ჩვენს რაიონში დილითიდღე ყველაფერი უკან-უკან რომ მიდის, ვისი ბრალია — ჩემი თუ იმ კლანური მმართველობისა, რომლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი შენც ხარ? ანდა, რა შენი ბიძაშვილი „ბეშ ჯამალა“ იყო, ციმციმ რომ მიაცილე აზერბაიჯანის საზღვრამდე და მთელ რაიონს სალაპარაკო მიეცი? დალოცვილებო, 2012 წლის 25 სექტემბერს ლაგოდეხის რაიონში ჩამოსულ ბიძინა ივანიშვილს, ფეხებში „ხლაპუშკებს“ უფეთქებდით, ცხენებზე ამხედრებულ მის მომხრეებს ცემა-ტყეპას უმართავდით, შენ და შენი კლანი კაბალ-კაბალ დარბოდით, საქმეებს აკვარახჭინებდით და დღეს ისევ თქვენ გინდათ გამგებლობა, საკრებულოს თავმჯდომარეობა, დეპუტატობა თუ სხვა თანამდებობები? რა იყო, სხვა გვარები და სხვა ადამიანები დაწყევლილები არიან ჩვენს რაიონში თუ რაშია საქმე?

კიდევ ვიმეორებ, არც შენ მეჯავრები, არც „ჩიპე“ (გოზალიშვილის სიძე), არც „კირტანიჩა“ და არც არავინ მთელ რაიონში, მაგრამ 8 წლის განმავლობაში, ამ სისხლიან „ნაცებთან“ ერთად რომ ჯეჯილობდით და ახლაც თქვენ გინდათ რაიონის გამგებლობა იქნება თუ საკრებულოს თავმჯდომარეობა, ბნელა? იცი დღეში რამდენი ლაგოდეხელი მირეკავს —„ირა, იქნება რამე დაწერო, იქნებ „ოცნების“ თავკაცებს დაელაპარაკო, იქნებ ფაქტები დაუდო, მათ რომ ეს კლანი მმართველობაში აღარ დაბრუნდესო“, — მაგრამ, ხომ დაინახეთ, ერთი წინადადებაც კი არ დამიწერია თქვენს წინააღმდეგ ასევე არჩევნებამდე და არც არჩევნების შემდეგ? ახლა ახლა რატომ ვწერ, იცით? იმიტომ ვწერ, რომ ყველანაირ „საგამოცდო ვადას“ გასცდა თქვენი მოღვაწეობა და ვწერ იმიტომაც, რომ აღარ მინდა „ნაცების“ მოწილე პერსონები ვიხილო თანამდებობებზე, გამიგეთ?! ღმერთია მოწმე, ამ წერილის დაწერა არ მინდოდა, რადგან თითოეული თქვენთაგანი ჩემს ქალაქთან, ჩემს ბავშვობასთან და პირად ურთიერთობებთან მაკავშირებს, მაგრამ რომ არ მეთქვა, რასაც ვფიქრობ, არ შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ — თუკი ისევ თქვენი კლანი დაეპატრონება ხელმძღვანელ პოსტებს, ხვალ ლაგოდეხი, შესაძლოა ნაქალაქარს დაემსგავსოს. თუმცა ვფიქრობ, რომ უკვე დღეს ჰგავს და ძველი პეწი დიდი ხანია დაეკარგა მას, ძვირფასო მკითხველო!

ამ დღეებში ლაგოდეხის საკრებულომ ახალი გამგებელი უნდა აირჩიოს, მაგრამ თითქმის მთელმა რაიონმა იცის, ის რომ წარმოდგენილ კანდიდატთაგან ხმათა უდიდესი უმრავლესობით ალიბეგაშვილი ვალერი, იგვე „კირტანიჩა“, გაიმარჯვებს, ხოლო ე.წ. სოფლელები — კაპანაძე და გელაშვილი კი „სამართლიან არჩევნებში“ დამარცხდებიან! არადა, „კირტანიჩა“ 8 წლის განმავლობაში „ნაც. მოძრაობის“ ხელდასმით, ლაგოდეხის გამგეობიდან სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობდა და დღეს ამ რაიონის სახნავ-სავარგულები ასეთი „ნაყოფიერი“ რომ არის, რასაკვირველია, მისი დამსახურებაცაა, როგორც მითხრეს, ალიბეგაშვილის ერთადერთი რეალური კონკურენტი, თბილისელი კახა ჯამბურიაა, რომელიც მართალია თბილისში ცხოვრობს, მაგრამ ბებია-ბაბუა, ლაგოდეხელები ჰყავდა და პედაგოგები — ნინა და კარლო კალაძეები, ლაგოდეხელებს დღემდე ახსოვთ მათი განუსაზღვრელი ღვაწლის გამო. გარდა სახელოვანი წინაპრებისა, კახა ჯამბურიას კანდიდატურას თურმე დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელიც ლობირებს და იგი, ცნობილი ფეხბურთელი, აწ. უკვე ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ყოფილა, რომელიც კახა ჯამბურიას ალალ ბიძაშვილად ეკუთვნის პაპის კარლო კალაძის მხრიდან და სამტრედიაშიც გვერდიგვერდ უცხოვრიათ.

ახლა, ხომ საინტერესოა, ვინ და რა პარტიული წარმომავლობის არიან, ე.წ. „სოფლელები“ — ყარსუბნელი კოტე კაპანაძე და მევლუდ გელაშვილი? კოტე კაპანაძე წლების განმავლობაში მუშაობდა ლაგოდეხის საზღვრისპირა საბაჟოზე, მოგვიანებით დააწინაურეს და თბილისში, საგადასახადო ინსპექციაში გადმოიყვანეს „ნაცებმა“, მაგრამ შემდეგ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა და „ნაცებმა“ ახალგაზრდა კაცი ვითომცდა ქრთამის აღების ბრალდებით ციხეში გაისტუმრეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ბატონი კოტე, რასაკვირველია, არსად მუშაობდა, მაგრამ აქტიურად უჭერდა მხარს მაშინდელ ოპოზიციას და „ნაციონალების“ წინააღმდეგ რევანშისთვისაც ემზადებოდა. კოტე კაპანაძე ლაგოდეხის „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტივისტი გახლდათ და ადგილობრივ მაფიოზებთან, არჩევნებისწინა დღეებში ხელჩართულ ბრძოლაშიც ვიხილეთ.

შემდეგი კანდიდატი თამაზ ღონღაძეა, რომელიც კომუნისტური პარტიის შემდეგ არც ერთი პარტიის კუთვნილება არ ყოფილა და თუკი მას ლაგოდეხის „ნაცები“ გამგეობაში მუშაობის საშუალებას აძლევდნენ, აძლევდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ პროფესიონალი და წესიერების ეტალონი კაცია.

გასაკვირია, მაგრამ სოციალურ ქსელებში ლაგოდეხის გამგებლის პოსტზე 116 ადამიანმა დააფიქსირა საკუთარი კანდიდატურა! მაგრამ, როგორც ორიოდე დღის წინ შევიტყვე, „სიები“ გაცხრილულა და ადგილობრივი საკრებულო მხოლოდ 7 კანდიდატურაზე იმსჯელებს. „შესანიშნავი შვიდეულიდან“ კი ვის აირჩევენ, ეგ უკვე მარიფათის საქმეა, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების საქმეა და აქ, თბილისში, მიღებული გადაწყვეტილებაც არ იქნებოდა უადგილო და სულერთი.

მოკლედ, ყველაფერი რამდენიმე დღეში გახდება ნათელი, მაგრამ თუ ისევ „ნაცებმა“ იმძლავრეს ლაგოდეხში, როგორც ლაგოდეხელები მეუბნებიან: — მარტვილი მონაგონი იქნება, ისეთი უმართავი პროცესები დაიწყება იქ და შემდეგ ნურავინ დაგვმოძღვრავს, „საბოტაჟს“ ვუწყობთ ახალ ხელისუფლებასო!

და მართლაც, ერთხელ, თუნდაც ერთხელ, ხალხის არჩევანი გათვალისწინებული არ უნდა იყოს, ამის დედა ვატირე? აღარ უნდა ეს „ნაცები“ ლაგოდეხის საზოგადოებას და გაითვალისწინეთ მათი საფუძვლიანი პრეტენზიები ახალო ხელისუფალნო! და ერთიც, ის, ვინც ლაგოდეხში „ნაც. მოძრაობიდან“ 2012 წლის 28 სექტემბერს გადმოხტა და 1 ოქტომბრამდე „ოცნების“ დროშა აფრიალა არც თქვენი მხარდამჭერია და არც საქართველოს უკეთესი მომავლის. ასეთები ყოველთვის ყვარყვარეები იყვნენ იქნებიან და ლაგოდეხიც არ არის ამ მხრივ გამონაკლისი „ნაც.მოძრაობის“ რიგების დატოვება კი სრულებით არ გამორიცხავს იმას, რომ ამ ნაბიჯის უკან ტაქტიკური სვლა არ იგულისხმებოდეს, რადგან უკან დახევის შემდეგ, ყოველთვის შეტევა იწყება ნებისმიერ ომში და როგორც ვიცით, ამ ომს გაზაფხულიდან აპირებს ქართველების სისხლით გაუმაძღარი მიშა სააკაშვილი, თუ, რა თქმა უნდა, დასცალდა და იქამდე ბაჩო ახალაიას, ირაკლი ოქრუაშვილს და დანარჩენ დასაპატიმრებლებს არ მიუჯდა გვერდით მე-8 საპყრობილის „ვიპ“ საკანში.

ისე, რა მაგის პასუხია და, ლაგოდეხელ „ბეშ ჯამალაზე“, ხათუნა გოგორიშვილზე, მიშა მაჭავარიანზე და სხვა არჩევნების გამყალბებელ პროფესიონალებზე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას არ აპირებს დღევანდელი ხელისუფლება? ამას იმიტომ ვამბობ, რომ — არჩევნების გაყალბებაც დიდი დანაშაულია და უნდა ეპატიოთ „მარადმწვანე გამყალბებლებს“ ჩადენილი დანაშაული, ლაგოდეხში იქნება ეს თუ ობშკვითში?

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

# vaxuSti farcvania: batono biZina, Tqven dRes Tqveni garemocvis mZevali xarT _ gaarRvieT es alya da gadiT xalxSi, rom simarTle gaigoT...

**გვესაუბრება ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საზოგადოებრივი მოძრაობა „სამშობლოს მაძიებლების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ვახუშტი ფარცვანია.**

**— თქვენ დააფუძნეთ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანიზაცია „სამშობლოს მაძიებელნი“. აქტიურად უჭერდით და უჭერთ მხარს კოალიცია „ქართულ ოცნებას“. რა ხდება არჩევნების შემდეგ რეგიონში?**

— უნდა გითხრათ, რომ, სამწუხაროდ, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დღეს მძიმე სიტუაციაა, ვაპირებთ რეგიონში მყოფ პოლიტიკურად გათვითცნობიერებულ ადამიანებთან ერთად საკმაოდ სერიოზული განცხადების გაკეთებას იმაზე, რომ გამეფებული კლასიკური ორხელისუფლებიანობის საფრთხეებზე მივანიშნოთ ქართულ საზოგადოებრიობას.

ჩვენ რევანშის მოლოდინში მყოფი ნაციონალების გარემოცვაში ვცხოვრობთ. ისინი ამბობენ: აბა, ვნახოთ, როგორ აგიხდებათ ოცნება, ჩვენ ვემზადებით და მალე ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელოც შეისმებაო.

ამ და კიდევ სხვა საკითხების თაობაზე ბატონ ბიძინა ივანიშვილს 7 დეკემბერს წერილი დავუტოვე მთავრობის კანცელარიაში. იქ მითხრეს — ბატონი ბიძინა არავის ხვდება და ხშირ შემთხვევაში, წერილებს არც კითხულობსო.

**— და რას შესთავაზებდით ბატონ ბიძინას, რომ შეხვედროდით?**

— ჩვენ ვითხოვთ რეფერენდუმის ჩატარებას.

მე და ჩემს თანამოაზრეთა ჯგუფს, საკმაოდ გამოცდილ პოლიტიკურად მოტივირებულ ადამიანებს, ჩემი ხელმძღვანელობით შემუშავებული გვაქვს ადგილობრივი თვითმმართველობის თეორიული საკითხები ალტერნატიული ეკონომიკის შესახებ, განათლების შესახებ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ.

**— ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებიდან ჯერ არავისთვის გაგიცნიათ ეს პროგრამა?**

— ოცდაშვიდჯერ ვიყავი ბატონი ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციაში, „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში, მაგრამ ოცდაშვიდჯერვე ვიხილე გამოჯახუნებული კარი, დაუნახავი და უგულებელყოფილი რეალობა.

**— ვისთან იყავით, არ შეგიძლიათ გვითხრათ?**

— თუ ბატონი ბიძინა ინებებს, ჯერ მას ვეტყვი ამას პირადად. მისი გარემოცვიდან თითქმის 90 პროცენტი ასე იქცევა.

ბატონ ბიძინას უთქვამს, კადრები ჭირსო, მართალია, კადრები ყოველთვის ჭირდა, მაგრამ ჩვენთან იმდენი კადრი კი მოიძებნება, ხუთი საქართველოს ტოლ ქვეყანას რომ ეყოფა მთავრობის და პარლამენტის დასაკომპლექტებლად.

უბრალოდ, ჯერ არ შექმნილა ისეთი სამართლიანი პოლიტიკური მექანიზმი, რომელიც შეძლებდა გამოევლინა პროფესიონალი ადამიანები.

სამარცხვინოა, რაც ხდება ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ რეგიონებში. რიტორიკა ასეთია — წავიდეს, გადადგეს, მოშორდეს აქაურობას. პირდაპირ ვიტყვი — არ არის ეს სწორი. ნაციონალები უნდა ჩამოშორდნენ მმართველ პოსტებს, მაგრამ მათი მოცილების ფორმა უნდა გამოინახოს.



**ვიმეორებ, ჩვენ ვითხოვთ საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარებას — მოხდეს კონსტიტუციური ცვლილება და ჩატარდეს ვადამდელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, თუმცა საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაც არ იქნებოდა ურიგო.**

რამდენიმე კვირის წინ კიდევაც მიანიშნა ამის შესახებ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, რომლის პატრიოტობასა და მამულიშვილობაში ეჭვიც არ მეპარება. მე მჯერა ბიძინა ივანიშვილის და ღმერთმა არ ინებოს, ეს რწმენა შემეცვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანთან შეხვედრისთვის აბსოლუტურად დაბლოკილი ვარ, მე გავარღვევ ამ შეკრულ წრეს და შევხვდები ბიძინა ივანიშვილს.

**— როგორც ვამჩნევ, ახალი პარლამენტის შემადგენლობაც არ მოგწონთ.**

— დიახ, არა მხოლოდ ახალი პარლამენტის შემადგენლობა, არამედ უმრავლესობის საკადრო პოლიტიკაც. არ მომწონს რეფორმები განათლების სისტემაში, კულტურაში... ჩემი აზრით, არაა საკმარისი ივანიშვილთან მცირეხნიანი მეგობრობა, ზოგიერთ მინისტრს მეტი კომპეტენცია, მეტი გამოცდილება და მეტი დამსახურება უნდა ჰქონდეთ ქვეყნის წინაშე.

დაგისახელებთ ყველას სახელებს და გვარებს, არავის არ მოვერიდები, ვინც ხელს შეუშლის საქართველოს მომავალს.

**— კერძოდ?**

— არ მიმაჩნია სწორად, რაც ხდება რუსეთთან მიმართებაში.

არასწორი იყო ზურაბ აბაშიძის დანიშვნა. ბატონი ზურაბი განათლებული კაცია, კულტურული, ზომიერი. მოგეხსენებათ, პეტერბურგში ვმუშაობდი გარკვეულ ხანს და შევარდნაძის პერიოდში ელჩობის დროიდან ვიცნობ მას. ზურაბ აბაშიძეს ქართულ-რუსული ურთიერთობის საკითხში არაფერი გაუკეთებია, იგი თვალშისაცემად ინდიფერენტული იყო ყოველთვის. ახლა ამის დრო აღარ არის, აქტიური ქმედებებია საჭირო.

რუსეთთან ურთიერთობა სახალხო დიპლომატიით არის დასაწყები — სასულიერო პირები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ხელოვანები უნდა ჩაერთონ ამ საქმეში.

თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებული პრიორიტეტულობაც მაკვირვებს. რაში სჭირდება საქართველოს უზარმაზარი შეიარაღება, ჯარი და ა.შ.

სოფლის მეურნეობას რაც შეეხება, ის დანაპირები, რაც ითქვა, არ შესრულდება კი არა, ვერ შესრულდება ახლა, ორხელისუფლებიანობის პირობებში.

ბევრ რამეს ვიტყოდი კიდევ, მაგრამ არ მინდა ვინმემ თქვას ვახუშტი ფარცვანია საქმეს ურევსო. ასეთი განზრახვა არ მაქვს. უბრალოდ, არ მინდა ყურადღება მოუდუნდეს ხელისუფლებას.

ბატონებო, რეგიონებში არასახარბიელო ვითარებაა. უბრალო გლეხი უკიდურეს გაჭირვებაშია. უკვე მერამდენე ახალი წელი აღარ უხარია ქართველ გლეხს, მაგრამ ამდენი სიდუხჭირე ბოლო-ბოლო გულგრილობას ქმნის და შედეგი ის არის, რომ ქართულ ბაზრებში მყიდველი არ ჩანს. მე მოვლილი მაქვს ქუთაისის, ხონის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ბაზრები. გამყიდველები დგანან, მყიდველი ბაზარში არ შემოდის.

**— ბატონო ვახუშტი, ახალი ხელისუფლება ნაცმოძრაობის დამნაშავე წარმომადგენლებს იჭერს და ასამართლებს, მაგრამ ხალხში მაინც უკმაყოფილებაა. რა უნდა ქნან, მთელი ნაციონალური პარტია უნდა დააპატიმრონ?**



— ძალიან მიკვირს იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი რატომ იტეხენ ზედმეტ თავის ტკივილს. ჩაატარონ საერთო-სახალხო გამოკითხვა და დაინახავენ, რომ მათ ხალხი გაასამართლებს, ხალხი გამოუტანს განაჩენს.

**ნაცმოძრაობა, ეს პარაზიტული, ქვეყნის დამანგრეველი გაერთიანება აკრძალულად უნდა გამოცხადდეს. მათ 2003 წელს საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთხელ განახორციელეს ქვეყნის კონსტიტუციური გადატრიალება და დაარქვეს ამას „ვარდების რევოლუცია“,**

მიწასთან გაასწორეს მსოფლიო დონის ქართული სამეცნიერო სკოლები, მოსპეს ჯანდაცვის სისტემა, კულტურის და ხელოვნების ყველა სფეროს სასტიკად ემტერებოდნენ, მოსპეს ქანდაკებები, გაანადგურეს მუზეუმები, ტრანსფორმირება დაიწყეს ქართული მუსიკის — ოპერის, ესტრადის; პროზის, პოეზიის, მოსპეს ქართული კინოხელოვნება, განზრახული ჰქონდათ და ახორციელებდნენ არატრადიციული აზროვნების დამკვიდრებას და ახალი ტიპის ქართველის შექმნას, ებრძოდნენ ქართულ ეკლესიას, ეკონომიკა გაანადგურეს, იმატა მიგრაციამ, რის შედეგადაც დაინგრა ბევრი ოჯახი, ახალგაზრდები მასიურად „განიდევნა“ ქვეყნიდან, რამაც, საბოლოო ჯამში, დემოგრაფიული კატასტროფა გამოიწვია...

**ნაციონალებმა ჩაიდინეს საუკუნოვანი დანაშაული, როცა ზემო აფხაზეთი დაარქვეს დალის ხეობას, სამაჩაბლოს ტერმინი სამხრეთ ოსეთი დაუმკვიდრეს და მიუერთეს ახალგორიც, რაც წარმოუდგენელი დანაშაული გახლავთ.**

ამათ დანალმეს ქვეყანა და შედეგიც მივიღეთ. რაც მოხდა 2008-ში იმის შედეგია, რომ საბოლოოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც წაგვართვეს აფხაზეთი და სამაჩაბლოს ტერიტორია, გამრავლდა დევნილთა რიცხვი, ჩაიხოცნენ ახალგაზრდები...

**წინა ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკა იყო მავნებლური, ამიტომ საკითხი მარტივად გადასაწყვეტია: აიკრძალოს ნაცმოძრაობა და ქვირფასო ქალბატონო თეა წულუკიანო და ბატონო არჩილ კბილაშვილო, მერე უნდა მოხდეს ამ სუბიექტების სათითაოდ განსჯა.**

ქართველი ხალხის ნებას უნდა ემსახუროს ყველა და აქედან გამომდინარე უნდა კეთდებოდეს ყველაფერი.

**ბატონო ბიძინა, ღირსეულო მამულიშვილო, დროა, დაიწყოთ რეგიონებში სიარული. თქვენ შეჰპირდით მეგრელ ხალხს, რომ პირველად აქ ჩამოხვიდოდით. იმ ადამიანებს, ვინც თქვენს გარემოცვას წარმოადგენს, ნუ ენდობით ბოლომდე, რადგან ხალხი ეჭვობს, თითქოს თქვენ გარემოცვის მძევლად იქეცით. მძევლობაში დალუპა ზვიად გამსახურდია. ნურც მძევალი გახდებით, ნურც მსხვერპლი, გადით ხალხში და ნახავთ, რამდენ ძვირფას მამულიშვილს უყვარხართ და რამდენი კარგი ქართველი ამოგიდგება მხარში.**

როგორც ვთქვი, სამეგრელოს რეგიონის და პირადად ჩემი სახელით დავტოვე პატარა წერილი სახელმწიფო კანცელარიაში, დიდი დრო არ სჭირდება, ხუთ წუთში წასაკითხი ბარათია და იუწყება, რომ სამეგრელოს რეგიონი მზადაა თქვენთან თანამშრომლობისთვის, თანადგომისთვის, თუ დაგვანახებთ, რომ ამ ახალ მთავრობასაც ეს სურს.

**— ბატონო ვახუშტი, რამდენადაც ვიცი, თქვენ პროპორციულ სიაშიც იყავით „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან“.**

— მე და ირაკლი ალასანია ერთად ვიბრძოდით და ზუსტად ვიცი, გულწრფელი იყო ჩემთან დამოკიდებულებაში, როცა ამბობდა: თქვენისთანა დეპუტატი მოუხდება ზუგდიდს და გადავწყვეტთ საკითხს პროპორციულ სიაში რომ მოხვდეთ ზუგდიდის რაიონშიო. მერე ირაკლიმ თქვა: ჩემი წინადადება ბატონ ბიძინასაც მოეწონა და ეს საკითხი დადებითად გადაწყდაო, მაგრამ არათუ სიაში, არამედ ისიც ვერ გავარკვიე, ვარ თუ არა საერთოდ პარტიის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, მტრად აღვიქმები თუ მოყვარედ. ისიც ვიცი, არჩევნებამდე ორი დღით ადრე პროპორციული სიიდან რომ ამომიღეს და ისიც ცნობილია ჩემთვის, ვინ იყო ჩემი დისკრედიტაციის მოსურნე.

**— ვინ გმტრობთ, გვითხარით, ბატონო ვახუშტი.**

— ბატონ ბიძინას მე აუცილებლად შევხვდები და მივაწოდებ ინფორმაციას იმ პერსონებზე, ვინც თითქოსდა ერთგულობენ მას და ამ დროს თითს თითზე არ აკარებენ მის სასარგებლოდ. არგუმენტებით და ფაქტებით დავამტკიცებ ამას. ახლა, ზურგს უკან, არავის სახელს და გვარს არ დავასახელებ. პირდაპირ ვეტყვი სიმართლეს იმას, ვისაც ეკუთვნის ეს სიმართლე.

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

# საქართველოს იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს

ათეული წლების განმავლობაში პატიოსნად ვემსახურე ჩემს ქვეყანას და ჩემი სატკივარით, პრობლემით, სიხარულით ან მწუხარებით არასდროს შემიწუხებია ღრმად პატივცემული ქართული საზოგადოება, მაგრამ დღეს ჩემი და ჩემი ოჯახის გარშემო სრულიად მოულოდნელად და უსამართლოდ თავს დატეხილ უბედურებაზე მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო.

იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა მე ვცხოვრობ, გასული საუკუნის, ალბათ, დაახლოებით, 50-იან წლებში გლაზოვების ოჯახი დაფუძნდა. ააგეს იქ პატარა ქოხი. გლაზოვების კარმიდამო მაშინ ახლანდელი ზემო ვეძისის №111-ში დარეგისტრირდა. მალე მათ მიტაცებული 600 კვ.მ ფართობიდან 150 კვ.მ ვინმე მირონოვს მიჰყიდეს პატარა სარაიითურთ. მირონოვს საკუთრების დასამტკიცებლად საბუთები დასჭირდა, რაც ვერ მისცეს გლაზოვებმა, რადგან მათ ეს მიწა, როგორც ვთქვი, თვითნებურად ჰქონდათ მიტაცებული და კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტი თავადაც არ გააჩნდათ. ამიტომ მირონოვს, როგორც ჩანს, შესთავაზეს გაეყიდათ ეს მიწა — ჩვენ მოვაგვარებთ პრობლემას ახალ მფლობელთანო. ეს ახალი მფლობელი ჩესნაკოვი აღმოჩნდა, რომელმაც ამ მიწაზე არსებული პატარა ფარდულის ნაცვლად ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა აიშენა.

მალე გლაზოვებმა საჩივარი შეიტანეს სასამართლოში, ამჯერად, ახალმოსახლე ჩესნიაკოვის წინააღმდეგ — ჩვენი კარმიდამო ძალადობით მიისაკუთრაო. მაშინ მიხვდა ჩესნიაკოვი, რა შარშიც ჩავარდა, წავიდა მოსკოვში და იქიდან მაშინდელ ცნობილ გაზეთს „ზარია ვოსტოკას" განუცხადა თავისი გასაჭირის შესახებ.

„ზარია ვოსტოკამ" იმ პერიოდში მოსწერა თბილისს — სასწრაფოდ განიხილეთ ჩესნიაკოვის საკითხიო.

ყოფილი ორჯონიკიძის რაიონის და უმაღლესმა სასამართლომ ეზო საცხოვრებლითურთ ჩესნაკოვს მიაკუთვნა. ამასობაში ჩესნიაკოვმა მის მეორე მხარეს არსებული მიწის ნაკვეთიც შეიძინა და გლაზოვებთან მიმდინარე სასამართლო დავისას ორივე მიწის ნაკვეთთან 300კვ.მ დაიმტკიცა ვაზისუბნის 123 ნომრად. ასე რომ, ჩესნიაკოვს სასამართლოთი უკვე ჰქონდა დამტკიცებული 300 კვ.მ. მიწის ფართობი თავის ერთ ოთახთან ერთად.

1975 წელს, როცა მე სტუდენტი გახლდით, ეს მიწის ნაკვეთი ჩესნაკოვისგან შინაურული ხელწერილით შევიძინე. აღმასკომმა გასცა ჩემზე საბინაო წიგნი და №29 გადაწყვეტილებით ეს მიწა და სახლი ერთი ოთახით მე მომაკუთვნეს. საბუთი ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში მივიტანე და რადგან, როგორც აღმოჩნდა და ლოგიკურიც იყო, ჩესნაკოვი მიწის გადასახადს დამოუკიდებლად იხდიდა, მეც ოცდამეჩვიდმეტე წელიწადია ყველა გადასახადს და მათ შორის საკუთარი მიწის გადასახადს თვითონ ვიხდი.

მე დღეს ჩემთვის გაურკვეველი სახის და მოტივის დავა მაქვს გლაზოვებთან და სასამართლო რატომღაც „ატსტუპნიკად" მიმიჩნევს, თუმცა არავითარი კავშირი ამ 37 წლის განმავლობაში მე გლაზოვებთან არ მქონია.

მაგრამ დავუბრუნდეთ საქმეს: გლაზოვებმა ჩესნაკოვს რომ მიწის ნაკვეთი მიჰყიდეს, ამასობაში თავიანთი ნაკვეთიდან კიდევ გაყიდეს 110 კვ.მ. ცალკე და 170 კვ.მ. ცალკე. იმ პერიოდში ამ ყიდვა-გაყიდვაში საკმაოდ სერიოზული თანხა 4100 და 4700 რუსული რუბლიც აიღეს და ახლა, ეტყობა, ხელახლა სურთ ჩემი მიწის, როგორც „თავიანთი საკუთრების" გაყიდვა მავანთა დახმარებით.

სასამართლო ინსტანციები ჩესნიაკოვისთვის მიწის ნაკვეთის მიკუთვნების საკითხს საერთოდ არ განიხილავს და არც მიიჩნევს კანონიერად.

ნოტარიუსს, ქალბატონ ეკა ცხადაძეს ჩემთვის გაუგებარ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, გლაზოვებისთვის 750 კვ.მ. ფართობზე აქვს სამკვიდრო დამტკიცებული 2008 წელს.

ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი, რადგან გლაზოვები ზემო ვეძისის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, ხოლო მე ვაზისუბნის 123-ში. ქალბატონმა ცხადაძემ კი სამკვიდროს გაცემის დამამტკიცებელი დოკუმენტი ვერ წარმოგვიდგინა, მაგრამ ზემო ვეძისის 111-ის ნაცვლად გაცემული აქვს ვაზისუბნის ქ. №121-ზე, სადაც საერთოდ არ უცხოვრიათ.

მაგრამ, მოდით, საკითხში უკეთ გასარკვევად, თანმიმდევრობით გავაგრძელოთ: 2009 წლის ბოლო იყო. გლაზოვებს იშვიათად ვხვდებოდი და იმ დღესაც შემთხვევით შემეფეთა. მიკითხ-მოკითხვის შემდეგ მან მითხრა: ჩემი საცხოვრებელი მე დავიკანონე, შენ არ აპირებო? რომ ვთხოვე, საბუთები მაჩვენე, რა დაიკანონემეთქი, აღმოჩნდა, რომ ქალბატონ ლუბოვ გლაზოვას საცხოვრებელი გადამისამართებით ვაზისუბნის 121-ში ჰქონდა დარეგისტრირებული 600 კვ. მ.-დან 178 კვ.მ. მაშინ გამიჩნდა ეჭვი, მივაკითხე საჯარო რეესტრს. რეესტრში კი ჩემი საკუთრების დამადასტურებელი აღმასკომის №29 გადაწყვეტილება გამქრალი აღმოჩნდა. ეხლა ეს დოკუმენტი მხოლოდ არქივშია.

მაშინ განცხადებით მივმართე მერიას, სპეციალურ სამსახურს და საჯარო რეესტრს, მაგრამ ამ პროცესმა 6 თვეს გასტანა. 2010 წლის 13 ივლისს განიხილეს ჩემი საკითხი. შეკრებას ესწრებოდნენ მაშინდელი ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლებიც. საკითხის ჩემს სასარგებლოდ გადაწყვეტაზე თითქოს ყველა შეთანხმებული იყო, რომ უცებ წამოდგა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **აბესაძე**, იგი დაუკავშირდა საჯარო რეესტრს და გაირკვა, რომ 8 ივლისს, ანუ კრებიდან ოთხი დღით ადრე უკვე დაერეგისტრირებინათ ჩემი ქონება გლაზოვებისთვის.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლე **ქოჩიაშვილმა** ჩესნაკოვისთვის მიყიდული ფარდულის გაყიდვის საფუძველზე მომთხოვა საცხოვრებელი 300 კვ.მ. ეზო და 120 კვ.მ. სახლი დამეთმო 9000 ლარად. ამაზე სასტიკი უარი განვაცხადე, მოწინააღმდეგე მხარემ სარჩელი დადო, თითქოს „ატსტუპნიკი" ვყოფილიყავი. რაზეც ჩვენ შეგებებული სარჩელი წარვადგინეთ. სარჩელი უარით გამოისტუმრა **ქოჩიაშვილმა**, რაც აპელაციაზე ჩემთვის დაკმაყოფილდა მოსამართლე **იოსელიანის** მიერ და დაევალა ქოჩიაშვილს ჩემი სარჩელის განხილვა.

მე ყველა საბუთი მოვიპოვე, ისიც კი, თუ როგორ უკანონოდ შეცვალა ლუბოვ გლაზოვამ ზემო ვეძისის ნომერი 111 მისამართით ვაზისუბნის 121. როგორც ეტყობა, „კარგმა" მრჩეველმა ურჩია გლაზოვებს, მიწის გაყიდვის ახალი მაქინაციის დასაწყებად ზემო ვეძისის ქუჩიდან ვაზისუბნის ქუჩაზე დარეგისტრირება უფრო ხელსაყრელი რომ იქნებოდა. მათ ამ მისამართზე არც ჩაწერა და არც დოკუმენტი არ გააჩნიათ.

საჯარო რეესტრში მაშინ მოვითხოვე აღმასკომის გადაწყვეტილება, რომელიც 1977 წელს უნდა ყოფილიყო გაკეთებული ჩემი ამ მიწის ნაკვეთის მფლობელობის



დასადასტურებლად. წიგნი მოიტანეს, მაგრამ მე მხოლოდ ყდა მაჩვენეს, ხოლო გლაზოვების კუთვნილების დადასტურება თითქმის უაპელაციოდ მიმდინარეობდა.

ახლა გლაზოვებს ახალი ადვოკატი ჰყავთ, რომლის რჩევის საფუძველზე ისინი ჩემი საცხოვრებელი სახლიდან აყრის შემთხვევაში, ადრე შემოთავაზებული 9 000 ლარის ნაცვლად, 35 000 დოლარს მთავაზობენ, როცა იმ ტერიტორიაზე, სადაც უკვე, ვიმეორებ, 37 წელიწადია ვცხოვრობ, 1 კვ. მ. მიწის ფასი, დაახლოებით, 1000-დან 1200 დოლარამდეა.

უბრალო არითმეტიკაა, მე რომ აქედან გამაგდონ, გლაზოვები ჩემს კარმიდამოს დაახლოები, ნახევარ მილიონ დოლარად გაყიდიან. აი, სადაა ძაღლის თავი დამარხული.

ერთადერთი მოსამართლე, რომელიც კანონიერად მისდევდა საქმეს, მოსამართლე **ნინო შარაძე** გახლდათ. ჩვენდა სამწუხაროდ, ქალბატონი შარაძე ისე ჩამოაცილეს ამ საქმეს, რომ არც ერთ მხარეს მასზე აცილება არ მიუცია... იგი შეცვალა კუბლაშვილების მოსამართლე **ინგა კვაჭანტირაძე**მ.

გლაზოვების საბინაო წიგნში გაკეთებული ჩანაწერი, რომელიც მოვითხოვე, მაგრამ თვალით არ მინახავს, მოსამართლე კვაჭანტირაძემ გარედან დაგვანახა, მერე გაცნობილად გამოაცხადა და ამით შემოიფარგლა. ჩანაწერზე არც ექსპერტიზა ჩატარებულა. წიგნზე კი აწერია ინაშვილის ქუჩა №111. თუ ინაშვილის ქუჩაზეა საუბარი, რა შუაშია ვაზისუბნის ქუჩა №121? იკითხავს დაინტერესებული მკითხველი — ზემო ვეძისის ქუჩას ადრე ინაშვილის ქუჩა ერქვა!!

დღეს ჩემი ბინის და ეზოს საკითხზე, გაყალბებულ პირადობის მოწმობაზე დაყრდნობით, სასამართლო გრძელდება.

სარჩელი სააპელაციო სასამართლომ უკვე განიხილა და რაც აქამდე იყო, იგივე გადაწყვეტილება დატოვა.

პატრიარქი აცხადებს: „თითოეულმა ჩვენგანმა ჩვენი წილი საქართველო უნდა დავიცვათო". მე ვიბრძვი და ვცდილობ დავიცვა ჩემი სიმართლე და ჩემი წილი კარმიდამო ჩემს სამშობლოში, დავიცვა ჩემი ოჯახის წევრები, შვილები და შვილიშვილები გლაზოვების და მის უკან მდგომთა ძალადობისგან, თუმცა გლაზოვებს იმაში, რომ განმდევნონ ჩემი სახლ-კარიდან მხარს უჭერენ „ნაციონალური მოძრაობის" დროინდელი მოსამართლეები. ერთადერთი ადამიანი, ვინც ჩემს საქმეში სიმართლის მხარეს იყო ქალბატონი ნინო შარაძე გახლდათ, რომელსაც, როცა ამ საქმეს ჩამოაშორეს, მაშინ უთქვამს — თუ სამართალი არ გინდათ, თავი დამანებეთო და ხელი ჩაუქნევია.

ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა I ინსტანციის მოსამართლე **კვაჭანტირაძე**ს და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს: **ჩოხელს, მამულაშვილს და კობახიძეს** აშკარად არ სურთ საპასპორტო რეჟიმის ხელის შეშლა. მათ აშკარად დაიცვეს გლაზოვას გაყალბებული მოწმობა. გაყალბებულ პირადობის მოწმობას ხელს აფარებენ საჯარო რეესტრშიც. ეს საქმე ცნობილია **გიორგი ვაშაძისთვისაც** და მისი მოადგილეებისთვისაც.

**მე სამართალს მაინც ვიპოვი, თუ არა, ცოცხალი თავით ჩემი კარმიდამოს დამტოვებელი არ ვარ. მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული ძალები მებრძვიან გლაზოვების ხელით და საკუთარ სამშობლოში ხიზნად უნდათ რომ მაქციონ.**

ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ ცოტა უკან დაიხიეს, მით უფრო, რომ მე უკვე დავწერე განცხადება იუსტიციის მინისტრის, ქალბატონი **თეა წულუკიანის** სახელზე. (№01-64252, 30.X.2012, დანართი 32 გვ).

დიდი იმედი მაქვს, რომ ახალი, ეროვნული მთავრობა სამართლიანად განიხილავს და გადაწყვეტს ჩემს საკითხს და არ განმეორდება გასული წლების სცენარი, რომელიც ახლაც ძველ მოსამართლეთა მეშვეობით გრძელდება. როცა ხელსაყრელი მიწის ფართობების ხელში ჩასაგდებად ნაციონალური ხელისუფლება საკუთარ თანამემამულეებს უსახლკაროდ ტოვებდა, ქართველი კაცის ნაჯაფ და ნალოლიავებ კარმიდამოს ან უცხოელებს აძლევდა მამასისხლად ან პრესტიჟულ ადგილას ახალ კორპუსებს თუ საოფისე შუშის შენობებს აგებდა.

**ჩემი ვარაუდით, გლაზოვების ოჯახს, რომლებიც საქართველოდან წასვლას აპირებენ, ამ უკანონო დავაში ზურგს ძველი, ფულით და ქონებით გაყოყოჩებული ბობოლა ნაციონალები უმაგრებენ, რომლებსაც კერძო და ვიწრო პირადული ინტერესები აქვთ ქალაქის ამ შესანიშნავ ადგილზე.**

ვის არ მივმართე განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, ამერიკის ელჩს რიჩარდ ნორლანდს, თუმცა ყველაფერი ძველებურადაა.

1 ოქტომბრის არჩევნებმა პირდაპირ სულზე მომისწრო, რადგან ძველი ხელისუფლება რომ დარჩენილიყო, მე ამ ახალ წელს შემთხვევით აჩეხვას გადარჩენილი ჭადრის ხის ქვეშ გავატარებდი, ალბათ, ჩემს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

ჩემი საქმე სამართლიანია და ეს ქართული სასამართლოს პრესტიჟის საკითხიცაა. დროა, აღსრულდეს სამართალი და ახალი ხელისუფლების პირობებში მაინც მივაღწიო იმას, რომ საქართველოში ქართველ კაცს მიწა და სახლი, თანაც უკანონოდ, არ წამართვან.

**ჯემალ ხარჩილავა**
593 98 48 22
555 37 73 38
2 37 73 38
**ვაზისუბნის ქ. #123**

***რედაქციისაგან***: **წინა ხელისუფლების მოსამართლეების უსამართლობის და თვითნებობის შესახებ იმდენი რამ გვსმენია, ძნელია რაიმე გაგიკვირდეს, მაგრამ იმ ხაზგასმული უტიფრობით, ცინიზმით და თავხედობით, როგორც ჯემალ ხარჩილავას რამდენიმე წელია მოსამართლეები ექცევიან, მაინც გაოცებული და გაოგნებული რჩები.**

**37 წელია ადამიანი თავის კარმიდამოში, თავის სახლში ცხოვრობს და, აი, ახლა, 37 წლის შემდეგ, გაყალბებული „დოკუმენტებით" ცდილობენ თავისი სახლიდან გამოასახლონ, რომ შემდეგ სარფიანად გაყიდონ ეს ძვირადღირებული კარმიდამო.**

**სახეზეა კლასიკური ტიპის აფიორა და თაღლითობა, რომელსაც რატომღაც ვერა და ვერ ამჩნევენ „მიუკერძოებელი" და „ობიექტური" მოსამართლეები.**

**მოსამართლეებიო კი ვამბობდთ, მაგრამ, შეიძლება, კი ასეთი საქმის ჩამდენ ადამიანებს მოსამართლეები ეწოდოს?**

**რა მიზვედრა უნდა იმას, რომ გლაზოვებს ვიღაც გავლენიანი პირი (ჯემალ ხარჩილავამ იცის ამ პირის ვინაობა) უმაგრებს ზურგს, რომელმაც მოახერხა და თემიდასაც, ნოტარიუსსაც და ექსპერტიზასაც აუხვია თვალი.**

**გაგიგონიათ სადმე, მომჩივანს საბინაო წიგნის ყდას აჩვენებდნენ მხოლოდ და იმის უფლებას არ აძლევდნენ, წაიკითხოს, რა წერია ამ წიგნში?**

**„საერთო გაზეთი" სამართლის აღსრულებამდე ჯემალ ხარჩილავას საქმის მსვლელობას და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს სამართალი აღსდგეს.**



# `erovnuli forumi~ `qarTuli ocnebas~ uerTdeba

***გასულ კვირას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში“ „ეროვნული ფორუმის“ შერწყმის შესახებ. რატომ მაინცდამაინც „ეროვნულ ფორუმი“ და კონკრეტულად როდის მოხდება ორი პარტიის გაერთიანება? „საერთო გაზეთს“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მანანა კობახიძე ესაუბრა.***

**— ქალბატონო მანანა, „ეროვნული ფორუმი“, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ უერთდება. რატომ, რა არის მიზეზი და რა ნიშნით შეირჩა კახა შარტავას პარტია?**

— მოგეხსენებათ, „ფორუმი“ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური სუბიექტია. მას შემდეგ, რაც საპარლამენტო არჩევნებში კოალიციამ გაიმარჯვა და საკანონმდებლო ორგანოში ჩამოყალიბდა სხვადასხვა ფრაქციები, უმრავლესობის ფორმატში „ეროვნულმა ფორუმმა“, მიუხედავად ამისა, რომ შესაძლებლობა ჰქონდა, დამოუკიდებელი ფრაქციის ჩამოყალიბებაზე უარი განაცხადა. ვინაიდან „ეროვნული ფორუმის“ მთავარი მიზანი მიღწეულია ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლით, საუბარია იმ ძირითად ამოცანებზე, რაც „ფორუმს“ გააჩნდა, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობა“ გავისტუმრეთ ხელისუფლების სათავეებიდან. შესაბამისად მათ შეუძლიათ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ შიგნით გააგრძელონ პოლიტიკური საქმიანობა, რასაც მოვესალმებით უნდა ჩატარდეს პარტიების ყრილობები და ორგანიზაციულად მოხდება შესაბამისი საკითხების გადაწყვეტა. ჩვენს პარტიას არ გააჩნია იმდენი რესურსი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების დაკომპლექტება შეძლოს. „ეროვნული ფორუმის“ წევრები, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანდებიან, მათი რესურსი ადეკვატურად იქნება გამოყენებული და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის უფრო ნაყოფიერად მოვემზადებით.



**— ოფიციალურად როდის მოხდება პარტიების გაერთიანება?**

— იურიდიული და ფორმალური საკითხების გადაწყვეტაზე კონსულტაციები დაწყებულა. მოგეხსენებათ, კოალიციაში შემავალი პარტიების წარმომადგენლების უმრავლესობა პარლამენტში, ნაწილი მთავრობაშია, ახლადშექმნილ ხელისუფლებას ბევრი სამუშაო გვქონდა და ვერ მოვიცალეთ აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად. მას შემდეგ, რაც პარლამენტის საშემოდგომო სესიის მუშაობა დასრულდება და იანვარში ე.წ. არდადეგები გვექნება, ორივე პარტიას საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად მეტი დრო გვექნება.

**— ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის „ფორუმი“ კახა შარტავას თავმჯდომარეობით შევა „ქართული ოცნების“ პარტიაში, თუ მის გარეშე. როგორც პრემიერმა განაცხადა: „კახა შარტავას რამე სახის თანამშრომლობა პოლიტიკასთან არ უნდა“. რა ვითარებაა ამ კუთხით?**

— კახა შარტავა პარტიების გაერთიანებასთან დაკავშირებით მიმდინარე, კონსულტაციებში აქტიურად მონაწილეობს. თუმცა დაზუსტებით ვერ გეტყვით, რა პოზიციას დაიკავებს, ეს მისი გადასაწყვეტია. მართალია, კახა შარტავა არაა დასაქმებული, არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკიდან წასულია და პოლიტიკურ პროცესებში არ მონაწილეობს. ის „ეროვნული ფორუმის“ ლიდერია და „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში“ გაერთიანების შემდეგ არ გამოვრიცხავ, მას თავისი სტატუსი პარტია „ქართული ოცნების“ სახელით ჰქონდეს.

**— ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნო პერიოდში განაცხადა, რომ შესაძლებელია საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშალოს. ერთგვარად ფორუმის გაერთიანება „ქართული ოცნების“ პარტიაში კოალიციის დაშლის წინაპირობა ხომ არ არის?**

— თავის დროზე კოალიციის შექმნას თავისი მიზანი ჰქონდა. გვებრძოდა სერიოზული მოწინააღმდეგე „ნაციონალური მოძრაობის“ სახით. სერიოზული იმ გაგებით, რომ წინააღმდეგობას გვიწევდნენ შეკრულად, არაკანონიერი ფორმებით გვებრძოდნენ და არ სცნობდნენ პოლიტიკურ ოპოზიციას.

ამიტომ მიხეილ სააკაშვილის გუნდის ჩამოსცილებლად ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობა იყო, რაც მოვახერხეთ. ვგულისხმობ, ხელისუფლების სათავეებთან ჩამოშორებას, თორემ „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პარტიას, არსებობის უფლება აქვს.

ფაქტობრივად, კოალიცია „ქართული ოცნება“ სახალხო მოძრაობის სახით ჩამოყალიბდა და კოალიციაში თავი მოიყარა ყველა იმ პარტიამ, რომელიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა და შედეგსაც მიავაღწიეთ. თუმცა ქვეყნის დემოკრატიული პრინციპების განვითარებისთვის აუცილებელია მრავალპარტიულობა. ჩვენ არ გვინდა, რომ „საქართველოში იყოს ერთადერთი პარტია „ქართული ოცნება“. მას შემდეგ, რაც „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებისგან ჩამოვიშორეთ, არაა გამორიცხული კოალიციას რამდენიმე პარტია გამოეყოს და ისინი პოლიტიკურ პროცესებში დამოუკიდებლად ჩაერთვნენ. ჯერჯერობით კოალიციის დაშლაზე საუბარი არ არის, ბევრი საქმე გვაქვს, დანაპირები, რაც ხალხს წინასაარჩევნოდ დავპირდით, უნდა შევასრულოთ, ამიტომ უფლება არ გვაქვს ვიწრო პარტიულ ინტერესებზე ვიფიქროთ. შესაბამისად, კოალიციის ერთიანი გუნდის არსებობა აუცილებელია.

**მირანდა ნაბახტეველი**
555 62 13 63

# `Soumeni~ TofuriZe...

**სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი ცნობილი სახე, ქართული დაპატიმრებების დიდოსტატი და „შოუმენი“ იოსებ თოფურიძე, რომელიც ერთ დროს ჩვენს „ძლიერ“ ქვეყანაში „სუფრის თავში“ იჯდა, კარგა ხანია „აორთქლდა“ და „აღარ არის“. მას ზმნის წარსული დროის ფორმა შეიძლება მოვუძებნოთ — იყო და აღარაა. თუმცა მთავარი არსი ზმნის დროის ცვალებადობა როდია, მთავარი ისაა, რომ ეს პირწავარდნილი ცინიკოსი მთელი 9 წლის განმავლობაში ტელეეკრანებს არ მოშორებია, დღისით და მზისით იჭერდა და იჭერდა ხალხს თბილისსა თუ ბათუმში, ქუთაისსა თუ ზუგდიდში, თუკი ვინმე დაუსხლტებოდა, აგრესიულად აცხადებდა, რომ „იძებნება“, „მიმალვაშია“, „გადაკვეთა საქართველოს საზღვარი“ და ა.შ. დღეს კი თოფურიძე თავად არის მიმალვაში. არადა, რა დაგვავიწყებს მის კმაყოფილ და ბედნიერ სახეს, ტელეკამერების წინ ცხვრებივით რომ დააყენებდა 20-25 კაცს ერთად და საქვეყნოდ ეტყოდა: „თქვენ დაპატიმრებული ხართ“! ისიც გვახსოვს, ალბათ, ქუთაისში, ერთხელ საგადასახადოს თანამშრომლებს კრებაზე შეუვარდა, წამოყარა, და იქვე „ახარა“: „თქვენ დაკავებულები ხართო...“ რომელი ერთი ფაქტი**

შეიძლება გავიხსენოთ. ეს შემზარავი სანახაობა დიდხანს გრძელდებოდა და მაშინ, როცა თოფურიძე ძალაუფლების მწვერვალზე იყო, იგი ერთ დღეს ლევ ტოლსტოის გმირ ივან ილიჩივით დაბლა დაენარცხა, ოღონდ, თოფურიძისაგან განსხვავებით, ივან ილიჩს თავისი ქვეყანა არ დაუტოვებია!...

იოსებ თოფურიძე ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როცა რევოლუციის მამები ხელისუფლებაში სულ ორიოდე თვის მოსული იყვნენ. მაშინ იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე გახლდათ. სარედაქციო დავალებით ამავე სამსახურის უფროსთან გამაგზავნეს, მახსოვს, აბეზარმა თოფურიძემ საუბარი და საგაზეთო მასალის აღება არ დამაცადა: „მეც მათქმევინეთ ორიოდე სიტყვაო“. რა გზა მქონდა, მეც დავთანხმდი და საუბარი მასთან განვაგრძე. მას უკვე მოესწრო კედელზე მიშას სურათის დაკიდება.

პირველი, რაც ამ კაცმა კაბინეტში შესვლისთანავე გააკეთა, ის იყო, რომ სარკმელთან მივიდა და მთხოვა, თქვენც გაიხედეთ ჩემი სარკმლიდან, ნახეთ, აქედან როგორ მოჩანს „მახათას“ მთაო. რომ გავიხედე, მართლაც კარგად ჩანდა ეს წმინდა ადგილი, მითხრა: „მე ქრისტიანი კაცი ვარ და ყოველთვის დავიცავ კანონს და კონსტიტუციასო“... ჩემთვის გავიფიქრე, ეს რა „ღვთისნიერი“ კაცი მისულა პოლიციაში-მეთქი? წამოსვლისას ვკითხე: ჯამაგირი რამდენი გაქვთ-მეთქი? მან მთხოვა: 4 ათასი ლარი მაქვს, მაგრამ წერილში ნუ ჩაწერო... ქვეყანაში ჯერ კიდევ 14 ლარიანი იყო პენსია მაშინ.



ეს წერილი დაიბეჭდა. მე, რა თქმა უნდა, დავინდე და რაც მთხოვა, არ მითქვამს წერილში. სანაცვლოდ, გასაოცარი მიზეზით რომ დამაპატიმრეს, „სიკეთე“ იმით გადამიხადა, რომ დაჭერიდან ორი თვის თავზე არქივიდან ამოიღო ჩემი საქმე და ყველა საინფორმაციო არხზე „უზრუნველყო“ ჩემი გვარის ტრიალი. თუმცა ციხეში ყოფნისას გავიგე, რომ, თურმე, მისი შვილიც იმ ციხეში იხდიდა სასჯელს, სადაც ბუნტისას ჩვენ, ქალები, გადაგვასახლეს. „კარგ“ მამას, თურმე, ეს ამბები დროულად ისე შეუფუთავს, რომ თავისი ბედოვლათი შვილი, რომელიც, როგორც თქვეს, (პირველად არ მჯდარა ციხეში) მალევე უცხოეთში გადაუმალავთ. ასე იცავდა „ჩვენი სოსო“ კანონს და კონსტიტუციას.

ამას წინათ ერთმა მეგობარმა, რომელიც თოფურიძეს კარგად იცნობდა, გასაოცარი ფაქტი მიამბო. ეს კაცი მთელი ეს წლები ყველა რელიგიური დღესასწაულის წინ მომლოცველ მრევლთან და სტიქაროსნებთან ერთად, ათონის ივერთა მონასტერს სტუმრობდაო... იქნებ მისთვის აქაური „წმინდა მთა“ — „მახათა“ საკმარისი არ იყო, რომ თავისი ცოდვილი სული მიებარებინა უფლისათვის? ერთ დღეს ათონის მთას კი „გაუდგა“ თოფურიძე, მაგრამ ის არც თორნიკე ერისთავი გახლდათ, არც ბარდა სკლიაროსი დაუმარცხებია (არც კორუფცია) და უსათუოდ, მთელი თავისი ნადავლი, რომელიც აქ, ჩვენს თვალწინ, საქართველოში მოიხვეჭა, წმინდა მონასტრისთვის არ შეუწირავს...

თოფურიძეს, არც მეტი, არც ნაკლები ნამდვილი პირწავარდნილი ფარისეველია.

საინტერესოა, ფარსევლობაში ჩარჩენილი კაცი, აწ უკვე ინტერპოლის მიერ ძებნილი, ათონის მთაზე რომელიმე კელიას ხომ არ აფარებს თავს?

**ნანა სულავა**

**სრულიად საქართველოს მოსახლეობას, ქართველ ხალხს!**

*ჩვენ, სახალხო-საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ დამფუძნებელი კრების მონაწილენი მოგმართავთ მათ, ვისთვისაც ძვირფასია და სულერთი არ არის ჩვენი ქვეყნის ბედი, მისი გადარჩენა და მომავალი; ვინც განიცდის და არ ეგუება იმ გამოუსწორებელ და საქართველოს გასანადგურებლად ჩადენილ დანაშაულებებს იმ პირსისხლიანი რეჟიმის მიერ, რომელსაც სათავეში ედგა გარყვნილი და შეურაცხადი სააკაშვილი, გავერთიანდეთ და მოვითხოვოთ: 1. „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ანტიადამიანური და ანტიქართული ხროვის სამუდამო აკრძალვა 2. შეფასდეს სააკაშვილის კლანური ორგანიზაციის წევრების მიერ ერისა და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის (უპირველესად, მორალური) მოცულობა და ოდენობა და დაისვას ყველა იმ პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ერისთვის ამ დამღუპველ საქმიანობას ეწეოდა 3. შესწავლილი იქნას „თავისუფლების ინსტიტუტის“ საქმიანობა მისი დაარსების დღიდან დღეის ჩათვლით და საკადრისი პასუხი ვაგებინოთ ყველას, ვინც ასე თანმიმდევრულად და განსაკუთრებული მონდომებით ანგრევდა ჩვენს ღირსებას და სულიერებას 4. როგორც ქართველთა სახელმწიფოებრივი სიმბოლო, როგორც ჩვენი ერის ზნეობისა და ერთიანობის გვირგვინი, დაუბრუნდეს თავის პირვანდელ ადგილს დიდი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის დავით IV ბაგრატიონის ძეგლი, რათა ეს აქტი იქცეს ქართველთა ჭეშმარიტი აღდგინების დასაწყისად 5. საზოგადოება მოითხოვს შესწავლილ იქნას სამართლებრივი ორგანოების მიერ დასავლეთის ქვეყნების იმ ლობისტური ორგანიზაციების ვინაობა, რომლებიც საქართველოში აფინანსებენ და ხელს უწყობენ გარყვნილებისა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას დემოკრატიის ნიღაბქვეშ 6. შესწავლილ იქნას არსებული ხელისუფლების მიერ საჯარო რეესტრის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ოპერატიულად ახდენს სახნავ-სათესი მიწების, სავარგულებისა და სტრატეგიული ობიექტების გასხვისებას უცხო ქვეყნების კომპანიებზე, ვინაიდან, მიგვაჩნია, რომ ასეთი პროცესები ქართველი ერის განადგურებისკენ არის მიმართული.*

*სახალხო-საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“ გამოკვეთილად და ხაზგასმით უჭერს მხარს ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მოუწოდებს უფრო გამოკვეთილი და ქმედითი ღონისძიებების გატარებისაკენ, რათა ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა და ჩვენი ზნეობა დავიბრუნოთ.*

**სახალხო-საზოგადოებრივი მოძარაობა „ლაზარეს“ წევრების სახელით ამავე მოძრაობის თავმჯდომერე**
**რეზო ამაშუკელი.**

# qarTveloba gvacadeT Cvens samSobloSi!

***7 დეკემბერს თეატრის მოღვაწეთა კავშირში (მსახიობთა სახლი) შედგა საზოგადოება „ლაზარეს“ დამფუძნებელი კრება, რომელიც ცნობილმა იურისტმა მინდია უგრეხელიძემ გახსნა. ბატონმა მინდიამ საზოგადოება „ლაზარეს“ თავმჯდომარედ გამოჩენილი ქართველი პოეტი რეზო ამაშუკელი დაასახელა, რომლის კანდიდატურასაც კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. გადავსებულ დარბაზში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სიტყვით გამომსვლელები.***

**ნორა კვიციანი**: – „მე ვიყავი დატყვევებული 6 წელი და 4 თვე, მხოლოდ სამი კვირაა, რაც ციხიდან გამოვედი, ჩემი ძმა და ჩემი შვილი კი დღემდე დევნილები არიან. ეს გაკეთდა ჩვენი ხეობის დაკარგვის მიზნით, ხეობის, რომელსაც 2006 წლამდე ვიცავდით ჩვენი ძალებით. რაც იქ ხდებოდა, ენით გამოუთქმელია, მაგრამ მთელმა საქართველომ იცის, რომ ამ



წლების განმავლობაში ჩვენ, ადგილობრივი მოსახლეობა ვიცავდით ხეობას. როდესაც ითქვა, რომ სამხედრო ფორმირება არ უნდა ყოფილიყო ხეობაში, იმის შემდეგ შეიქმნა ადგილობრივი ბატალიონი „მონადირე“, რომელშიც ქალი და კაცი, ყველა იყო გაერთიანებული. რამდენჯერაც თავდაცვის მინისტრი შეიცვალა, იმდენჯერ შემოიტანეს იარაღი, მერე კი, აღმოჩნდა, რომ ეს იარაღი ჩვენი, კრიმინალური დაჯგუფების ყოფილა, არადა, ის იყო გია ბარამიძის შემოტანილი და დარიგებული ხეობაში და შემდეგ უკვე ოქრუაშვილმა გააუქმა ბატალიონი „მონადირე“. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, ვისთან არ ვრეკავდი, პოზიციასთან, ოპოზიციასთან, პარლამენტარებთან რომ აღედგინათ ბატალიონი, მაგრამ მათ აწყობდათ უკანონო ფორმირება, რათა დაენახებინათ მსოფლიოსთვის, რომ ჩვენ ვიყავით უკანონო შეიარაღებული კრიმინალების ფორმირება და ამაო იყო ხვეწნა, არადა, მთელი საქართველოს ვალი იყო დაეცვა ხეობა...

ეს ის ფორმირება იყო, რომლის წევრებიც 14 წელი საქართველოს მთლიანობას ვინარჩუნებდით. ჩვენს თავს ძალიან დიდი მსხვერპლი იყო, (ჩემს დას ერთი ვაჟი ჰყავდა და ქმარი და შვილი ერთ საფლავში ჩაუშვა) ყველანი განწირულები ვიყავით იმ ხეობაში, რადგან გეოგრაფიულად აქვს რთული მდებარეობა. ჩვენ გზაც არ გვქონდა, მაგრამ მაინც ყველაფერს ვაკეთებდით და ვიცავდით ხეობას, ოღონდ კი, აფხაზეთი არ აღიარებულიყო. პრეზიდენტმა რომ გამოაცხადა, ჩვენ დავიბრუნეთ ზემო აფხაზეთიო, მას ზემო აფხაზეთი არ ჰქვია, ეს პრეზიდენტმა დაარქვა; არც კოდორი ჰქვია, ეს სახელი რუსებმა დაარქვეს; მას ჰქვია დალის ხეობა, რომელიც იყო აუღებელი, მაგრამ შინაურმა მოღალატეებმა აიღეს და ჩააბარეს. მოწინააღმდეგე მეგონა მტერი, მაგრამ მტრები შიგნით ყოფილან...

ჩემმა ძმამ, როცა სოხუმი დაეცა, ფიცი დადო, მე რა ვაჟკაცი ვიქნები, თუ ამ ხეობიდან გავიქცევი, ცოცხალი თავით ხეობიდან არ გავალ, დავრჩები იქ, სადაც მამაჩემის საფლავი არისო... დავრჩით ერთეულები. ვარსებობდით თუ არა იმ ხეობაში, არავინ იცოდა, არავინ გვაქცევდა ყურადღებას, მხოლოდ ჩვენი ძალებით და მადლობა უფალს, მისი დახმარებით მაინც დაცული იყო ხეობა.

აფხაზეთი არ უნდა დაკარგულიყო, აფხაზეთი არ უნდა აღიარებულიყო, მაგრამ ოქრუაშვილმა პრეზიდენტის დავალებით ჯარი შემოგვისია, ვითომდა კრიმინალები ვიყავით. თუნდაც კრიმინალები ვყოფილიყავით, რა შუაში იყო ხეობის ჩაბარება, შემოსულიყვნენ სახლში, თბილისში, აეყვანათ და გადარჩებოდა ხეობა, მაგრამ ეს იყო ასე დაგეგმილი. ჩვენს ხეობაში ერთი ჯარისკაცი რომ ვერ შემოვიდოდა, ჯარი შემოუშვა რუსმა. ჯარი რომ შემოვიდა, ჩვენ მივხვდით, რომ ხეობას აბარებდნენ, იმიტომ, რომ ხელშეკრულება იყო დადებული, საქართველოს ჯარის ქვედანაყოფი არ უნდა ყოფილიყო ხეობაში. იქ იყვნენ ქალები, ბავშვები, სკოლა იყო. შემოვიდა ჯარი და დაბომბა ის გმირი ხეობა. სპეცოპერაცია დაარქვეს და მე, ქალი, 6 წელი და 4 თვე ჩამსვეს და ქალი, რომელიც ობოლი ბავშვის დედა იყო (ქმარი ომს შეეწირა) ეზოში იმსხვერპლეს. მტერს არ დაუბომბავს ის ხეობა, არც რუსებს და არც აფხაზებს, რომელ მტერზეა ლაპარაკი, ყველაზე მეტი



მტერი აღმოჩნდა ჩვენი საქართველოს ხელისუფლება – ხელისუფლება ჰქვია, მაგრამ მე არ ვიცი, ვინ ყოფილან...

დღემდე ჩემი ძმა და ჩემი შვილი ძებნილად არიან გამოცხადებული მხოლოდ იმისთვის, რომ თვითონ „ნაციონალებმა“ ხეობა ჩააბარეს...

როდესაც მოტყუებით წამომიყვანეს, დამაპატიმრეს და შემომთავაზეს, შენ გაგანთავისუფლებთ თუ ისინი ჩაბარდებიანო. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ღმერთს შევეხვეწე, ღმერთო, მომეცი ძალა-მეთქი და ის ძალა მომცა, რომ არავინ შემიწუხებია, არც ექიმი, არც ექთანი, არც ადმინისტრაცია, იმიტომ, რომ მე ეს უნდა მიმეღო – მე ვიყავი ორი ადამიანის მაგივრად. მე ბედნიერი ვიყავი. მადლობა უფალს, რომ მე ისინი გადამირჩინა და აგერ, დღეს, თქვენს წინაშე ვარ.

მართლმადიდებელი ხარ და შიში არსებობდეს? მე მზად ვიყავი ყველაფრისთვის, ყველანაირი სასჯელისთვის, დახვრეტისთვის, სამუდამო პატიმრობისთვის, იმიტომ, რომ ეს იყო ჩემი გულიდან. პროკურორმა რომ 18 წელი გამომიცხადა, მერე რა, მე მზად ვარ-მეთქი – მე ვიცოდი, რომ უდანაშაულო ვიყავი. ეს გააკეთა ბატონმა ოქრუაშვილმა, რომელმაც დროშა ასწია ჩემი სახლის თავზე და გამარჯვება იზეიმა. რა გამარჯვება იზეიმა, ერთი ქალი რომ დაიღუპა, ერთი ქალი რომ დაიჭირეს, ტყვია რომ არ უსვრიათ, ისე ჩაბარდა ხეობა და რაც კი შეზიდეს, ყველაფერი რომ ჩააბარეს მოწინააღმდეგეს? მტერს ვერ დაარქმევ მაგათ იმიტომ, რომ როდესაც ისინი შემოვიდნენ, არ გადაუბუგავთ ხეობა, ეს ამათ გააკეთეს, გამინადგურეს ყველაფერი, არ დატოვეს ჩემს სახლში არაფერი. მადლობა, პრეზიდენტო. მადლობა ოქრუაშვილო, რომ ჩემი 14 წლის ნამოღვაწარი ასე დამიფასეთ!

დიდი ხანია მინდოდა მეთქვა, „კურიერში“ რომ გამოაცხადეს, სიუჟეტი გაუშვეს, გაეროს დამკვირვებლის გატაცება იყოო და ხალხი დაიჭირეს; კავკასიის ხაზის გაწყვეტა იყო და ჩვენ გვაბრალებდნენ – ამას აკეთებდნენ სპეციალურად, რათა ეს გაეკეთებინათ. არ გაეკაროო, მეუბნებოდნენ, მაგრამ მაინც პირადად მე მივდიოდი კავკასიის ხაზის აღსადგენად მუშებთან ერთად და მაინც ჩვენ დაგვბრალდა, ჩემს შვილს, ჩემს ძმას, ჩემებს, ჩემს ხეობელებს – თვითონ იყვნენ ყველაფერი! წერილები იგზავნებოდა ხეობაში, გავაცანი მთელ საქართველოს პრესკონფერენციაზე, რომ გვითითებდნენ, ასე გააკეთეთ, ისე გააკეთეთო – ასეთ პროვოკაციებს აწყობდნენ და ბოლოს, მაინც რომ არაფერი გამოუვიდათ, ჯარი შემოგვისიეს, სპეცნაზი. ყველა იყო შემოსული, მთელი საქართველოს ჯარი – სპეცოპერაცია გააკეთეს ნორა კვიციანის დასაჭერად, საცოდავი რუსიკო გუგუსიანის მოსაკლავად და დალის ხეობის მოწინააღმდეგისთვის ჩასაბარებლად.

არ შეუშინდეთ არაფერს. შიში არ არსებობს მართლმადიდებლისთვის!

**ოთარ მეღვინეთუხუცესი**: – „ილია ჭავჭავაძის ქვრივის სიტყვა გვითხრა ახლა ქალბატონმა ნორამ. ბედნიერი ვიყავიო, თავის მდგომარეობაზე რომ თქვა – თურმე, რა ყოფილა სული! მართლა თავი გვაქვს მოსაჭრელი ქართველ მამაკაცებს ამისთანა ქალბატონის გვერდზე! ხშირად თავჩაქინდრულს მივლია იმის გამო, რაც ჩვენ დაგვმართეს ე.წ „ნაციონალებმა“, ამას რომ ვუძლებდით, ამას რომ ვიტანდით. ხშირად საყვედური წამომცდენია ძალიან ვიწრო წრეში და პირველად ვამბობ ახლა ხმამაღლა, დავბეჩავდით-მეთქი, მითქვამს – ამაზე დიდი უბედურება, ალბათ, არ იქნება. რუსი რომ რუსია, აღიარებს, რომ ჩეჩენი კარგი ვაჟაცია, კარგი მებრძოლია, განსაკუთრებული – დღეს ამას ქართველი კაცი ვერ იტყვი საკუთარ თავზე... რა დაგვემართა, რა მოგვივიდა, ძალიან სითბო მოგვინდა, ძალიან კარგად ყოფნა მოგვინდა? რას ვუფრთხილდებოდით ასე ძალიან, რომ ჩაგვრეცხეს კიდევაც და ჩვენ მაინც მშვიდად დავდიოდით და ვიყავით ასე... რამდენჯერაც იყო რაღაც ხელისმოწერები, მივმართოთ ე.წ ხელისუფალს, რომელიც ახლაც ზის ტახტზე, რომ გადადექიო, არც ერთ მიმართვაზე ხელი არ მომიწერია და არც ახლა მოვაწერე, იმიტომ, რომ არ მყოლია, არც დღეს მყავს და არც მეყოლება პრეზიდენტი – მეტი თუ ვერაფერი შევძელი, ეს მაინც ხომ შემიძლია!

**გრივერ ფარულავა**: – „მარტო ამ განწყობილების მოსმენა და განცდა, ვთქვათ, ჩემი შვილებისა და ჩემი სტუდენტებისათვის, ეგებ, მრავალ ლექციას და მრავალი მოსამზადებელი საგნის ჩაბარებას სჯობდეს – მათზე არ ვამბობ, რომლებიც აბარებენ ამა თუ იმ დისციპლინას და სამუდამოდ აბარებენ. 1 ოქტომბერი რომ ჩამთავრდა, ღამის 2 საათზე მირეკავს ჩემი ოცი წლის უგანდელი სტუდენტი და მეუბნება „ქრისტე აღსდგა, ბატონო გრივერ!“ ხმით ვერ ვიცნობდი და შევძახე: ვინ ხარ, შე ოჯახაშენებულო-თქო. მერე მითხრა ვინც იყო, ჭიქა მიჭირავს ხელში და ის მახსენდება, თქვენ რომ იოანე საბანისძის თხზულებას მასწავლიდით და მეუბნებოდით, რომ აქ არის ჩადებული იმ ღონისა და ძალის ფესვები, რომელსაც თუ მოვუარეთ, გავაღწევთ ყველა იმ მამაძაღლობას, რაც დაგვხვდება გზაზეო. გამიგრძელა საუბარი და გავოცდი, თითქმის გაიმეორა ყველაფერი ის, რაც იოანე საბანისძეს უწერია: „აღვერიეთო ერსა უცხოსაო, დავივიწყეთო ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“. – ამაზე და მომდევნო ფრაზებზე გვქონდა საუბარი. ჩემი შვილების (4 ვაჟი მყავს და ერთი ქალიო) მადლობას გიგზავნი, რომ ასეთ დღეს დამასწარიო. მე როგორ დავასწარი, მისმა ჯიშმა და მისმა გვარმა დაასწრო – რაც ჩვენ ცუდი გადავიტანეთო, მაგრამ მაინც გადავრჩებითო, როცა მოყვრად ლომი მიზის, ტურა-მგლების არ მეშინიაო, თქვენ რომ ამბობდით, არ შეგეშინდეთ, ჩვენ თუ დავრჩებით, ქრისტიანობითო.

ყველა ჯურის მტერი ამას აკეთებდა, მოეხსენებოდათ, რომ იარაღით დაპყრობილი და დანის ქვეშ მოქცეული კაცი რომ თავს გიკრავს, ანდა, არ ამბობს რაღაცას, ვაჟკაცურს, ხვალ თუ ზეგ მაინც იტყვის, არ გადავა ეს ჯიში და აი, აქამდე მოვედით. მოვედით იმიტომ, რომ კულტურით ვიყავით, სულიერებით ვიყავით გამორჩეულები. ქრისტიანობისა და საქართველოს მეგობრები მხოლოდ ქართველები არ იყვნენ. ვინ იყვნენ? — რამდენიმეს დაგისახელებთ. ქრისტიანობისა და ქართული კულტურისათვის სიცოცხლე გაწირა სომეხმა ქალმა, შუშანიკმა, მამიკონიანის ქალმა, რძლად შემოსული შვილად დარჩა საქართველოში, ყველაფერი იმას ანაცვალა, რის ნაცვალება მისმა ქართველობით დაჯილდოვებულმა ქმარმა ვერ შეძლო — სიცოცხლე ანაცვალა, შვილები ანაცვალა... რაჟდენ პირველმოწამე? — რაჟდენ პირველმოწამე სპარსელი იყო — ქრისტემ გამიხსნა ოაზისი, ქართველებმა მიმიღეს, ამის ღირსი გავხდიო; ამის მოთხრა განიზრახეს, ქართული კულტურისა და ქრისტიანობის, რათა უფრო ადვილად მოვერეოდნენ... მოვეღუნეთ.

ვაჟკაცობა, უპირველეს ყოვლისა არის ძალა, ნიჭი სულისა და არა ხორცისა. ცოტას გავიხუმრებ კიდეც — ერთ ჩემს მეზობელს კამეჩები ჰყავდა და ასე იტყოდნენ, დავით მალაზონიას კამეჩებს ისეთი ძალა აქვთ, ვაგონს წაიყვანენო, მაგრამ არავის წამოცდენია, დავით მალაზონიას კამეჩები ვაჟკაცები არიანო. ვაჟკაცობა სულის ნაყოფია, ეს სული ვერ მოკლეს მტრებმა და ეს გადაგვარჩენს მხოლოდ. საუკუნეები გამოვატარეთ ეს სული და აწი, უფრო მეტი გამოცდილება გვაქვს სვავებისა და ოხრების მოსაგერიებლად, გაგახაროთ ღმერთმა! 76 წლის ვარ, მაგრამ ფეხს არ მოვიცვლი, სანამ უკეთეს დღეს არ ვნახავ!

**ვახტანგ ხარჩილავა**: — „ასეთი დიდი შეკრება ასეთი დიდი გამარჯვების შემდეგ, რასაც ჰქვია 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, ალბათ, არ ყოფილა. ეს არის, ჩემის აზრით, პასუხი ყოველივე იმაზე, რაც 1 ოქტომბრიდან დღემდე ხდება ჩვენს ქვეყანაში. ეს არის გამოხატვა იმისა, რომ ქართველ ხალხს, ქართველ ინტელიგენციას კარგად აქვს შეგნებული თავისი როლი და თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე.

ჩვენ ხანდახან მხოლოდ ვფიქრობთ ხოლმე — ავირჩევთ რაღაც ხელისუფლებას და შემდეგ, ჩვენს მოვალეობებს, მიზნებს და ამოცანებს გადავაბარებთ ადამიანების რაღაც ჯგუფს, ჩვენ კი, შორიდან მაყურებლად ვიქცევით. ასე არაფრით არ შეიძლება, რადგან, რაგინდ დიდი და ძლიერი იყოს სახელისუფლო ძალები, მას სჭირდება ხალხის თანადგომა და ხალხის თანამონაწილეობა. დღევანდელი დღე ჩემთვის არის გამოხატულება იმისა, რომ ქართულ ინტელიგენციას სწორად აქვს გაგებული თავისი მიზანიც, ამოცანაც და შესანიშნავად ხედავს, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში.

ჩემდა გასაკვირად და გასაოცრად (ალბათ, აქვს ამას თავისი მიზეზები), 1 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც გვეგონა, რომ ჩვენი გამარჯვების შემდეგ ის პრობლემები, რაც ქართველი ხალხის წინაშე იდგა და რასაც ჩვენ, თითოეული თქვენთაგანი და მთლიანად ქართველი ხალხი ეწინააღმდეგებოდა ამ 12 წლის განმავლობაში, მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, პირიქით, ალბათ, დამეთანხმებით, რომ სწორედ ის ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ სვლაში, პირუკუ, უფრო გაძლიერდნენ, კიდევ უფრო მოღონიერდნენ და ლამის არის, მინისტრებიც კი მათ დაგვინიშნონ. მე ვგულისხმობ ე.წ არასამთავრო ორგანიზაციებს, რომელიც არის განაყარი „თავისუფლების ინსტიტუტისა" და ახლა უკვე რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი „თავისუფლების ინსტიტუტი" გვიტევს ყველა მხრიდან, ეკრანიდან, გაზეთის ფურცლებიდან, სამთავრობო ტრიბუნებიდან, პარლამენტიდან და ა.შ

ჩემთვის დავაფიქსირე, რომ ეს ძალა კი არ გაჩერდა და კი არ მიიმალა, არამედ, პირიქით, წინა პლანზე გამოვიდა და ახალი გაქანებით ცდილობს იმ მიზნების განხორციელებას, რაც ეწინააღმდეგება ქართველი კაცის ბუნებას და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს.



ჩემის აზრით, დღევანდელი დღე არის დასაბამი და დასაწყისი იმისა, რომ ჩვენ პირდაპირ და გულწრფელად ვთქვათ: ამ ძალების პარპაშს არ მოვითმენთ, ეს უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ!

ნამდვილად არაფერი გვჭირს ჩუგოშვილების, ვიღაც ვიღაცების ჭკუის სასწავლებელი! სამარცხვინო რამ არის, როდესაც ერი ამას ითმენს და კიდევ უარესი, მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი რომ მათ მდაბლად უხრის თავს. ეს სამარცხვინო ამბავია და სწორედ დღევანდელი დღე არის დასტური იმისა, რომ ჩვენ ამას არ შევეგუებით!

უამრავი პრობლემაა დღეს საქართველოში, მაგრამ ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა გვქონია ის, რომ არა მხოლოდ ორი სეპარატისტული რეჟიმი გვაქვს, არამედ კიდევ საკმაოდ ბევრი „სეპარატისტული რესპუბლიკები", ვთქვათ, „50-იანელები", ბაპტისტები, იეღოველები, „ხსნის არმია" — ეს არის ავტონომიები, რომლებიც არიან ჩვენთან, მაგრამ სინამდვილეში არ არიან.

სამწუხაროდ, ბოლო ხანს თავი იჩინა დაპირისპირებამ რელიგიურ ნიადაგზე, საქართველოში, გურიაში — ეს, რაც ზედაპირზე გამოჩნდა, შემაშფოთებელი და შემაძრწუნებელია, მაგრამ რატომ არ არის შემაშფოთებელი და შემაძრწუნებელი ის, რომ უამრავი ქართველია გაერთიანებული ამ „ავტონომიურ რესპუბლიკებში". ეს არ მომხდარა შემთხვევით. ბატონი გრივერი საუბრობდა აქ, როგორ მოექცეოდა მართლმადიდებელ რჯულზე უცხო ტომის წარმომადგენელი. როდესაც საქართველოში ქართველი კაცი უარს ამბობს მართლმადიდებლობაზე და გაიეღოველდება თუ ბაპტისტად იქცევა და ა.შ. ამის შესახებ რაღაც რომ ვთქვათ, იმ წამსვე გვეთვლება ძალიან დიდ დანაშაულად.

როდესაც ერთმა ჩვეულებრივმა ქართველმა კაცმა, გვარად დარახველიძემ თქვა, მე მინდა ჩემი რძალი რაჭველი იყოსო, ლამის ჯვარზე აცვეს და სანამ ბოდიში არ მოახდევინეს ჩუგოშვილებმა და ჯანეზაშვილებმა, მანამდე მინისტრად ვერ დაინიშნა — ვერ ხედავთ თქვენ ამაში საოცრად შეურაცხმყოფელ საქციელს?

ჩვენი ერი ახლაც და წარსულშიც, ყოველთვის იყო უაღრესად ტოლერანტული — არ ვამბობ განსაკუთრებულ ჭეშმარიტებას, ყველამ ვიცით, რა გამოგონილი ილეთებით გვებრძვიან სწორედ ეს ე.წ არასამთავრობო ორგანიზაციები.

ერთი რამ უნდა ვთქვათ, „არასამთავრობო ორგანიზაცია" სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ის არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ეს არის ვიღაცების მიერ კარგად დაფინანსებული, მძლავრი სტრუქტურის მქონე რაღაც, აგენტურული ქსელის მსგავსი რამ. ჩვენ ვართ გაჩუმებულები, თითქოს რაღაც არასრულფასოვნების კომპლექსით ვართ შეპყრობილები და როდესაც რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაცია (რომლის სათაო ოფისი საქართველოს საზღვრებს გარეთაა) რაღაცას გვეუბნება, ჩვენ პასუხს ვერ ვცემთ. კი, რაღაცას ვამბობთ, მაგრამ არ ჩანს ის საჭირო ხმა, ერის ხმა, რომელიც ხმას ჩააკმედინებს და ჩააწყვეტინებს აი, ასეთ „ვაი ჭკუის" დამრიგებლებს.

ქართველ ხალხს, რომელსაც არასდროს უდევნია თავისი არსებობის მანძილზე არც ერთი ერი, არავინ დაგვიწვია კოცონზე, არავინ შეგვივიწროებია და გვასწავლის დღეს დემოკრატიულობას და ტოლერანტობას გვასწავლიან საქართველოში! ეს, გარკვეულწილად, ჩვენი ბრალია, ქართველების, რადგან ჩვენ ვერ ვაწვდით, ვერ ვაცნობთ მსოფლიოს ჩვენს ისტორიას, ჩვენს ხასიათს, ჩვენს ტრადიციებს, ხოლო ჩვენი წინა ხელისუფლება კი, რომელიც საკუთარი ერის მტერი იყო და არის დღესაც, ყოველთვის გადაბრუნებულად მიჰქონდა სიტყვა ჩვენს უცხოელ მეგობრებთან, აქედან წარმოიშვა ის 27 000 პატიმარი და 300 000 პრობაციონერი, ის ხელისუფლება არწმუნებდა, რომ ყველანი ციხეში ჩასაყრელები ვიყავით...



ახლა გამოჩნდა, რომ თურმე წინა ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი ნებითა და საკუთარი სურვილით არ მოქმედებდა, ის ასრულებდა რაღაც დაკვეთებს, რაც დღესაც გრძელდება და ამას თუ წერტილი არ დაესვა, გამარჯვების ყიჟინას რომ ვცემთ, შეიძლება, სწორედ ახლა დადგეს საბედისწერო მომენტი, საქართველოს ყოფნა-არ ყოფნის საკითხი.

დღევანდელი დღე მისაბაძი უნდა გახდეს ყველა ქართველისთვის, უნდა დავიმახსოვროთ, რომ ჩვენი წილი საქართველო, სადაც ვიქნებით, საწერ მაგიდასთან, დაზგასთან თუ ყანაში, ჩვენ უნდა დავიცვათ, სხვა არავინ არ დაიცავს!

**სოსო მანჯავიძე**: —

„... დაარღვია თუ არა ვანო მერაბიშვილმა საზღვარი ფალსიფიცირებული დოკუმენტით, ეს კონკრეტული დანაშაულია, მაგრამ რასაც ვანო მერაბიშვილი სჩადიოდა, გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, სულ სხვა სფეროა, სულ სხვა მიმართულებაა — ეს უნდა გავმიჯნოთ კარგად; მეორე — „თავისუფლების ინსტიტუტი" და მასთან ასოცირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც იმართებოდნენ ჩვენთვის უცხო, ჩვენდამი მტრულად განწყობილი ორგანიზაციების მიერ უნდა აიკრძალოს და მათი ხელმძღვანელობა უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ამას გარდა, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც წლების განმავლობაში გაურკვეველი ინსტიტუტების მიერ მინიჭებული, ასე ვთქვათ, თიკუნებით, „მედიაექსპერტი" და „ექსპერტი", თვალში ნაცარს აყრიდნენ და სულში აფურთხებდნენ ხალხს, მათ უნდა აეკრძალოთ პროფესია და კვლავ არ უნდა გვევლინებოდნენ მენტორული ტონით ჭკუის დამრიგებლებად სხვადასხვა მედიასაშუალებებით. რომ არ მოხდეს რეციდივი, კვლავ არ აღორძინდეს და არ მივიღოთ ეს შხამიანი მცენარე მოდიფიცირებული სახით, როგორც ვხედავთ, ტრანსფორმაციას, ახალი სახეები ახალ სიტყვებს რომ იძახიან: „კოჰაბიტაცია" და ა.შ არ უნდა დავუშვათ, რომ ეს ადამიანები ახლა ახალი, ბრწყინვალე სამოსით კვლავ შეესიონ ჩვენს ქვეყანას.

კიდევ ერთ რამეზე მინდა გავამახვილო ყურადღება — გაცხარებული ტემპით იყიდება ჩვენი ეროვნული აქტივები. აქამდეც მიმდინარეობდა, მაგრამ ახლა ეს ხდება ფორსირებულად — საჯარო რეესტრში უცხოელების რიგები დგას, ინდოელების, ჩინელების და ა. შ რომლებიც ჩალის ფასად ხელში იგდებენ ჩვენს მიწას, რითიც უახლოეს მომავალში საკუთარ ქვეყანაში ბოგანოებად დარჩენა გვემუქრება. სასწრაფოდ უნდა იქნას საზოგადოებრივი აზრი ამის გარშემო შექმნილი, რომ ეს აღიკვეთოს. შეიძლება, ქსენოფობობაში დამდონ ბრალი, მაგრამ ვიტყვი, რომ ქსენოფობები არიან ისინი, ვინც ძალადობრივი მეთოდებით ახდენენ საქართველოში რელიგიურ-ეთნიკური სურათის აღრევას 9 წლის განმავლობაში. სწორედ ჩვენ ვართ მსხვერპლნი ამ შემთხვევაში ამ ხელისუფლების და ამ იდეოლოგიის, რომლებიც ჩვენ გვაცხადებენ ხან ქსენოფობებად და ხან ჰომოფობებად. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ახალ ხელისუფლებაში ეს რეციდივები აღარ განმეორდეს. უნდა იყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ერთობა, (ხაზს ვუსვამ) თორემ, ჩვენ თუ მხოლოდ გამოვხატეთ ჩვენი გულისტკივილი და პოლიტიკურ ველზე დარჩნენ კვლავ ის პარტიები და ის ძალები, რომლებიც გარედან იმართებიან, ვერაფერს ვერ მივაღწევთ და ძალიან მალე დაგება ის დღე, როცა აღარაფერი შეგვეძლება.

ღვთის წყალობით, მოხდა, რომ ეგზისტენციალური საფრთხე მოცილებული იქნა, მაგრამ აღდგენის საფრთხე არ არის მოცილებული, ამიტომ, ფხიზლად ვიყოთ და დავეხმაროთ ერთმანეთს ამ საქმეში. მივულოცავ ჩვენს საზოგადოებას ახალი ორგანიზაციის დაფუძნებას! დიდი მადლობა ბატონ რეზოს, რომელიც იყო და არის ამ საქმის სულისჩამდგმელი და იმედია, რომ კეთილად დამთავრდება ჩვენი ქვეყნისათვის ყველაფერი.

**რეზო ამაშუკელი**: — ახლა მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა, გუშინ ვთქვი და ახლაც მინდა გავიმეორო და გავიმეორებ ყოველთვის, ათასჯერ ვიტყვი — ომი დაიწყო სააკაშვილმა! (ტაში.) გენოციდი მან იმ ხალხს კი არ მოუწყო, საქართველოს მოუწყო! — ეს ერთი. ჩემთვის ძალიან ბევრი საყვარელი ადამიანია დღეს უმრავლესობაში, პარლამენტში, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც მე ვძულვარ და უნდა ვძულდე კიდეც. მე ყველას გასაგებად ვამბობ, ერთმა კაცმა მოიგო საქართველო და ვისაც უნდა, თვალები მიბრიალოს იქიდან თავისი ჯორჯ სოროსებით და ვისით უნდა, იმითი კიდევ! ნუ დაავიწყდებათ, რომ პოლიტიკური მორგიდან გამოათრიეს ისინი და დღეს ამიტომ არიან იქ. როგორც კი ღალატის სუნი დატრიალდება, მაშინვე მიიღებენ ხალხის რისხვას და ეს რისხვა იქნება არანაკლები, ვიდრე „ნაცების" მიმართ არის მიმართული! მე მინდა შევუძახო ბიძინა ივანიშვილს, როგორც მოვიდა მკვეთრად, თავგანწირულად და ვაჟკაცურად, ისე კაცურად მოიქცეს! მინდა შევუძახო, რომ ბოლომდე დადგეს ჩვენს გვერდით, იმიტომ, რომ ის ასე მოვიდა ჩვენთან, კაცი, რომელმაც სასწორზე დადო ბევრი რამ.

კიდევ ვიმეორებ, თუ „ქართულ ოცნებას" სხვა რაიმე გაერევა, მე პირველი დამნდობი არ ვარ, მაგრამ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ის, რაც 1 ოქტომბერს მოიპოვა ერმა და ხალხმა, ის გადავარჩინოთ, თორემ, სხვანაირად ყველაფერი დამთავრდება.

მე მინახავს ძალიან ბევრი შეკრება, რომელიც მერე გამქრალა — თუ ეს განმეორდა, ჩათვალეთ, რომ ისევ ის ძალები გაიმარჯვებენ, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის გადაჯიშება უნდოდათ, ჩვენი გადაგვარება უნდოდათ, უნდოდათ, რომ ბიჭი ბიჭზე გათხოვილიყო — არ მოხდება ეს საქართველოში! მე, შეიძლება, ქუჩაში დავინახო ჰომოსექსუალისტია თუ ვინ ოხერია, რომ ვიღაც სცემს იმას და მე, როგორც ადამიანი, იძულებული ვიქნები და დავეხმარები, მაგრამ თუ იგივე ჰომოსექსუალისტი ოჯახში შემომივა და პომადიან უკანალს დამანახებს, ნურას უკაცრავად, ამის მპატიებელი არ ვარ მე და ქართველი ერი არ მიიღებს ამას არასოდეს! ეხლა წავიდნენ და ის აზრები რომ აქვთ, ზოგი ვოლტერია და ზოგი საფოა, დამიწყონ ენის გამოყოფა ყურიდან, რომ მე ვარღვევ ვიღაცების უფლებებს. მაცადეთ, ბატონებო, ვეუბნები მათ: ქართველობა გვაცადეთ ჩვენს სამშობლოში! — აკრძალული გვაქვს დღეს ეს და ახლიდან უნდა მოვიპოვოთ!...

მე კიდევ ერთხელ ათას მადლობას გეუბნებით დღეს აქ მობრძანებისთვის, ბევრი ვერ დაიტრაბახებს ასეთ დარბაზს!

**მაია ქელიძე**
5 93 32 49 71



# საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს

# gldanis eklesia uSualod mixeil saakaSvilis brZanebiT daarbies da masSi 3000 specnazeli monawileobda

## (გლდანის ეკლესიის დარბევის უცნობი დეტალები)

*გვესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა*
***ბასილ მკალავიშვილი***

**— მამა ბასილ, ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, დაჭერები პოლიტიკური ანგარიშსწორებააო. თქვენ, როგორც სასულიერო მოღვაწეს, როგორ მიგაჩნიათ ბაჩო ახალაიას დაპატიმრება, ვანო მერაბიშვილის დაკითხვა, სხვა მაღალჩინოსნების დაჭერა და გირაოთი გამოშვება, მართებულია? თქვენ სიმართლის მთქმელი ხართ. გვითხარით სცოდავს ახალი ხელისუფლება?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

მეტად ძნელია ქართველი ერისთვის და პირადად ჩემთვის მოგონება 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმისა, რომელიც იწვნია თითქმის ყველა ოჯახმა. მე, სასულიერო პირი, შეძრული ვიყავი ადამიანთა უსამართლო ტანჯვა-წამებით და ვერაფრით ვეხმარებოდი, რამეთუ, თვით პატიმარი ვიყავი მაგათი სადისტური ქმედებების აქტიური პერიოდის დროს. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ იყო იმდენი ტუსაღი, რამდენი ჯალათიც მთავრობის მმართველობის პერიოდში საქართველოში იყო. დღეს ეს პირსისხლიანები პოლიტიკურ დევნილთა ამპლუაში წარმოგვიდგებიან, უსინდისოდ აცხადებენ, თურმე მთელმა მსოფლიომ იცის, როგორ სუფთად და ერთგულად ემსახურებოდნენ საქართველოს. რომელ ერთგულებაზეა ლაპარაკი, ბაჩო ახალაია, დათა ახალაია, მერაბიშვილი, თვით სააკაშვილი მათ მიერ ნაწამები, პოლიტიკური ნიშნით დევნილების მკვლელობებში არიან გარეულნი. რამდენი პატიმარია ჩახოცილი ციხეში ბაჩო ახალაიას დეპარტამენტის თავმჯდომარეობის დროს. სწორედ მაგ პერიოდში ვიყავი მე პატიმარი და ვხედავდი, რამდენი გარდაცვლილი სასჯელმისჯილი შეჰყავდათ საავადმყოფოს მორგში.

განსაკუთრებით მინდა შევეხო ბატონი გურამ შარაძის მკვლელობას. ის სააკაშვილის ბრძანებით განახორციელეს ახალაიებმა.

**ერთმა პიროვნებამ, სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, მომიყვა, რომ ბატონი გურამის მკვლელობის დროს ვანო მერაბიშვილი იქვე ახლო მდებარე სახლის ფანჯრიდან იჟურებოდაო.**

ციხის ამაზრზენი ფაქტების შემდეგ, რომელიც მთელმა მსოფლიომ იხილა, მათი რეჟიმის დასამარება უნდა გამხდარიყო, რომელ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზეა ლაპარაკი. ისინი კრიმინალური დამნაშავეები არიან, კიდევ ერთხელ ვაცხადებ ამას.





მე, როგორც ღვთის მსახური, ჩემი მოვალეობა მხოლოდ სიმართლეა, აქედან გამომდინარე აღვნიშნავ, რომ ახალი ხელისუფლება ცოდვას მაშინ ჩაიდენს, თუ გაგრძელდება ამ ჯალათების სპექტაკლები და არ მიეზღვებათ ის, რასაც იმსახურებენ. მათ პასუხის გაცემა მოუწევთ, პირველ ყოვლისა, ღმერთთან და მერე ქართველი ერის წინაშე.

მე მოვუწოდებ ახალ ხელისუფლებას: რადგან იტვირთა მძიმე ჯვარი — წინამძღოლობა ერისა, ყოველი ღონე უნდა გამოიყენონ, რათა აღმოფხვრან სარეველა ბალახები ნაც.მოძრაობის სახით, სანამ ისინი ისევ წამოიმართებიან და შეეცდებიან მოაშთონ კეთილი ნერგი.

ძალიან სამწუხაროა, რომ სოროსი არ წყვეტს ბინძური საცეცების გამაგრებას, რის საფუძველზეც საქართველოში ყალიბდება სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რათა ებრძოლონ უძველეს სარწმუნოებას და გზა მისცენ სექტანტების, მამათმავლების, ლესბოსელების გამრავლებას და დასცენ ერის სულიერება, ზნეობრივად გარყვნან ახალგაზრდობა ისევ ვაიქართველთა მეშვეობით.

ვანო მერაბიშვილს გვერდით არ სცილდება საკუთარი ადვოკატი **მამუკა ჭაბაშვილი**. ეს ის ჭაბაშვილია, რომელიც წლების მანძილზე ებრძვის მართლმადიდებლებს, თვითონ იეღოველია და მათი ინტერესების დამცველი, ქართველი ერის დაუძინებელი მტერი.

**— მამაო, ვიცი, ადვილი არაა თქვენთვის, მაგრამ კიდევ ერთხელ მოგვიყევით, როგორ მოხდა ეკლესიის დარბევა. სასამართლომ რა ბრალი წაგიყენათ. საერთოდ, რისთვის დაგაპატიმრეს და რისთვის დაარბიეს ტაძარი, როდის და რა ვითარებაში გამოჩნდნენ ნაციონალები იმ დარბევის მომენტში?**

— მართლაც მეტად მძიმეა ჩემთვის გახსენება იმისა, როცა ქართველთმოძულე ხელისუფლებამ ხელი აღმართა ეკლესიაზე. ჩემს დაპატიმრებას რად უნდოდა 3000 სპეცნაზელი და კბილებამდე შეიარაღებული ჯარი, როცა წინა დღით სახალხო დამცველის ოფისის ეზოში სულ ექვსნი ვიყავით, პრესკონფერენცია ჩავატარეთ, სადაც მკაცრად ვამხილე ახლადშემდგარი ვაიხელისუფლება, მაგრამ მათი ჩანაფიქრი სულ სხვა იყო. ე.წ. პრეზიდენტმა ჩვენი უსასტიკესი დარბევა აჩვენა საზოგადოებას: თუ ხმას გაიღებთ, თქვენც იგივე გელოდებათო. მაშინ დუმდა სრულიად საქართველო, სანამ თითქმის ყველა ოჯახს არ შეეხო მათი მათრახი.

სააკაშვილს ხელისუფლებაში მოსვლამდე ვამხელდი, ამიტომ მან, პირველ რიგში, სამიზნედ მე ამომირჩია, აი, რა მომითხრო ეკლესიის დამრბევთაგან ერთმა: 2004 წლის 12 მარტის წინა საღამოს ნაცმოძრაობის წარმომადგენლები რესტორანში ქეიფობდნენ, მათ დავალება ჰქონდათ მიცემული პოლიციისთვის, რომ წინა დღით მე დაპატიმრებული უნდა ვყოფილიყავი, რატომღაც ეს გეგმა ვერ განახორციელეს. დილის 5 სთ-ზე დავალება მიიღეს საზღვარგარეთ მყოფი სააკაშვილისგან, რომ შტურმი განეხორციელებინათ ჩვენს ეკლესიაზე. დილის 6-ის ნახევარზე შეიკრიბნენ ნაცმოძრაობის ოფისში და გასცეს ბრძანება თბილისში არსებული სპეცნაზის, მე-8 პოლკის და სხვა სამხედრო დანაყოფების მობილიზაციის. ნაცმოძრაობის ლიდერებმა თვით მოირგეს ნიღბები ოფისშივე, ხოლო ზოგმა ნაბახუსევმა არ იკადრა ნიღბის გაკეთება, ისე გამოემართნენ საომრად ჩემი, ერთი უბრალო მღვდლის დასაჭერად.

**— ვინ იყვნენ ისინი, ვინც იმყოფებოდნენ დარბევის დროს?**

**— გია ბარამიძე, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ოპერაციას „სოდისა“ და „კუდის“ თანამშრომლები, დათა ახალაია და ვასილ სანოძე უნიღბოდ იყვნენ და ნებისმიერს შეუძლია ნახოს ინტერნეტში, როგორ უმოწყალოდ უსწორდებიან ხელკეტებით დიდმარხვაში ღამის ნათევ მრევლს, მოხუც ქალებს. ნიღბებით იყვნენ: ბაჩო ახალაია დავით კირკიტაძე, გიგა ბოკერია, აწ გარდაცვლილი გურიის ყოფილი გუბერნატორი ჟანი კალანდაძე, გივი თარგამაძე. ერთი სიტყვით, ნაცმოძრაობის „სახელოვანი“ ბირთვი.**



შოკის მომგვრელია ის, რომ მათ უკვირთ დაპატიმრების ფორმები. სირცხვილის გრძნობა საერთოდ არ გააჩნიათ. ეტყობა, დაავიწყდათ, თვით რა სისასტიკით იჭერდნენ, აწამებდნენ და ბოლოს ხოცავდნენ ადამიანებს.

მეკითხებით, რისთვის დამაპატიმრეს. პასუხი არცთუ ისე რთულია. რატომ მიყვარს ჩემი ქვეყანა, რატომ ვიცავ ერის ტრადიციებს და წინაპართა მონაპოვარს, რატომ ვიცავ მართლმადიდებლობას?

ბრალად წამიყენეს, რატომ გაანადგურა მართლმადიდებელმა მრევლმა სულიწმიდის მგმობელი სექტანტური ბროშურები, რომელიც სჯულის კანონით გამართლებულიაო.

**— მამაო, დარბევის შემდეგ მრევლმა მიმართა, ალბათ, სამართალდამცავებს. რა პასუხი მიიღეს?**

— ვისთან უნდა წასულიყვნენ, ყველგან სააკაშვილის ხალხი იყო, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დარბევის და

**ჩემი პატიმრობაში აყვანის შემდეგ გია ბარამიძე და ქალაქის მაშინდელი პროკურორი მივიდნენ პატრიარქთან და უთხრეს — ჩაიბარე ეკლესია, გავათავისუფლეთ მამა ბასილისგანო.**

პატრიარქმა ამ შემთხვევაში სწორი ნაბიჯი გადადგა და მიუგო — იქ, სადაც თქვენ სისხლი დაღვარეთ ღამის ნათევი მრევლისა, იქ მღვდლებს არ გავგზავნიო.

**— მამაო, არ აპირებთ სასამართლოს წარუდგინოთ მტკიცებულებანი ბაჩო და დათა ახალაიების წინააღმდეგ, ან გამოკვეთოთ დარბევის დროს ბარამიძის, ბოკერიას, ადეიშვილის ბრალეულობანი?**

— მე არა ვარ ის პიროვნება ვინმეს სასამართლოში ვუჩივლო. არ ვეცდები ღმერთის გასაკეთებელი მე გავაკეთო. თვით უფალზე ვარ მინდობილი, მისი უზადო მსა-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ზური და მისი მცნებების მკაცრი დამცველი, აქედან გამომდინარე, უფალი თვით მიაგებს სამაგიეროს. არ იფიქროთ, ნიშნის მოგებით ვლაპარაკობდე. ყველამ უნდა გაითვითცნობიეროს, რომ უფლის სასჯელი უმკაცრესია, ყველას გულის განმხილველია. ასე, რომ ნუ დამშვიდდებიან ნაც.მოძრაობის წარმომადგენლები, თავიანთი შავბნელი საქმეებით წარმოჩნდებიან განკითხვის ჟამს. სიმართლე მხოლოდ უფალთან არს. ასე, რომ, სააკაშვილთან და მისნაირებთან სიმართლის ძებნა აბსურდულია.

რაც შეეხება მათ, ვინც მონაწილეობა მიიღეს მრევლის დარბევაში, ბევრი მოვიდა ტაძარში, გულწრფელად ინანიებდნენ. მათ განაცხადეს, რომ ჰქონდათ გამოცხადება იმაზე — ეკლესიის დარბევის გამო მკაცრად რომ დაისჯებოდნენ.

ციხეში ჩემთან მოვიდა ორი სპეცნაზელი, ფეხებში ჩამივარდნენ და პატიება მთხოვეს. მითხრეს: მოსვენება დავკარგეთ, ცხოვრებისეული კალაპოტიდან ამოვვარდით, ვერაფერს ვაკეთებთ, სულ თქვენ გვიდგახართ თვალწინ. ეკლესიაში მისვლა გვინდა, სანთლის დანთება, მონანიება. მე მათ მივუტევე. მივეცი ლოცვა-კურთხევა მისულიყვნენ ტაძარში და უფლისთვის პატიება ეთხოვათ. შემდეგ სამაჩაბლოში წავიდნენ და ერთ-ერთ საგუშაგოზე აფეთქდნენ. როგორც გადმოგვცეს, თურმე, წინა ღამით ამბობდნენ, ახლა თუგინდ მოვკვდეთ, უდიდესი ცოდვა მონანიებული გვაქვსო.

**— მამაო, როგორ ფიქრობთ, ეკლესიაზე კვლავ აქვს გავლენა ძველ ხელისუფლებას. რამდენად მოსალოდნელია ნაციონალების რეანიმაცია?**

რო პირის მოქმედებებს, მამა აკაკის (მელიქიძე) და თეიმურაზ გაგნიძეს. ვურჩევდი მათ — კარგად ჩაიხედონ დიდი სჯულის კანონში, შეეშვან ჩემს განქიქებას, თავიანთი მწვალებლური ლოცვებით ნუ აცთუნებენ ხალხს. ყველა უკეთურება, რომელიც ხდება თქვენ წიაღში, თანამონაწილენი არა ხართ? მე სჯულის კანონიდან იოტის ოდენა არ გადამიხვევია, ჩემი სიყვა და საქმე განუშორებელ არს, თქვენ კი სარკაზმული სიტყვებით ამბობთ ერთს, შესრულებული კი არაფერი ჩანს. მე რომ განმიკითხავთ, არა გრცხვენიათ? თურმე მე „გამიმრავლებია“ სექტები, მე ჩამომიყვანია გარეგინი და თანხმობა მიმიცია მისი პრეტენზიული მოთხოვნებისთვის, მე მიმიღია მონაწილეობა სინოდის სამარცხვინო გადაწყვეტილებაში. რომელი ჩამოვთვალო. ვერ ამჩნევთ, რომ სულიერება ხელიდან გვეცლება და თქვენ კი სხვისი განკითხვით შემოიფარგლებით. მე არავის ვეხები, მაიძულებთ და მოგაგებთ პასუხს.

**— მამაო ბასილ, ამბობენ 21 დეკემბერს მზე დაბნელდება და სამყაროს დასასრული დაიწყებაო. რას ფიქრობთ, ასე იქნება?**

— წინასწარმეტყველი არ ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ღვთის რისხვა გარდაუვალია მთელ მსოფლიოზე, რადგან თვით მცირერიცხოვანმა მართლმადიდებლებმა ქვეყნებმაც კი დაივიწყეს უფალი, უარყვეს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ძალიან ახლოა ქრისტეს მეორედ მოსვლა. ვფიქრობ, რომ უფალი სერიოზულ გაფრთხილებას მოგვაგებს.

**რაც შეეხება დაბნელებას, პირადად მე სულიერად არანაირი მძიმე განცდა არ გამაჩნია, რამეთუ ყველაფერს უფალი განაგებს და მისი მცნებების ერთგულთ არანაირი განსაცდელის გადატანა არ გაუძნელდებათ.**



— როგორც მოგეხსენებათ, ძველ ხელისუფლებას მეტად ჰარმონიული ურთიერთობა ჰქონდა ეკლესიის მესვეურებთან. ურთიერთშეთანხმებით და მითითებით წყვეტდნენ ერის საზიანო საკითხებს. რა თქმა უნდა, ყველას მიმართ ვერ ვიტყვით ამას. არიან საპატრიარქოს წიაღში ისეთი მეუფეები, რომლებიც დაუფარავად ამხელენ მანკიერ ქმედებებს ერში თუ ბერში.

რაც შეეხება აწ ყოფილ ხელისუფლებას და მათ ოცნებას, რომ ისევ მოვლენ სათავეში, გამორიცხულია. ამას ღმერთი არ დაუშვებს. თუმცაღა საპატრიარქოში დღესაც ჰყავთ თანამზრახველები დამსმენების სახით, რათა გაიგონ ყოველივე, რაც ხდება. რას ეპოტინებიან ისევ — გასაოცარია.

**— მამაო, ბოლო დროს მეუფე იაკობი, (სამაკაშვილი) მოურიდებლად ამხელს ყველას.**

— მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შევეხო ორი სასულიე-

ამასვე მოვუწოდებ ჩემ სულიერ შვილებს. და თუ ეს დაბნელება მაინც მოხდება, ისევ იმისთვის, რომ თვალები აეხილოთ მათ, ვინც ზურგი აქცია უფალს და უღალატა ჭეშმარიტ რწმენას. რათა ამით დაანახოს გზააბნეულთ ღმერთის ძალა, როგორც ეს მოხდა მირიან მეფის დროს, როცა მანამ არ ინათა, სანამ ურწმუნო მეფემ წმიდა ნინოს ჭეშმარიტ ღმერთს — იესო ქრისტეს არ მიმართა. საბოლოოდ მივდივართ ისევ რწმენამდე, ლოცვამდე და უფალი ჩვენი იესო ქრისტეს განდიდებამდე, ყოვლადწმიდა დედაღმრთისმშობლის მეოხებამდე, რომელიც ისედაც არ აკლია ქართველ ერს.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბატონ გიორგი მარგველაშვილს

**„საერთო გაზეთის“ რედაქციას №172-ე საჯარო სკოლის რუსული ენის ყოფილი პედაგოგი ლალი ჯანაშვილი ესტუმრა. უსამართლობის ტალღამ, რასაც ბოლო პერიოდში უამრავი პედაგოგის უკანონო გათავისუფლება მოჰყვა, მასაც გადაუარა. ბრძოლის მიუხედავად ქალბატონმა ლალიმ სამართლიანობის აღდგენას დღემდე ვერ მიაღწია. ამჯერად, მან დახმარება ჩვენს გაზეთს სთხოვა. ქალბატონი ლალი იმ კონკრეტულ დარღვევებზე, რაც სკოლის დირექტორმა ელისო დოლაკიძემ მის მიმართ განახორციელა, თავად საუბრობს:**

— რუსული ენის პედაგოგი გახლავართ. 28-წლიანი მუშაობის სტაჟი მაქვს. 1983 წლიდან მე-40 საჯარო სკოლაში ვმუშაობდი, პარალელურად ჩვენი რაიონის განათლებაში მეთოდისტობაზე კონკურსი გავიარე და გავიმარჯვე. შედეგად 1997 წლიდან 2000 წლამდე, სანამ ლიკვიდაცია არ მოხდა, ისნის რაიონის მთავარ სპეციალისტად ვმუშაობდი. 2007 წელს დირექტორის მოადგილედ დავინიშნე. 2010 წელს ჩემს საგანში სასერთიფიკაციო გამოცდა ჩავაბარე, მეორე გამისია უნდა გაიგზავნოს, რათა დეტალურად მოხდეს ვითარების შესწავლა. რადგან სკოლების ოპტიმიზაცია მოხდა, კენჭისყრის გზით აუცილებელი გახდა სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევა. მონაწილეობა მეც მივიღე, რადგან კოლეგებმა მთხოვეს და სწორედ მათ წარმადგინეს. პროცესი თავიდან ბოლომდე დარღვევებით წარიმართა. დირექტორის მოადგილე პედაგოგებს სახლში ურეკავდა და ეუბნებოდა — ლალის ხმა არ მისცეთ, უთქვენოდაც საკმარის ხმებს მოაგროვებსო. არჩევნების შემდეგ კი კომისიის თავმჯდომარემ გამომიცხადა, რომ მხოლოდ 8 ხმა ავიღე, მეორე დღეს კი ეს 8 ხმა — 7 გახდა. დავინტერესდი, რა ხდებოდა. კომისიის თავმჯდომარემ მითხრა — ქალბატონო ლალი, იცით რაშია საქმე, თქვენ მუნიციპალიტეტში სასურველი პიროვნება არ ხართ, იქ საერთოდ არ გიცნობენო, ანუ რადგან „ნაციონალი“ არ ვიყავი, დამბლოკეს. მოვითხოვე ოქმი, თუმცა არ მაჩვენეს. დირექტორმა ელისო დოლაკიძემ კი „რჩევა“ მომცა განცხადება გაიტანეო. აღნიშნული ქალბატონი წლებია არჩევნებში კომისიის თავმჯდომარეა და მას, ბუნებრივია თავისიანები სჭირდება. როგორც იცით, ბო-

— ეს აბსურდია. შვიდმა პედაგოგმა დოლაკიძეს სამსახურში აღდგენის მოთხოვნით მიმართა. მათ უარი მიიღეს შემდეგი მოტივით — არაკვალიფიციურნი ხართ, თანაც დისციპლინასაც არღვევდითო. პარადოქსია, მაგრამ სწორედ ამ პედაგოგებს სამსახურიდან დათხოვნამდე პედ. საბჭოზე გაწეული კარგი სამსახურისთვის მადლობა გამოუცხადა და სიგელები გადასცა. ფორმალურად, შეიძლება მართლაც მივმართო განცხადებით, მაგრამ ეს ხომ არავითარ შედეგს არ გამოიღებს. განა რა მიხვედრა უნდა იმას, რომ



## ლალი ჯანაშვილი:

## sanam skolebs eliso dolakiZisnairi direqtorebi marTaven, samarTlianoba ar aRdgeba

მოცდაზე — უნარებზე ვერ გავედი იმიტომ, რომ ორი სკოლის — №40 და №172 ოპტიმიზაცია მოხდა. ბრძანება ოპტიმიზაციის შესახებ 2010 წლის 16 აგვისტოს დაიწერა. მინისტრის ბრძანებით №172-ე სკოლა №40-ე უნდა შეერთებოდა. თუმცა, ფაქტობრივად, ყველაფერი პირიქით მოხდა — მე-40-ე სკოლა 172-ეში გადაგვიყვანეს. ამ დროს დოლაკიძე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო. საოცარია, მაგრამ სამი თვე 172-ე სკოლას ნომერიც და სხვა რეკვიზიტებიც ჩვენი — მე-40-ე სკოლის ჰქონდა. მხოლოდ 3 თვის მერე, უკვე დირექტორმა დოლაკიძემ პედ. საბჭოზე გამოგვიცხადა, სკოლის ნომერი დავიბრუნეთო. გაჩნდა ეჭვი, რომ ვიღაცამ მინისტრის ბრძანება შეცვალა, სხვაგვარად გაუგებარია მაშინ, როცა ბრძანება 172-ე სკოლის მე-40-სთვის შეერთებას ითვალისწინებდა, როგორ აღმოჩნდა პირიქით. სხვათაშორის, ამ ბრძანებიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ სკოლაში ჩვენი რაიონის რესურს-ცენტრის წარმომადგენელი ნესტან ზუღბაია მოვიდა და გვითხრა 172-ე სკოლის შენობაში უნდა გადმოხვიდეთო. ამ ფაქტის შემდეგ განათლების მინისტრთან შაშკინთან წავედით, მაგრამ მან არ მიგვიღო, შედეგად ვერ გავიგეთ რა გადათამაშება მოხდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შენობა ავარიულია, კედლები გადახსნილია, უზარმაზარი ნაპრალებია — გარეთ ჩანს რა ხდება. ეს ბავშვების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. მოსწავლეები რომ დარბიან, სკოლა ზანზარებს. მე-8 მესამე კლასი სკოლაში არ ცხადდებოდა იმიტომ, რომ მათ კლასში კედლები გადახსნილია. მე-40 სკოლა კი მყარია, კაპიტალურადაა გაკეთებული. უნდა ითქვას, რომ მე-40 სკოლა გაიყიდა და იქ სასტუმრო გაიხსნა, რომელიც ჩინელებისაა. ამ დროს, კი ბავშვების სიცოცხლეს 172-ე სკოლაში საფრთხე ემუქრება. ვფიქრობ, ამ საკითხზე კო-

ლო პერიოდში პედაგოგების მასიური გათავისუფლება მოხდა. ჩვენს სკოლაში უპრეცედენტოდ ბევრი — 35 მასწავლებელი გათავისუფლდა. 8 მასწავლებელმა სასამართლოში შევიტანეთ სარჩელი, თუმცა არ დაგვიკმაყოფილეს. დანარჩენ პედაგოგებს ამ უკანონობის გაპროტესტების შეეშინდათ. მინდა გითხრათ, რომ აბსოლუტურად უსამართლოდ მოხდა ჩემი გათავისუფლება.

**— კონკრეტულად, რა მოხდა, რა მოტივი დაგისახელათ დირექტორმა?**

— თავდაპირველად, მინდა გითხრათ, თუ რა ვითარებაში გავთავისუფლდი სამსახურიდან, მთავარი უკანონობა სწორედ აქედან იწყება. ზაფხულში კუთვნილ შვებულებაში გავედი და 15 რიცხვში ქალიშვილთან ისრაელში გავფრინდი. 19-ში კი ჩემი გათავისუფლების შესახებ სახლში წერილი მომივიდა, ეს მაშინ როცა მე ქალაქში არ ვიყავი და თანაც შვებულებაში ვიმყოფებოდი. ასე უთქვამს — თავის სამშობლოში წავიდა და სამსახურს იქ იშოვისო. უცებ „გამომიწერა“ საგზური. ჯერ ერთი ისრაელში რატომ უნდა ვეძიო სამსახური, როცა კვალიფიციური პედაგოგი ვარ და ჩემი სამშობლო აქ არის. იგი ქსენოფობიურ განცხადებასაც კი აღარ მოერიდა. ხალხი, ვინც „ნაციონალები“ ანუ მისიანები არ ვიყავით, ხელს ვუშლიდით. სამწუხაროდ, სკოლებს დღემდე მართავენ „ნაციონალი“ დირექტორები და სხვა წამყვანი პირები. სხვა სკოლებზე, კონკრეტულ ფაქტებზე ვერ ვისაუბრებ, თუმცა ჩვენს სკოლაში „ნაციონალების“ ხელდასმულ დოლაკიძეს აშკარად არ მოუვედი თვალში. აკი, მუნიციპალიტეტშიც გაიკვირვეს ლალი ჯანაშვილი ვინ არის, ეგ ჩვენიანი არაა, არ გვეცნობაო. აი, ასე მართავს სკოლას ელისო დოლაკიძე.

**— ახალმა მინისტრმა თქვა, რომ პედაგოგებმა, ვინც გათავისუფლდნენ აღდგენაზე დირექტორებს უნდა მიმართონო. რას ფიქრობთ ამაზე?**

დირექტორმა, რომელმაც მისთვის არასასურველი პედაგოგები უკანონოდ დაითხოვა, მათ აღდგენას არ მოისურვებს. რა კანონიერებას უნდა ველოდო მე დოლაკიძისგან, მაშინ, როცა მან აბსოლუტურად უკანონოდ ჩემთან ერთად 35 პედაგოგი დაითხოვა და მათ ადგილზე ახლები მიიღო, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები. მისგან რა სამართალს უნდა ველოდო?!

**— რა მოთხოვნა გაქვთ ახალ მინისტრთან?**

— მოთხოვნა ერთადერთია — აღდგეს სამართლიანობა. სანამ ელისო დოლაკიძისნაირი დირექტორები მართავენ სკოლას, მანამდე სამართლიანობა არ აღდგება. ჩვენი გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით მოხდა და პოლიტიკური დევნა უნდა დასრულდეს. დოლაკიძისნაირი დირექტორები სკოლებს აღარ უნდა მართავდნენ.

**P.S. როგორც ქალბატონმა ლალიმ აღნიშნა, იგი არ აპირებს ამ უსამართლობას შეეგუოს. სასამართლოზე მან დოლაკიძეს სამი შეკითხვა დაუსვა — რატომ უნდა ეძებოს სამსახური ისრაელში, რა მოტივით მოხდა მისი გათავისუფლება და რატომ გათავისუფლდა მაინცდამაინც იგი და არა სხვა რუსული ენის სპეციალისტი — თუმცა ეს კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა. „ამიტომ გადავწყვიტე, იქნებ დოლაკიძემ „საერთო გაზეთის“ მეშვეობით გამცეს კითხვებზე პასუხი, ან განათლების მინისტრი დამეხმაროს, ან, სხვა გზა აღარ მრჩება — ისრაელის საელჩოს მივმართავ. თუ სხვა საშველი აღარაა, რადგან ისრაელი ჩემი სამშობლო ყოფილა, წერილს იქ გადავაგზავნი, იქნებ ისინი მაინც დამეხმარონ“ — აღნიშნა ქალბატონმა ლალიმ. იმედი გვაქვს განათლების სამინისტრო და გენ.ისპექცია აღნიშნულით დაინტერესდება და შესაბამის რეაგირებას მოახდენს.**

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**

მრავალ პრობლემათაგან, რომელთა მოგვარება და მოწესრიგება ახლად არჩეულმა ხელისუფლებამ დროულად უნდა შეძლოს, ამჯერად გვსურს საქარ-თველოს პარლამენტის ადგილმდებარეობის საკითხი გამოვყოთ, რაც, ერთი შეხედვით, პირველი რიგის საკითხთა შორის არ უნდა მოიაზრებოდეს. მაგრამ ასე მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს, თორემ ხელისუფლების ამ უმთავრესი ინსტიტუტის განთავსების საკითხი, დიაღაც, პირველხარისხოვანია და აკი ამიტომაცაა, რომ მას ჩვენი უპირველესი და უძირითადესი კანონთკრებული — ქვეყნის კონსტიტუცია განსაზღვრავს. ვიდრე

# `sax l ad Tvisad saukunod~

## (პასუხი ბატონ გუბაზ სანიკიძეს)



უშუალოდ საკითხს განვიხილავდეთ, გვსურს ორიოდე სიტყვით ამ საკანონმდებლო ორგანოს სახელის თაობაზე ჩვენი მოსაზრება გაგაცნოთ. ეროვნულმა ხელისუფლებამ 1990 წელს ამ მმართვე-ლობით ორგანოს უზენაესი საბჭო უწოდა, რომელიც უბრალოდ სიტყვათა წყობა არ გახლდათ და იგი შინაარსით საზოგადო, საქვეყნო სათათბიროს გულისხმობ-და, რომლის ეპითეტი „უზენაესი“ ღვთის ნებასთან წილნაყარობასაც მიგვანიშ-ნებდა — ამ ინსტიტუტს ისე უნდა ემართა ქვეყანა, რომ თავისი საქმიანობისთვის უფლის ნება, ათი მცნების აღსრულება დაედო საფუძვლად. ახლა კი საქართვე-ლოს უზენაეს საბჭოს კონსტიტუციის ძალით პარლამენტი ჰქვია. ვინც ეს ცვლილება დააკანონა, მას, ალბათ, ეგონა, რომ ამ უცხო ტერმინის დამკვიდრე-ბით საქართველოს სახელმწიფოს „გაათანამედროვებდა“ და უფრო ევროპულს გახდიდა. მაგრამ მედასავლეთეობით უსაზღვროდ გატაცებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და „უზენაესი საბჭოს“ სახელის შეცვლით პროდასავლურობა ვერ დავამტკიცეთ. თუმცა მივყვეთ ჩვენ მთავარ სათქმელს.

მაშ ასე, პრეზიდენტობაგამტკბარმა სააკაშვილმა პარლამენტის ქუთაისში გადატანა აიხირა, თანაც ეს ახირება, შეიძლება ითქვას, ელვისებურად აღისრუ-ლა და ხსენებული დაწესებულებისთვის ფუტურისტულ-მოდერნისტული შენობა, რომელიც ჯერაც დაუმთავრებელია, ქუთაისის ერთ-ერთ გარეუბანში განათავსეს. იმავდროულად თბილისის უზენაესი საბჭოს სასესიო დარბაზი ასევე სასწრა-ფოდ იავარჰყვეს. მაგრამ ამ ახირებას სათანადო საკანონმდებლო ბაზა სჭირდე-ბოდა. ესეც მოასწრეს და კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანეს.

ისმის კითხვა, რატომ ესწრაფოდნენ „ნაციონალები“ და მათი ბელადი ასე გამალებით საკანონმდებლო ორგანოს დედაქალაქიდან მოშორებას? პასუხი არაერთგვაროვა-ნია: ჯერ ერთი, სააკაშვილს უდავოდ სურდა, რომ პარლამენტის შენობა, რომლის წინ მდებარე ტერიტორია აგერ უკვე 6 წელიწადია, მის წინააღმდეგ მიმართული მიტინგების არენად იყო ქცეული, უფუნქციოდ დაეტოვებინა, დაეცარიელებინა, რათა რუსთაველის გამზირიც დაცლილიყო აჯანყებული ხალხისგან და უკიდურესი უკმაყოფილების მუხტი, აქ გამუდმებით რომ იგრძნობოდა, პოლიტიკური სიჩუმის მომასწავებელ, მათთვის საამო სიცარიელეს შეეცვალა. მაგრამ ასეთი ახსნა მხოლოდ სააკაშვილის პიროვნული შიშის გამოძახილია. საკითხს თუ ჩავუკვირდებით, იგი უფრო სერიოზული და შორსმიმავალი დასკვნის საშუალებას იძლევა.

ცნობილია, რომ დედაქალაქს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია, რადგანაც იგია სახელმწიფოს უპირველესი ცენტრი, სადაც ხელისუფლება თავისი განშტოებებით სრულადაა თავმოყრილი და საიდანაც მართვა-გამგეობა მთელ ტერიტორიაზე ხორციელდება. შესაძლებელია, ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა დარგის, მაგ., ვაჭრობის, ინდუსტრიის, განათლებისა და ა.შ. მიხედვით სხვადასხვა ქალაქები უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდნენ, ვიდრე დედაქალაქი, მაგრამ სახელისუფლებო ფუნქციის პრიმატი ყოველთვის ამ უკანასკნელის კუთვნილება იყო. პოლიტიკური ერთიანობისა და წესრიგის გამყარებისთვის არსებითი და უცილობელი წინაპირობა ის გახლავთ, რომ ყველა სახელისუფლებო შტო — საპრეზიდენტოც, აღამსრულებელიც, საკანონმდებლოც, სასამართლოც და მისთ. ერთად, ერთ ქალაქში უნდა იყოს თავმოყრილი. თუკი ამ ერთობლიობიდან რომელიმე მათგანს გამოაცალკევებ და სხვაგან, სხვა ადმინისტრაციულ ცენტრში მიუჩენ ადგილს, ეს უმალ გამოიწვევს ერთიანი სტრუქტურის რღვევას, რაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ცვლილების საწინდარია და უცილობლად მმართველობის შესუსტებას, დაკნინებას მოასწავებს. ქვეყნის მართვის შესუსტება კი თავის მხრივ სახელმწიფოს ნგრევას მოიტანს. ეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იმთავითვე გაცნობიერებული ჰქონდათ ყველგან და ამიტომაცაა, რომ, როგორც წესი, ხსენებული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები დედაქალაქში იყო თავმოყრილი.

მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში, სადაც გლობალური პოლიტიკაა წინ წამოწეული და ეროვნული სახელმწიფოების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომია გამოცხადებული, ამ წესს თანდათან სულ უფრო უგულებელყოფენ და საპირისპირო პროცესს ნერგავენ. ასე მაგ., ამგვარ პრეცედენტებს მრავლად ვხედავთ აფრიკის, სამხრეთ ამერიკის და სხვა „განვითარებადი“ ქვეყნების პოლიტიკურ სინამდვილეში. შეინიშნება უმაღლესი მმართველობითი შტოების დაშორიშორება და მათი სხვადასხვა ქალაქებში განთავსება. ამასთან, ცხადი გახდა, რომ ხელისუფლების შტოების ასეთმა დაყოფამ, ჯერ ერთი, გამოიწვია სახელმწიფო ხარჯების უაზრო და საგრძნობი ფლანგვა, რაც ხაზინის შემოსავლებზე უარყოფითად აისახა, მეორეც, ექსპერტთა აღიარებით, სახელისუფლებო ინსტიტუტები იმდენად შესუსტდა, რომ ამან თავისი უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ერთიანობასა და ერის, როგორც სოციალური ორგანიზმის მთლიანობაზე. აი, ესაა მთავარი, ვიტყოდით დამღუპველი შედეგი, რაც საქართველოში ხელისუფლების შტოების დაყოფას და გეოგრაფიულ სივრცეში განცალკევებას აუცილებლად მოჰყვება.

ჩვენში ამ საკითხისადმი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ნაცმოძრაობასთან ერთად ახალი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელიც არასწორ დამოკი-დებულებას ავლენს. თუკი „ქართული ოცნების“ წევრთა უმრავლესობა საზოგადოებას აუწყებს, რომ ისინი პარლამენტს თბილისში დააბრუნებენ, ზოგიერთი მათი თანაგუნდელი სხვაგვარად ამეტყველდა. საზოგადოებას ყური მოჭრა ისტო-რიკოსისა და პოლიტიკოსის, ბატონი გუბაზ სანიკიძის ნათქვამმა იმის შესახებ, რომ იგი მომხრეა პარლამენტი ქუთაისში განთავსდეს. ე.ი., მისი აზრით, ქუთაისი უნდა გახდეს საქართველოს საპარლამენტო დედაქალაქი. ბატონი გუბაზისთვის მისი ნათქვამის საპირწონედ შეგვეძლო შეგვეხსენებინა, რომ პარლამენტის ჯერაც დაუსრულებელი შენობის დასრულებას, რომელიც ჭაობიანი ნიადაგიდან დიდი გომბეშოსავითაა ამოზიდული, უკვე დახარჯული 360 მლნ-ის გარდა, ემატება უწყის, კიდევ რამდენი მილიონი დასჭირდება. მაგრამ, ვინაიდან ბატონი გუბაზი გაპოლიტიკოსებამდე პროფესიით ისტორიკოსი — მკვლევარი გახლდათ, იძულებულნი ვართ ამ საკითხის თაობაზე ის ისტორიული გაკვეთილები შევახ-სენოთ, რაც, სხვათა შორის, თავად მას შეეძლო სხვისთვის მიეთითებინა. ეს მით უფრო საჭირო და, ვიტყოდით, აუცილებელიცაა, რომ, ნათქვამია, ისტორიული გამოცდილება და მაგალითები საზოგადო მოღვაწისთვის ხშირად უფრო მეტის მიმცემი და ჭკუის დამრიგებელიცაა, ვიდრე „ახალი ცოდნა“.



როგორი ჭირვარამიანიც იყო ქართველი ერის ისტორია, ისევე ჟამიანად ვითარდებოდა საუკუნიდან საუკუნემდე საქართველოს დედაქალაქი თბილისი. წყაროთა თანახმად, გეოგრაფიული პუნქტის თბილისის არსებობა V საუკუნემ-დე, როცა იგი ქალაქად ჩამოყალიბდა, გაცილებით ადრე დასტურდება. თავდა-პირველად აქ ციხე-სიმაგრე ყოფილა აშენებული. ლეონტი მროველით, ეს ციხე-სიმაგრე IV საუკუნეში „ერისთავმან სპარსთამან“ ააგო და იგი „ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“ მდგარა. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არქეოლოგიურ მასალათა საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ თბილისის ციხე-სიმაგრე ჯერ კიდევ I საუკუნეში იყო აგებული. ასე თუ ისე, ფაქტი ერთია, თბილისი, როგორც ქალაქი და მსხვილი დასახლებული პუნქტი, ცარიელ ადგილას არ დაფუძნებულა და იქ არსებული ციხე-სიმაგრე გამხდარა ის საწ-ყისი ადგილი, საიდანაც შემდგომ ურბანული პროცესები განვითარებულა და ქალაქიც დაფუძნდა. დედაქალაქის ფუნქცია თბილისმა VI საუკუნეში შეიძინა, თუმც კი ამ პროცესს V საუკუნეში ვახტანგ გორგასალი იწყებს („ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა“). საგულისხმოა, რომ ვახტანგ გორგასლის დროსვე ამ ციხე-სიმაგრის ირგვლივ უკვე დასახლებაც არსებულა. წყაროში ნათქვამია, რომ ვახტანგის დროს სპარსელების მიერ „ტფილისი სოფელი და კალაიცა მოოხრებული იყო“. ქალაქად ქცეული თბილისი კი VI ს-ის II ნახევრიდან ძლიერდება და იგი რამდენიმე რაიონისგან — კალასგან, სეიდაბადისგან, ისან-ავლაბრისა და გარეთუბნისგან შედგებოდა. ამასთან, კალა, წყაროთა თანახმად, „აღშენებული“ ვახტანგ გორგასლის მიერ ყოფილა. ნიშანდობლივია ისიც, რომ თბილისის გაძლიერება და მცხეთის შესუსტება თანმდევი პროცესი გახლდათ და უკვე VII საუკუნისთვის ქალაქი თბილისი დასრულებულ სახეს იძენს: „ხოლო ამის სტეფანოზის-ზე მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი გაძლიერდებოდა, არმაზი აოხრდებოდა და კალა აშენდებოდა“...

ჩნდება კითხვა, რამ განაპირობა, რომ დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანეს? ცნობების მიხედვით, ქართველთათვის ამ საკითხს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონია, რომ თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის აღიარებისთვის ძალისხმევას ორი თაობის მეფენი არ იშურებენ და, როცა ვახტანგ გორგასალმა ვერ მოასწრო მისთვის „სამეუფო ქალაქის“ ანუ დედაქალაქის სტატუსის მინიჭება, ეს საქმე მისმა შვილმა დაჩიმ აღასრულა. ამიერიდან თბილისი საქართველოს სატახტო ქალაქი ხდება. მაშ, რატომ გაისარჯნენ აგრერიგად ამ საქმისთვის ჩვენი მეფენი და რა იყო მიზეზი იმისა, რომ მცხეთის, ქართლის ამ უძველესი ცენტრის ადგილს თბილისი იკავებს? პასუხი კითხვაზე წყაროებშივე ძევს. კერძოდ, ჩვენს ცნობისწადილს ის ადგილი აღძრავს, სადაც გაცხადებულია, რომ თბილისის სიმაგრე „ციხედ მცხეთისა აღაშენეს“. ე.ი. ციხე-სიმაგრის ფუნქცია თავდაპირველად მცხეთის დაცვა ყოფილა, თუ ვისგან უნდა დაეცვათ მცხეთა, ძნელი მისახვედრი არაა, რადგანაც თბილისის ციხე მცხეთიდან სამხრეთით განათავსეს. ე.ი. მომხდური, რომლისგანაც მცხეთას დაცვა სჭირდებოდა, სამხრეთიდან უნდა შემოსულიყო. ამ მიმართულებიდან კი საქართველოს იმ ხანად არმენები და სპარსელები უტევდნენ. სწორედ მათგან დასაცავად აღუმართავთ ძველი დედაქალაქის ზღუდედ თბილისის ციხე-სიმაგრე. ამდენად ზღაპრული ამბავი თბილისის დაარსებისა, სინამდვილეში კარგად გააზრებულ პოლიტიკურ ქმედებას გულისხმობდა, რომელიც სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გასამყარებლად იყო გამიზნული. ჩვენი აზრით, სწორედ წყაროს ამ მონაცემს ეყრდნობოდა XIX საუკუნის თვალსაჩინო მკვლევარი პლატონ იოსელიანი, რომელიც დედაქალაქის უფრო სამხრეთით გადმოტანის ფაქტს იმით ხსნიდა, რომ ამ პოლიტიკური ნაბიჯით ქართველებს სურდათ ქვეყანა არმენთა ექსპანსიისგან დაეცვათ — თბილისი ხდებოდა გული ქვეყნისა და იმავდროულად ზღუდე მისი სამხრეთი საზღვრების ხელმყოფთა შესაკავებლად. უნდა ითქვას, რომ საუკუნეები გადიოდა და ქართველი მემატიანის მიერ ზედმიწევნით ზუსტად შემჩნეულ ამ ცნობას არ დაუკარგავს სიცხოველე, პირიქით, არმენთა მოძალება არ ნელდებოდა და მაშინაც კი, როდესაც მათ დაკარგული ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფოებრიობა, ქართული მიწებისკენ თვალი კვლავინდებურად ეჭირათ. ეს კი მეტყველებს, რომ თბილისის, როგორც სატახტო ქალაქის მნიშვნელობა არც გვიან შუასაუკუნეებში შემცირებულა, პირიქით, იგი მიზეზთა გამო დღემდე საჭირბოროტო საკითხთა შორის მოიაზრება.



**ნინო ჯაველიძე**

(გაგრძელება იქნება)

# kohabitaciis Sesaxeb

„კოალიცია “ქართული ოცნების” ფორმატში შექმნილ დარგობრივ ჯგუფებში, საქმის მცოდნე არაერთი სპეციალისტი და ექსპერტი გაერთიანდა. დაიდო კონცეფციები და ხედვები, რომელიც შემდგომ ბიძინა ივანიშვილის პარტიის “ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს” საპროგრამო დოკუმენტშიც აისახა. მართალია, არც იმდენად სრულყოფილად, რა კონცეფციებიცა და განათლებისადმი მოთხოვნებიც ჯგუფის წევრებმა არაერთი ქვეყნის განათლების მაგალითზე შეიმუშავეს. (იგივე განმეორდა კულტურის ჯგუფის მიერ დადებული ხედვების მიმართაც. მოსაზრებები და რჩევები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის პარტიის საპროგრამო დოკუმენტში აისახა, ჩანს, მინისტრებისთვის გასათვალისწინებელი არ აღმოჩნდა, რამდენადაც ყველა სამინისტროსა და უწყებებში, წინა ხელისუფლებისგან “ქართულ ოცნებასთან გადმოტმასნილმა” ადამიანებმა სამინისტროებსა და უწყებებში, თავიანთი “ძველი საქმიანობები” გააგრძელეს. ძირითადი განათლების პროგრამაში მაინც ასახულ იქნა, მაგრამ არა ის ძირეული და მნიშვნელოვანი, რაზეც დარგობრივმა ჯგუფებმა იმუშავეს. მიუხედავად ამისა, ფუნდამენტური საკითხები, რაც სკოლებში მანდატურებისა და უფასო საშუალო განათლების არგუმენტირებული კონცეფცია იყო — დღევანდელი განათლების სამინისტროსაგან, ჩანს კვლავ იგნორირებული რჩება. ამის საფუძველს განათლების სამინისტროში მინისტრის ახალ მოადგილესთან-ალუდა გოგლიჩიძესთან ზოგადი განათლების დარგობრივი ჯგუფის შეხვედრაც მოწმობდა. მინისტრის მოადგილეს “მყარი არგუმენტი” აქვს მანდატურების სკოლებში დატოვებაზე — ეს უსაფრთხო სკოლის გარანტიაა.

ბევრ სკოლაში, დღემდე მოქმედებს ძველი რეფორმით დანერგილი “მგლის ბილეთიც”, რა დროსაც, მოზარდს, ნაცმოძრაობის დანიშნული რიგი დირქტორები (მაგ. 53-ე სკოლის) სხვა სკოლაში გადასვლისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის წართმევით კვლავ ემუქრებიან. სკოლის საგანმანათლებლო სისტემაში (შაშკინის დავალებით) მანდატურების რგოლის ჩასმა, სამტრედიის არსარულწლოვანთა კოლონიაში “მგლის ბილეთიანი” მოზარდის გადაყვანას ემსახურებოდა. იქ კი, გავრცელებული ხმებით, მათზე ფიზიკური შეურაცხყოფისა და ძალადობის არაერთი ფაქტიც დაფიქსირებულა. თუმცა, რა გასკვირია მანდატურების სკოლებში ყოფნა მისაღები იყოს განათლების ამჟამინდელი მინისტრის მოადგილისა და 42-ე სკოლის ყოფილის დირქტორისთვის, რომელმაც (პირადად შაშკინის მიერ), “საუკეთესო დირექტორის წოდება” მიიღო! რომელიც ახლა “ქართულ ოცნებასთან მიტმასნილი” ადამიანების შესაძლებლობაზეც გვესაუბრა. ნეტავ, „ჩემი შენ გითხარიო“ — თუ აქვს გაგონილი ახალ მინისტრის მოადგილეს? პრინციპში, მისაღებ ცვლილებებზე ისაუბრა, მაგრამ უმთავრესზე- ჯანსაღი ეროვნული ცნობიერებისა და აქედან გამომდინარე, საზოგადოებისთვის ჯანსაღი მომავლის აღზრდისთვის, როგორც სჩანს, ვერც



ამჟამინდელი განათლების სისტემა მოიცლის. “ ეს ჩვენ გვეჩქარება. ყველაფრის მოწესრიგებას კი მინიმუმ 15-20 წელი უნდაო”, — გვითხრა მინისტრის მოადგილემ. დავღუპულვართ და ეგ არის! სწორედ 20 წელი არ მიმდინარეობდა ეროვნული ცნობიერების ნგრევა და ამის შედეგად “ახალი ქართველის” ჩამოყალიბების მცდელობა? ჩემს მიერ, “ისრაელის განათლების ხსნის კომისიის” მაგალითის მოყვანა, რა დროსაც ისრაელმა 11 ქვეყნის მაგალითის განხილვით (მაგრამ მაინც თავიანთთვის ყველაზე ხელსაყრელის, ებრაული განათლების სისტემის აირჩევით) 4 წელიწადში მოახერხა ისრაელისთვის სასურველი განათლების სისტემის შექმნა. ამჟამინდელი მინისტრის მოადგილისთვის ეს მიუღებელი ვადაა და მაინცადამაინც 15-20 წელია საჭირო ამისთვის. ამ პერიოდში დაბადებულ-გაზრდილ თაობას რას ვუპირებთ? “ჩვენი სიამაყით ამ საკითხის გადაჭრა” არ ეგებისო, - გვითხრა. რა დროს სიამაყეა, როცა ქართველ სტუდენტებს შოთა რუსთაველი საქართველოს ერთ-ერთი მეფე ჰგონიათ და განცხადების წერა და სასვენი ნიშნების დასმაც არ იციან წესიერად! თუ ე.წ. “კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში” სახელმწიფო წარჩინებულ სტუდენტს “პროფესიონალი კადრის აღზრდისთვის”, (სტიპენდიის სახით) აქეთ უხდიდა გადასახადს, დღეს ფაქტობრივად სტუდენტი უხდის განათლების სიტემასა და სახელმწიფოს. მიუხედავად ამისა, უმაღლესდამთავრებულთა უმეტესობა (თუ ცოდნა “გარეთ” არ შეივსო) უსწავლელი და გაუნათლებელი გამოდის. მათ შორის, იმ ძვირადღირებული და რეიტინგული უმაღლესებიდანაც კი, რომელშიც სასწავლებლადაც მშობლები ლამის უკანასკნელს ჰყიდიან და შვილებს ისე ასწავლიან. ასეთ სასწავლებლებშიც, სწორედ წინა ხელისუფლების განათლების რეფორმის ბევრი ფავორიტი, ან დროსა და ხელფასს მორგებულნი ასწავლიან საგნებს. სახელმძღვანელოებსაც, თავიანთი პირადი შეხედულებებისა და გემოვნებისამებრ არჩევენ.

გვესმის, რომ ახალ ხელისუფლებას მის წინარესთან მიმსგავსება არ სურს და სამსახურებიდან თანამშრომლების გაშვებას ერიდება. ამ დროს კი, სწორედ



ნაციონალების დროინდელი და წინა განათლების სისტემის იდეოლოდიური მომხრეები და საუკეთესო შემსრულებლები ინიშნებიან განათლებისა და სხვა დარგების მოწინავე პოსტებზე. ძნელი დასაჯერებელია, შაშკინისა და ლომაის, ნოდიას, გვარამიას დროს “მდუმარებაში მყოფი” დირექტორები, რესურსცენტრების ხელმძღვანელები და მასწავლებლები მაინცადამაინც ახლა რომ “იქცნენ პავლედ”. დემაგოგიური არგუმენტებიცა და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებიც “კოჰაბიტაციასა” და “დემოკრატიულ გადაბარებაზე” მათ ლექსიკონშიც უხვად მოიპოვება. სხვა შემთხვევაში, ისინი წინა ხელისუფლებას ასე კარგად და დიდხანს ვერ შეეწყობოდნენ. ნაციონალური მმართველობისას სამსახურებიდან გამოყრილ ათასობით (პროფესიონალ) ადამიანს კი ისღა დარჩენია, “დემოკრატიულად კოჰაბიტაციურ გადაბარებას” უყუროს სოცოცხლის ბოლომდე და ალბათ შვილების “საოჯახო განათლებასაც” მიჰყოს ხელი. იმიტომ, რომ როგორც “კოჭებზე ეტყობა”, სწორედ იმ ადამიანებმა მოახერხეს ყველა უწყებებში (საპარლამენტო დონეზეც) “ქართული ოცნებისკენ გადაჩოჩება”, რომლებიც ამ “60 მილონიანი განათლების რეფორმის” განხორციელებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი. გარკვეული ვადებულებაც გააჩნიათ ამ რეფორმის საქართველოში გატარებაზე. “მაშასადამე გამოევროპელებამ” იქამდე მიგვიყვანა, რომ ქალისა და კაცის გარჩევა ჭირს. ახლა “გამოკოჰაბიტაციებით” სადამდე მივალთ, ძნელია სათქმელია. “კოჰაბიტაციას” ტაძრისკენ რომ არ მივყავართ ნათელია, რადგან ამ გზაზე ანგრევდნენ ტაძრებსა და სალოცავებს. “კოჰაბიტაციის” შემომთავაზებლებს კი არც მანამდე გახსენებიათ ეს “კოჰაბიტაცია”, როდესაც ნაცმოძრაობა მართლმადიდებლური ტაძრის კარს ანგრევდა, ჯვრებს თხრიდა, უიარაღო მომიტინგეებს აკრძალული აკუსტიკური იარაღითა და რეზინის ტყვიებით უმასპინძლდებოდა. არც მაშინ, მიტინგზე დახოცილ უიარაღო, ხელებშეკრულ ადამიანებს მაღაზიის თავზე რომ ყრიდნენ. ხელებაწეულ უდანაშაულო ახლგაზრდებს ქუჩებში რომ ცხრილავდნენ და ხვრეტდნენ. “ძლევამოსილი და გაღლეტილი” შინაგან საქმეთა მინისტრის მეულლის ხუშტურზე ოქროყანის სასაფლაოზე როცა აჰყავდათ სანდრო გირგვლიანი და წამებით კლავდნენ. ამ “კოჰაბიტაციამ” “ფუი ეშმაკის” მნიშვნელობა შეიძინა დღევანდელ საქართველოში. სხვისი ოჯახის საქმეებში ჩარევა და ცხვირის ჩაყოფა რომ არ ვარგა, ამას “კოჰაბიტაცია” არ ითვალისწინებს? რაღაც ვერაა მთლად კარგი და სასარგებლო რამ ეს “კოაჰბიტაცია”. ქართულ დიდსულოვნებსა და სამართალდამცავ ორგანოებს თუ მივენდობით, იქნებ აჯობებდა კიდეც ქვეყნისთვის? ცნობილია, რომ ალენ დელონი ვაჟა-ფშაველას მოთხრობების კითხვით გამოჯანმრთელდა. იქნებ “კოჰაბიტანტებსაც” წაეკითხათ შოთაც, ვაჟაც, ყაზბეგიც, ილიაცა და აკაკიც. “კოჰაბიტაციაშიც”, ლიბერალიზმშიც და კოსმოპოლიტიზმის მნიშვნელობაშიც უკეთ გაერკვეოდნენ და ჩვენთან (“პაპუასებთან”) ჩვენთვის გაუგებარ ენაზე საუბრის პრობლემაც აღარ ექნებოდათ. ამ “კოჰაბიტაციის” გარეშე საუკუნეები გვიცხოვრია არაერთი ეროვნებისა და ტრადიციური რელიგიის გვერდიგვერდ. ერთადერთი „ნაცმოძრაობა“ (და არა „საპარტლამენტო ოპოზიცია“, ან „უმცირესობა“) აღმოჩნდა ის “უცხო სხეული”, რომელიც “ავთვისებიანი სიმსივნის მეტასტაზივით” მოედო ქართულ სახელმწიფოებრიობას. გერმანელი ხალხისგან ფაშისტური ორგანიზაციის მოკვეთის მსგავსად, ქართველი ხალხის უმრავლესობამაც მოიკვეთა “სეპარატისტული ნაცუმცირესობა”. ამ ახალი ტერმინის შემომგდებები კი “კოჰაბიტაციას” თანამედროვე ფაშისტებსა და ნეოტროცკისტებთან გვთავაზობენ? სამწუხაროდ, “ცნობადთა” უმეტესობა თუთიყუშივით იმეორებს “ქვევრში ჩაძახებულს” და “სენსიტიურთან” ერთად, ახლა ყოველ წინადადებაში ამ “კოჰაბიტაციასაც” გაიგონებთ ექსპერტების, პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტებისგანაც. ხელისუფლების გადაბარებასაც ქართულად თავისი მნიშვნელობა აქვს. უნდა გადააბარო და (შევარდნაძესავით) სახლში წახვიდე. სულ მინიმუმ კი ენა მაინც უნდა გააჩუმო და უსინდისო განცხადებები არ უნდა აკეთო ხალხის გასაღიზიანებლად. ამას უნდა ნიშნავდეს ე.წ. “კოჰაბიტაციის” მნიშვნელობაც და არა დანაშაულზე ხელის დაფარებას და პოლიტპატიმრებად დამნაშავეებისა და მანიაკების მათ გამოცხადებას. ასე თუ გაგრძელდა, ე.წ. “კოჰაბიტაციას” კი არა ტრანსფორმირებულ და სახეშეცვლილ ახალ უბედურებას მივიღებთ ყველა სფეროში. **“კოჰაბიტაციის” შედეგი უნდა იყოს ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილს “ასავალ-დასავალსა” და “საერთო გაზეთს” უბლოკავენ. ნაცმოძრაობის აქტიური სახე გოკა გაბაშვილიც ხომ სწორეთ მათ უწოდებს ქსენოფობიურ და დესტრუქციულ გაზეთებს.** “კოჰაბიტაცია” სიმართლის დამალვასაც გულისხმობს? ორი კვირაა, რაც ეს “კოჰაბიტაცია” შემოვიდა პოლიტიკურ ლექსიკონში და სულ რაღაცას მახსენებდა. უცხო სიტყვათა ლექსიკონი გადმოვიღე. წიგნი პირდაპირ “კოლაბორაციონისტზე” გადაიშალა. ეს “მეგობრულად შემოგდებული” “კოჰაბიტაციაა” თუ რაღაც უბედურებაც, თურმე “კოლაბორაციონიზმს” უფრო წააგავს შინაარსობრივადაც და წყობითაც. “კოლაბორაციონისტი” (პირის) განმარტებით, თანამშრომლობას, ერთობლივ ქმედებას (მეორე მსოფლიო ომის დროს) მოღალატესა და სამშობლოს გამყიდველს, ფაშისტების მიერ დაპყრობილ და ოკუპირებულ ქვეყნებში ფაშისტურ რეჟიმთან მოთანამშრომლე პირს ნიშნავს. დღესაც ომია, გლობალისტების მიერ ჩვენისთანა მცირე ერების წინააღმდეგ წამოწყებული “ერთიანი მსოფლიოს შექმნისთვის” გაჩაღებული ომი. ფაშისტებთან მოთანამშრომლე სამშობლოს მოღალატეებს სტალინმა ორგანიზაცია “სმერში” (**ñì å-ðòü ø ï è î í àì** ) შეუქმნა, რომელიც ომის შემდგომ დარჩენილ სამშობლოს მოღალატე აგენტურის ლიკვიდაციას ეწეოდა. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ფაშისტურზე არანაკლებ ორგანიზაციასთან და ორგანიზაციებთან „ვკოჰაბიტაციობთ“, სამშობლოს (პირდაპირი მნიშვნელობით გამყიდველებს) ველოლიავებით და დღითიდღე გვემატება „კოჰაბიციონისტებიცა“ და „კოლაბორაციონისტებიც“!

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Tbilisis saxelmwifo sakoncerto darbazis ganviTarebis fondi 2011 wlis saqmianobis programuli da finansuri angariSi

„თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი" რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 18 სექტემბერს, ს/კ 204517086. ფონდის ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქ.№1. 2008 წლის „22" „ოქტომბერს" ფონდს მიენიჭა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

ფონდი წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ფონდის ძირითადი მიზანია "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის", როგორც ძეგლის გადარჩენაში, განვითარებასა და ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებაში ხელშეწყობა; საკონცერტო დარბაზის თანამედროვე ხმოვან-გასანათებელი მოწყობილობითა და აპარატურით აღჭურვის უზრუნველყოფა, კულტურულ საქმიანობაში ხელშეწყობა და სხვა.

ფონდის 2011 წლის შემოსულობების და ხარჯების შესახებ ანგარიში (ფინანსური ანგარიში) წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი

| № | დასახელება | შემოსულობები (ლარი) | ხარჯები (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | აუდიტის მომსახურება | | 200.00 |
| 2 | ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნება | | 600.00 |
| 3 | საბანკო მომსახურების ხარჯი | | 0.50 |

## საწარმოს ბალანსი

2011 წლის

საწარმო სახელწოდება: "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი"

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, მელიქიშვილის ქ.1

დარგი (საქმიანობის სახე): საქველმოქმედო საქმიანობა

ზომის ერთეული : ლარი

| 2011 წლის ბალანსი. აქტივი | | კოდი (სტრიქ.) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | | | |
| სალარო ფული სალაროში | 1100 | 010 | | |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 1200 | 020 | 68,58 | 8,32 |
| მოკლევადიანი ინვესტიციები | 1300 | 030 | | |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1410 | 040 | | |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ | 1420 | 041 | | |
| მოთხოვნები მეწარმეების მიმართ | 1415 | 050 | | |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ | 1430 | 060 | | |
| მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე | 1460 | 070 | | |
| გადახდილი დღგ | 3340 | 071 | | |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი | 1480 | 080 | | |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 1490 | 090 | | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | | 68,58 | 8,32 |
| **სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | | |
| საქონელი | 1610 | 110 | | |
| ნედლეული და მასალები | 1620 | 120 | | |
| დაუმთავრებელი წარმოება | 1630 | 130 | | |
| მზა პროდუქცია | 1640 | 140 | | |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 1690 | 150 | | |
| წინასწარ გაწეული ხარჯები | 1700 | 160 | | |
| დარიცხული მოთხოვნა | 1800 | 161 | 172032,51 | 284594,61 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 1900 | 170 | 0,88 | 29584,59 |
| **სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | 172033,39 | 314179,20 |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| მიწის ნაკვეთები | 2110 | 190 | | |
| დაუმთავრებელი მშენებლობა | 2120 | 200 | | |
| შენობა-ნაგებობები | 2130 | 210 | | |
| მანქანა-დანადგარები | 2150 | 220 | | |
| ოფისის აღჭურვილობა | 2160 | 230 | 600,00 | 0,00 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 2180 | 240 | | |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 2190 | 250 | | |
| გრძელვადიანი მოთხოვნები | 2300 | 260 | 2150406,40 | 1923166,48 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 2340 | 270 | | |
| გრძელვადიანი ინვესტიციები | 2400 | 280 | | |
| არამატერიალური აქტივები | 2500 | 290 | | |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | | 2151006,40 | 1923166,48 |
| **სულ აქტივები** | | | 2323108,37 | 2237354,00 |

| პასივი | | კოდი (სტრიქ.) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | | |
| მომწოდებლებთან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდ | 3110 | 310 | 2469,33 | 3479,07 |
| მიღებული ავანსები | 3120 | 320 | | |
| გადასახდელი ხელფასები | 3130 | 330 | 100,00 | 100,00 |
| ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე სესხი | 3170 | 331 | | |
| მოკლევადიანი სესხები | 3210 | 340 | | |
| გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | 3230 | 350 | | |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | 3310 | 360 | 62739,95 | 0,00 |
| გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | 3320 | 370 | 22,84 | 22,84 |
| გადასახდელი სოციალური | 3330 | 380 | | |
| გადასახდელი ქონება | 3350 | 390 | | |
| სოციალური გადასახადი | 3370 | 400 | | |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები ფიქსირებული | 3390 | 410 | | |
| გადასახდელი საგზაო | 3410 | 420 | | |
| გადასახდელი გადასახდელი დივიდენდები | 3420 | 430 | | |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 3190 | 440 | | |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | 450 | 65332,12 | 3601,91 |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 4100 | 460 | | |
| გადავადებული მოგების გადასახადი | 4210 | 470 | | |
| ანარიცხები | 4300 | 480 | | |
| გადავადებული შემოსავალი | 4410 | 481 | | |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | 4220 | 490 | | |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | 500 | | 0,00 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 5100 | 510 | 3000,00 | 3000,00 |
| დაგროვილი სარეზერვო ფონდი | 5110 | 520 | 104369,85 | 204678,19 |
| დაგროვილი დეფიციტი | 5120 | 530 | | |
| პროექტების მხარდაჭერის ფონდი | 5240 | 531 | 2150406,40 | 2026073,90 |
| გაუნაწილებელი მოგება | 5310 | 540 | | |
| დაუფარავი ზარალი * | 5320 | 550 | | |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | 560 | 2257776,25 | 2233752,09 |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | 570 | 2323108,37 | 2237354,00 |

### მოგება-ზარალის წლიური ანგარიშები
### 2011 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ხარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების მიხედვით)

საწარმო სახელწოდება „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი"

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა -არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

იურიდიული მისამართი - ქთბილისი, მელიქიშვილის 1

დარგი (საქმიანობის სახე) - საქველმოქმედო საქმიანობა

| მაჩვენებლების დასახელება | კოდი (სტრიქონი) | შემოსავალი | ხარჯები |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 010 | | X |
| რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღ. | 020 | X | |
| საერთო მოგება (ზარალი) | 030 | | |
| კომერციული ხარჯები ------------------------------------------------ | 040 | X | |
| ადმინისტრაციული ხარჯები ------------------------------------------ | 050 | X | (4 299,56) |
| შემოსავლები შემოწირულობიდან ------------------------------------- | 060 | 0,00 | X |
| სხვა ხარჯები | 070 | X | (144 907,44) |
| ფინანსური დანახარჯები | 080 | X | |
| შემოსავლები ფინანსური დაბანდებებიდან და პროცენტებიდან ----------------------------------------------------------- | 090 | 159729,62 | X |
| მოგება (ზარალი) საქმიანობიდან | 100 | 10522,62 | |
| გაუთვალისწინებელი შემოსავლები | 110 | 124332,50 | X |
| მოგება (ზარალი) | 130 | 134855,12 | - |
| საგადასახადო მოგების გადასახადი------------------------------------------ | 140 | X | 34546,78 |
| საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება -------------------- | 150 | 100308,34 | |
| ხარჯები (წინა წლების ზარალის გამოქვითვა) ------------ | 120 | X | - |
| დაგროვილი სარეზერვო ფონდი | | 100 308,34 | X |

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# axlaki _ rusulad

**რობერტ სტურუა საქართველოში დაბრუნდა. ბევრმა თბილისელმა უკვე დაინახა ამის სიმბოლო: რეჟისორმა რუსთაველის თეატრში მისთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა, ხოლო საკააშვილი, რომელიც მას დევნიდა, თავისი ადგილის გასათავისუფლებლად ემზადება.**

ეს, რა თქმა უნდა, თბილისის ინტელიგენციის შეკრება იყო. შექსპირის „ქარიშხალი", მთავარ როლში – ალექსანდრ კალიაგინი... მისი თეატრი დედაქალაქში სულ ოთხ სპექტაკლს თამაშობს.

„ო, ზეცაო! აქ რა ვერაგობამ მოგვიყვანა ყველანი? ან იქნებ სულაც – ბედნიერებამ?" (აქ და ქვემოთ – ციტატები „ქარიშხლიდან – ავტორის შენიშვნა).

ამის გაგება გაგვიჭირდება, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ხალხი უბრალოდ მოვიდა თეატრში, სადაც პიესა რუსულ ენაზეა დადგმული. ორიოდე თვის წინ რუსულ, მით უმეტეს მოსკოვურ თეატრში მოხვედრა უგუნურ ნაბიჯად შეფასდებოდა.

– ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, – მეუბნება პოეტი რეზო ამაშუკელი.

– ხალხს აღარ ეშინია, – მეუბნება მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რამაზ ხუროძე. – მიყურადების მანია, ფარული კამერით გადაღება – ყველაფერი ეს დასრულდა. ყოველ საღამოს აღარ გვაყურებინებენ ტელეგადაცემებს შეხვედრებისა და საუბრების ჩანაწერებით, შემდგომი საშინელი ბრალდებებით.

როცა ღალატისა და მის გამო შურისძიების შესახებ შექსპირის სპექტაკლი თბილისში იდგმება, ხვდები, რა დადგა სტურუამ და რის გამო იძიებს შურს კალიაგინის გმირი:

„მას უნდოდა წაეშალა ზღვარი
რაც იყო და რადაც გვაჩვენებდა თავს:
მას სურდა მილანი ემართა
მთლიანად და განუყოფლად".



საქართველო, როგორც თეატრშია, მოულოდნელად გამოაფხიზლა მძიმე პიესამ, რომელიც საააკაშვილმა მისთვის დაწერა. „როგორ შეიძლებოდა, ეს ყველაფერი მომხდარიყო?" – ამ კითხვას ახლა, საპარტლამენტო არჩევნების შემდეგ, ერთმანეთს უსვამენ ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ადამიანები. დაპატიმრებები და ციხიდან გამოსყიდვა, ბიზნესი, რომლის წართმევაც ნებისმიერ დროს შეეძლოთ პრეზიდენტის ახლო წრისთვის, ეკონომიკის ნორჩი მინისტრი, რომელსაც მიშიკომ თვალი დაადგა ქართულ საცხობში (ახლა იგი მშობლეს დაუბრუნდა), იმ პროდიუსერის სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელმაც მიშას სიმპათიას მთავარი როლი არ მისცა... ამ აბსურდის თეატრში ფარდა ჯერ კიდევ არ დაშვებულა. რას ჰგავს ყოფილი პრემიერის, მერაბიშვილის, სხვისი პასპორტით სომხეთში გადასვლის ამასწინანდელი მცდელობა! ამ სკანდალის საპასუხოდ მან განაცხადა, რომ თავისუფლებასა და დემოკრატიას ვერ ჩაახშობენ...

თბილისში თითქოს ელვისებურად გაქრა საააკაშვილის პორტრეტები, ჟურნალები და პლაკატები მისი გამოსახულებით, ციტატები. იგი მხოლოდ საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში აღმოვაჩინე. იქ დაუსრულებლად უჩვენებენ ფილმს: მომავალი პრეზიდენტი რუსთაველის პროსპექტზე მოაბიჯებს, არცთუ ახალგაზრდა ადამიანები მას ყვავილებს – ვარდებს ესვრიან. ეკრანთან შევყოვნდი: ყველაფერი ეს ახლა გაცილებას უფრო ჰგავს.

„ვისაც ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, იგი ვერ დაიხრჩობა წყალში.

ო, ბედისწერავ! მიეცი მას გადასახლებამდე სიცოცხლის შანსი!".

– რა ბედნიერებაა! – სპექტაკლის შემდეგ სცენაზე ასზე მეტი ადამიანი მაინც არის ასული. თითქოს სურთ დარწმუნდნენ: „ჩვენი რობიკო ნამდვილად დაბრუნდა".

ბევრი მის გვერდით ცხოვრობდა, ახსოვთ მამამისი – ცნობილი ქართველი მხატვარი. თვითონ რობერტ სტურუა სიამოვნებით იხსენებს პაპას, სწორედ იმ სტურუას, რომელმაც ოდესღაც სტალინი ბოლშევიკების პარტიაში მიიღო.

რუსთაველის თეატრში კულისებს მიღმა გზა იწყება იმ სამეულის ფოტოთი, რომელმაც არა მარტო რუსთაველის თეატრს, არამედ მთლიანად საქართველოს მოუტანა დიდება. ესენი არიან: რობერტ სტურუა, კომპოზიტორი გია ყანჩელი და მხატვარი გიორგი ალექსი-მესხიშვილი. ორმოცი წლის წინანდელი ფოტო – „კავკასიური ცარცის წრისა" და „რიჩარდ მესამის" დროინდელი. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო არა მარტო რამაზ ჩხიკვაძე – სტურუას მთავარი მსახიობი, არამედ დიდებული სერგო ზაქარიაძე, რომელიც დღესაც ახსოვთ ფილმიდან „ჯარისკაცის მამა".

ახლა საქართველოში ვინმემ ამ ფილმის ჩვენება რომ მოიწადინოს, დარბაზში ახალგაზრდობას ვერ ნახავთ. ისტორია გადაწერილია, მათ შორის – დიდი სამამულო ომისაც. საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში ისევ დაჰყავთ მოსწავლეები, მაგრამ სტალინი, ბერია ან ორჯონიკიძე ხომ ივანოვოს ოლქში არ დაბადებულან და არ გაზრდილან. ყველაზე მეტად სამწუხაროა ის, რომ რუსული ენა მხოლოდ უფროსი თაობისთვის არის ურთიერთობის ინსტრუმენტი. არც ტელევიზიაში, არც გაზეთებსა და რეკლამებში რუსული აღარ არსებობს. გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრის რეპერტუარის აფიშებიც კი მხოლოდ ქართულ ენაზეა. ინგლისურისგან განსხვავებით, რუსულს სკოლებში არ ასწავლაინ.

– ერთმა გოგონამ მითხრა, რომ არასოდეს ისწავლის პუტინის ენას, – იხსენებს რეზო ამაშუკელი. – მე მას ვურჩიე, შეისწავლოს პუშკინის ენა.

„ეს ხალხი, რა თქმა უნდა, აქაურები არიან,
გარეგნულადაც ხომ უცნაურები ჩანან,
მაგრამ მსგავს სტუმართმოყვარეობასა და თავაზიანობას
ბევრი ჩვენგანი ვერ შეძლებდა".

ალექსანდრე კალიაგინსა და **Et Cetera**-ს გენერალურ პროდიუსერ დავიდ სმელიანსკის შესანიშნავად ესმით, როგორ სჭირდება ერთმანეთს რობერტ სტურუა და მათი თეატრი. მით უმეტეს, რომ ახლა მას უკვე ორი თეატრი აქვს. როცა ბიძინა ივანიშვილმა დაინახა, როგორ ცდილობდნენ რუსთაველის თეატრიდან რობერტ სტურუას განდევნას, მას ახალი – სულ 200-ადგილიანი პატარა თეატრი აუშენა. ახლა იგი რუსთაველის თეატრის მცირე სცენა გახდება. მიუხედავად ყველაფრისა, კალიაგინის **Et Cetera**-ს არ სურს, დაკარგოს ახლახან შეძენილი მთავარი რეჟისორი. შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მოსკოვის თეატრის მიწვეულ მთავარ რეჟისორად დარჩება.

ერთხელ სტურუას ვკითხე, რატომ დაინტერესდა მაინცდამაინც „ქარიშხლით". „იმიტომ, რომ ეს არის ჰამლეტი, რომელმაც სიბერეში თავის მტრებზე შურისძიება გადაწყვიტა. იგი შურს იძიებს, მაგრამ ფინალში მაინც ყველას შეუნდობს".

**ვიქტორ ლოშაკი,**
**მოსკოვი-თბილისი**
**kommersant.ru**

# robert sturua survilebis asrulebaselis



გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ სახელგანთქმული რეჟისორი რობერტ სტურუა თბილისის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე აღადგინეს. ამის შესახებ საქართველოს კულტურის სამინისტროდან გვამცნეს. თუმცა რეჟისორი აცხადებს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება თეატრში, თუ სამხატვრო ხელმძრვანელობასთან ერთად თეატრის მმართველის თანამდებობასაც შესთავაზებენ. „თუ ამ სურვილს (სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის თანამდებობების გაერთიანება) შეასრულებენ, მაშინ დავბრუნდები!" – განაცხადა სტურუამ გასული კვირის ბოლოს. მან ისიც დაადასტურა, რომ ამ თხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხატვრო ხელმძღვანელობაზეც უარს იტყვის. ახლა სტურუა მოსკოვის თეატრ **Et Cetera**-ს სამხატვრო ხელმძღვანელია და ამ თეატრთან ერთად თბილისში გასტროლზე იყო ჩამოსული. სტურუა მოსკოვში დაბრუნებას აპირებს, გააგრძელებს მუშაობას და დაელოდება მისი თხოვნის დაკმაყოფილებას.

შეგახსენებთ: რობერტ სტურუა შოთა რუსთაველის თეატრს 30-წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, თუმცა 2011 წლის აგვისტოში საქართველოს კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ „ქსენოფობიური განწყობილებების გამოვლენის გამო" გაათავისუფლა. ამის შემდგომ, რეჟისორმა დატოვა თბილისი და სამუშაოდ მოსკოვში გაემგზავრა. იმ პერიოდში ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიჩნიეს, რომ სტურუას გათავისუფლების რეალური მიზეზი მიხეილ სააკაშვილის კრიტიკა და ოპოზიციის მიტინგებში მონაწილეობა იყო. საპარლამენტო არჩევნების, ანუ ძალთა პოლიტიკური ბალანსის ცვლილებების შემდეგ, კულტურის მინისტრმა და მწერალმა გურამ ოდიშარიამ რობერტ სტურუას სამშობლოში დაბრუნება შესთავაზა.

**newizv.ru**

ალექსანდრ კალიაგინის თეატრ **Et Cetera**-ს გასტროლი თბილისში ტრიუმფით დასრულდა. თბილისელ მაყურებელს უჩვენეს ორი სპექტაკლი – შექსპირის „ქარიშხალი" და ნაკლებად ცნობილი ფრანგი დრამატურგის ტარიკ ნუის სახალისო სათაურიანი „კარგი ადგილი კი მოგინახავთ ძაღლების გამოსაკვებად".



# saqarTvelos premier-ministri taSs ukravda kaliaginis Teatrs

**Et Cetera**-ს თეატრის თბილისში გასტროლი ბიძინა ივანიშვილის პირადი მოწვევით არის ორგანიზებული. ამ რუსული დასის შერჩევა სწორედ რომ ლოგიკური იყო, რადგან რობერტ სტურუა და მისი თანამოაზრეები – მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი და კომპოზიტორი გია ყანჩელი უკვე მრავალი წელია თანამშრომლობენ **Et Cetera**-სთან. ამ ქართულმა „ტრიომ" კალიგინის თეატრში სპექტაკლების მთელი „მჭიდი" შექმნა. და უკლებლივ ყველა სპექტაკლში მთავარ როლს **Et Cetera**-ს სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრ კალიაგინი ასრულებს. ბუნებრივია, თბილისში, რუსთაველის თეატრის სცენაზეც სწორედ კალიაგინი იდგა.

**Et Cetera** თბილისში 12-წლიანი შესვენების შემდეგ ჩამოვიდა. ახლანდელი გასტროლი არსებითად ერთი თეატრის გასტროლზე ბევრად მნიშვნელოვანი ეტაპია – იგი რუსეთსა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობის აღდგენის დასაწყისს ნიშნავს.

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

# ჰემოგლობინი ნორმაში გაქვთ?

ჰემოგლობინი ადამიანის სისხლში არსებული ცილაა, რომელიც პასუხისმგებელია ფილტვებიდან ქსოვილებამდე ჟანგბადის მიწოდებასა და მომარაგებაზე, აგრეთვე ქსოვილებიდან ნახშირორჟანგის გამოდევნასა და მის ფილტვებამდე მიტანაზე.

იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის ყველა ორგანოს ნორმალურ მუშაობას და ამიტომ ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ეკისრება. იციან რა ამ ცილის მნიშვნელობა, ადამიანები ყოველთვის განსაკუთრებული სიმწვავით რეაგირებენ სისხლში მისი შემცველობის დაქვეითებაზე.

რა წარმოადგენს სისხლში ჰემოგლობინის დაქვეითების მიზეზს, რამდენია მოზრდილი ადამიანისთვის მისი მაჩვენებელი ნორმაში და რა უნდა გავაკეთოთ ჰემოგლობინის მაჩვენებლის დაქვეითების შემთხვევაში — მოდით, ამ საკითხებში ერთად გავერკვეთ.

ცილა ჰემოგლობინი ერითროციტების ძირითადი კომპონენტია, რომელიც ორგანოებსა და ქსოვილებამდე ჟანგბადის ტრანსპორტირებას ახდენს — რკინას ადვილად უერთდება ჟანგბადი და სისხლის წითელი სხეულებიც, მილიონობით ჰემოგლობინის შემცველი მოლეკულებით, მგზავრებით სავსე ავტობუსებს ემსგავსებიან, რომლებიც ცარიელი არასდროს დადის, ერთ მხარეს ფილტვებიდან უჯრედებამდე მიაქვთ ჟანგბადი, მეორე მხარეს კი უჯრედებიდან ფილტვებისკენ ნახშირორჟანგი გადააქვთ.



სწორედ ამიტომ ჰემოგლობინის მაჩვენებელს აქვს როგორც დიაგნოსტიკური, ისე პროგნოზული მნიშვნელობა, რამდენადაც ჰემოგლობინის შემცირება საბოლოო ჯამში ქსოვილთა ჟანგბადოვან შიმშილს იწვევს, ორგანიზმში ვითარდება ჰიპოქსია, ანუ ჟანგბადის უკმარისობა.

## ჰემოგლობინის შემადგენლობა

ცილა ჰემოგლობინი ერითროციტების შემადგენლობაში პირველად 1846 წელს გერმანელმა მკვლევარმა რ. ჰიუნეფელდმა აღმოაჩინა.

ჰემოგლობინი შედგება ცილა გლობინის და რკინის კომპლექსნაერთისგან, სახელწოდებით — ჰემი. ერითროციტების 98 პროცენტი სწორედ რკინის შემცველ ამ ცილას უკავია. სისხლს წითელ ფერს ჰემის ატომები სძენს.

მოზრდილ ადამიანებში ჰემოგლობინის ნორმალური მაჩვენებელი მამაკაცებში ცოტათი აჭარბებს ქალების მაჩვენებელს, ის 130-160 გ/ლ-ია, ქალებში კი 120-140 გ/ლ-ს შეადგენს.

## როდის იმატებს ჰემოგლობინი

ჰემოგლობინის მაჩვენებელი იმატებს: ერითროციტოზის (დაავადება, რომელსაც სისხლში ერითროციტების რაოდენობის ზრდა ახასიათებს), გულის თანდაყოლილი მანკის, ნაწლავური გაუვალობის, დამწვრობის, გულისა და ფილტვისმიერი უკმარისობისას.

სისხლში ჰემოგლობინის გაზრდა ფიზიოლოგიურია ფიზიკური დატვირთვის შემდეგ (ალპინისტებში, მფრინავებში); მაღალი მაჩვენებელი ახასიათებთ მაღალმთიან რეგიონებში მაცხოვრებლებსაც.

## როდის ქვეითდება ჰემოგლობინი

სისხლში ჰემოგლობინის დონის დაქვეითებას მოიხსენიებენ ერთი საერთო ტერმინით — ანემიით, რომელიც ორ შემთხვევაში ვითარდება: სისხლდენებისას, სისხლის დავადებებისას, რომელთაც თან ერითროციტების დაშლა სდევს და რკინის ან ვიტამინ ბ$_{12}$-ის (ფოლიუმის მჟავა) უკმარისობისას, ეს ორი ჰემოგლობინის სინთეზისთვის აუცილებელი კომპონენტია.

ასე რომ, ჰემოგლობინის დაქვეითება შემდეგ დაავადებათა სიმპტომია: ანემიები, სისხლის დაავადებები, ორგანიზმის ჰიპერჰიდრატაცია, ზოგიერთი გენეტიკური და ქრონიკული პათოლოგია.

ყველაზე ხშირად ეს ძლიერი სისხლდენების შედეგია. შესაძლოა, ზოგიერთ ქრონიკულ დაავადებას, მაგალითად თალასემიას (ჰემოგლობინის შემცველი ცილის — გლობინის სინთეზის დარღვევას), უკავშირდებოდეს.

ჰემოგლობინის ინდექსი, ჩვეულებრივ, ქვეითდება ორსულობის პერიოდში; ეს უპირატესად რკინის უკმარისობას უკავშირდება, ორსულებში ხომ საგრძნობლად იზრდება რკინაზე დღელამური მოთხოვნილება. თუ არაორსულს დღეში 5-15 მგ რკინა ჰყოფნის, ორსულს — 15-20 მგ სჭირდება.

## გაზარდეთ ჰემოგლობინი

ჰემოგლობინის ძირითადი საშენი მასალა რკინაა, ამიტომაც მისი რაოდენობა განსაკუთრებით იკლებს ორგანიზმში რკინის დეფიციტისას.

ასეთ დროს აუცილებელია რაციონის რკინის ჭარბად შემცველი პროდუქტებით გამდიდრება, ისეთებით, როგორებიცაა (რკინის შემცველობა განსაზღვრულია პროდუქტის 100 გრამში ან 100 მლ-ში): ღორის ღვიძლი — 12, საქონლის ღვიძლი — 9, ახალი ხორცი — 2-4, თევზი — 0,5-1, ქათმის კვერცხი — 2-3, ბარდა — 9,4, ლობიო — 12,4, სოია — 11,8, წიწიბურა — 8, ხორბალი — 7, შვრია — 3,9, მანანის ბურღული — 2,3, ფქვილი — 1-4, პური — 2-3, კაკაოს ფხვნილი — 11,7, ბოსტნეული — 0,5-1,5, ხილი — 0,5-0,4, ძროხის რძე — 0,1-0,4.

გაითვალისწინეთ, რკინის დეფიციტის შესავსებად იმაზე მეტი ელემენტი უნდა მიიღოთ, ვიდრე ხარჯავთ, რადგან ორგანიზმი მასში მოხვედრილი რკინის მხოლოდ 10 პროცენტს ითვისებს, ანუ ელემენტის 1 მგ-ის ასათვისებლად 10 მგ რკინის შემცველი პროდუქტის მიღებაა საჭირო.

გარდა ამისა, ორგანიზმი ზოგიერთ რკინას საერთოდ ვერ ითვისებს. შედარებით ადვილად ასათვისებელია ხორცში, ღვიძლში, თირკმელში არსებული რკინა; იგი სრულად შეიწოვება. შედარებით რთულია მცენარეულ საკვებსა და რკინისშემცველ პრეპარატებში არსებული რკინის ათვისება. ამიტომ სასურველია, რკინისშემცველი პრეპარატების მიღებისას ვიტამინი C მიიღოთ, რომელიც რკინას ადვილად ასათვისებელ ფორმად აქცევს.

# ალერგიას სიცივეც იწვევს

ზამთრის დადგომას ბევრი შიშით მოელის, რადგან იცის, გარემოს ტემპერატურის მკვეთრი დაქვეითების კვალდაკვალ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები უნდა დაეწყოს.

სპეციალისტები ამგვარი პრობლემების სათავედ ორგანიზმის დაბალი ტემპერატურისადმი მოჭარბებულ რეაქციას მიიჩნევენ და მას სიცივეზე ალერგიას უწოდებენ.

## როგორ ამოვიცნოთ ალერგია სიცივეზე?

**იგი განსხვავებული ტიპის რამდენიმე ნიშნებით ვლინდება:**

* ჭინჭრის ციება — კანზე ჩნდება გამონაყარი ბუშტუკების სახით, რომლებსაც თან წვისა და ქავილის შეგრძნება სდევს, ჩვეულებრივ, სითხით სავსე ბუშტუკები ხელებსა და სახეზე ჩნდება.

* სიცივისმიერი დერმატიტი — კანის სიცივით გამოწვეული დაზიანებაა, რომელიც მის გაწითლებასა და აქერცვლას იწვევს, ზოგჯერ ქავილის შეგრძნებით.

* სიცივისმიერი სურდო — ვლინდება ჩვეულებრივი სურდოს დამახასიათებელი თვისებებით: ცემინება, ცხვირის გაჭედვა. განსხვავებით, ალერგიული სურდო არ ქრება ცხვირის წვეთების გამოყენების შემდეგ.

* სიცივისმიერი კონიუნქტივიტი — ცივ ჰაერთან ან წყალთან კონტაქტის შემდგომ იწყება ცრემლდენა და თვალების შეშუპება, რომელსაც ზოგჯერ თან სდევს ქავილი ან თვალში უცხო სხეულის შეგრძნება; ჩვეულებრივი კონიუნქტივიტისგან განსხვავებით, ეს სიმპტომები მხოლოდ სიცივესთან კონტაქტის შემდგომ ჩნდება.

* სიცივისმიერი შაკიკი — ვლინდება სიცივეზე თავის ტკივილით, საკმარისია, ადამიანი თბილ შენობაში მოხვდეს და გათბეს, რომ თავის ტკივილი თავისით ქრება.

* სიცივისმიერი ქეილიტი, ანუ მეტეოროლოგიური ქეილიტი — ეს ტუჩების ანთებაა, კანის აქერცვლა, სხვადასხვა ტიპის გამონაყართ, რომელიც ზამთარში იჩენს თავს.

* დაბალ ტემპერატურაზე მომატებული მგრძნობელობის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს სასუნთქი გზების სიცივისმიერი ალერგია. იგი გაცილებით რთულ პათოლოგიად მიიჩნევა, რომელიც ხველებით, სუნთქვის გაძნელებით, მოგუდვით მიმდინარე ხშირი სპაზმებითა და შეტევებით ვლინდება.

სიცვისმიერი ალერგიისადმი წინასწარგანწყობა შესაძლოა მემკვიდრეობითაც გადაეცეს ადამიანს.



## დაიცავით თავი

სიცივისმიერი ალერგიის მკურნალობა, პირველ ყოვლისა, მოიცავს ალერგიის გამომწვევი ფაქტორის მოცილებას, ანუ სიცივისგან თავის დაცვას:

— იყავით თბილად, ქუჩაში გასვლის წინ ხელებზე ყოველთვის ჩაიცვით ხელთათმანი, კისერი დაიფარეთ ყელიანი სვიტერით ან შარფით. ატარეთ ქუდი.

ქუდის ტარება აუცილებელია, რათა არ განვითარდეს თავის ტვინის სისხლძარღვების სპაზმი და ამით გამოწვეული თავის ტკივილი.

— ქუჩაში გასვლის წინ, 1-2 წუთით, სადარბაზოს კართან შეჩერდით; ეს ორგანიზმს ცივ ჰაერთან თანდათანობით ადაპტირების საშუალებას მისცემს.

— ქუჩაში გასვლისას ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით. თუ ძლიერ ცივა, ცხვირი დაიცავით შარფით, რათა ოდნავ შემთბარი ჰაერით ისუნთქოთ.

— განსაკუთრებული დაცვა სჭირდება სახის კანსა და ხელებ., აუცილებლად დაიცავით ისინი სპეციალური დამცავი კრემებით. მაღაზიასა და აფთიაქებში მათი ფართო არჩევანია. შეძენისას ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ კრემებს სიცივისა და ყინვისგან დამცავი თვისებები გააჩნდეს.

— სასურველია, ატაროთ ნატურალური ქსოვილისგან დამზადებული ტანსაცმელი, განსაკუთრებით რეკომენდებულია ბამბის ქსოვილი.

— ცივ პერიოდში დაუყოვნებლივ უნდა გამოიცვალოთ სულ უმნიშვნელოდ დასველებული ან დატენიანებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

— ნუ გაგიტაცებთ ცხვირის წვეთების ხშირი გამოყენება — ნებადართულია მხოლოდ 3-4 დღე, რადგან მუდმივი გამოყენებით ყალიბდება ცხვირის სისხლძარღვების მდგრადი გაფართოება, მუდმივად გაჭედილი ცხვირის სიმპტომი.

— თუ სიცივეზე ცრემლდენა დაიწყო ან სურდო განვითარდა, პერიოდულად ცხვირისა და ლოყების თვითმასაჟი ჩაიტარეთ.

— ზამთრის პერიოდში რეკომენდებულია ჰიპოალერგიული კვებაც, რომელიც რამდენიმე პროდუქტის აკრძალვას ან შეზღუდვას გულისხმობს, მათ შორის:

— შებოლილი საკვები, კონსერვები, ყავა, შოკოლადი, კაკაო, ციტრუსი, თხილი, კაკალი, სოკო.

— გამორიცხეთ ცივი საკვები და სასმელები — ერთიც და მეორეც უნდა მიიღოთ ოდნავ შემთბარი მაინც.

**ზვიად ლონლაძე**

# mware gakveTilebi

# evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

### შევარდნაძე ტერორისტებად აცხადებს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას

ჟურნალისტი გულიკო ბალაძე თუმცა გაკვრით, თითქმის ძალი-ძალათი, მაგრამ მაინც ამბობს:

„საქართველოს ციხეებში და ციხის გარეთ მყოფი ყველა ზვიადისტი“-ს ტერორისტთა სიაში შეყვანა აღშფოთებას იწვევსო.

არადა, ზვიად გამსახურდია ქართველი ხალხის 87 პროცენტმა აირჩია პრეზიდენტად. დღეს მისი სახელით ისინიც კი იწონებენ თავს, ვინც ადრე მას მხარს არ უჭერდა.

რა ჰქნას ახლა ამდენმა ხალხმა?

და შეიძლება ამერიკის კონგრესი, თუნდაც საქართველოს მოსახლეობის ნახევარს, საერთაშორისო ტერორისტებს უწოდებდეს?

მაშ, არ არის ცინიზმი, როცა ადამიანის უფლებათა დაცვის კომი-



ტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, გაზეთ „ახალი თაობის“ ჟურნალისტს, გულიკო ბალაძეს კითხვაზე: „ქალბატონო ელენე, მაინც ვისგან შეიძლება გავრცელებულიყო აზრი ზვიადისტების საერთაშორისო ტერორისტებად მონათვლაზე“, პასუხობს: „ვერ გეტყვით, არ ვიციო“?

არ იცის, ვისგან გავრცელდა ამგვარი ცილისწამება, არც ჟურნალისტმა ბალაძემ და არც ადამიანის უფლებათა დამცველმა თევდორაძემ, მაგრამ... მე რომ ვიცი, რა ვქნა ახლა, არ ვთქვა და არ გავახმაურო?

აგერ, ცხვირწინაა სამთავრობო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (№263, 1992 წლის 29 დეკემბერი), სადაც, ედუარდ შევარდნაძე საქართველოში განხორციელებული სამხედრო გადატრიალებიდან თითქმის წლისთავზე აცხადებს:

„...როცა ექსპრეზიდენტის მომხრეებზე ვლაპარაკობთ, მგონია ცოტას ვაჭარბებთ, რადგან კაცს, რომელიც ცნობილ ტერორისტად არის აღიარებული, არა მგონია მხარდამჭერები ჰყავდეს. ტერორისტები არსად არავის არ უყვარს“.

ვეკითხები საზოგადებას, რომელსაც აინტერესებს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დამკვეთის ვინაობა:

შევარდნაძის ზემოთხსენებული განცხადება არის თუ არა პირდაპირი სანქცია საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი პრეზიდენტის მოკვლაზე? აქ პასუხი ცალსახაა — არის სანქცია და, რატომ არ აპატიმრებენ შევარდნაძეს?

შევარდნაძის პირიდან ცილისწამება და დაბეზღება რა გასაკვირია. უბრალოდ, სულ სხვა რამ მაოცებს: მაინც რა ფარული თანამდებობა ეკავა ედუარდ შევარდნაძეს მსოფლიო ახალი წესრიგის მესვეურთა შორის, რომ თვით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესიც კი მას ემორჩილებოდა და ბრმად უჯერებდა?

რა იყო მიზეზი ამერიკის კონგრესის მიერ მიღებული ამ მეტად სამწუხარო გადაწყვეტილებისა, თითქმის მთელი საქართველო (87 პროცენტი თუ არა, 70 პროცენტი) ქართველი მოსახლეობისა, საერთაშორისო ტერორისტებად რომ გამოაცხადა?

და, რანაირად დავიჯეროთ ტერორიზმის წინააღმდეგ დიდი ლაშქრობის ჭეშმარიტება? ეს ადამიანები მიზანში სპეციალურად ამოღებული ქვეყნების მაცხოვრებლებს, რომლებიც ეროვნული გადარჩენისათვის იბრძვიან, ტერორისტებად ხომ არ ნათლავენ?

სად არის, ბატონებო, ძაღლის თავი დამარხული?

სად არის სიმართლე?

ედუარდ შევარდნაძე და ამერიკის კონგრესი რომ ტერორისტს მიწოდებდა და იმდროინდელ პარლამენტში გამოჭიმულ ვინმე ჯემალ აჯიაშვილს დიდ პატივს მიაგებდა, ეს რომ ვთქვა, რატომ უნდა დამდონ ბრალი ანტისემიტიზმში?

თუმცა, ახლა უკვე მწარედ მეღიმება... რადგან ამერიკის კონგრესმა უკვე ათი წელიწადია ტერორისტობა დამაბრალა, რაღა თქმა უნდა, ანტისემიტიზმსაც მომაკერებს!

საუბარში გავერთე და... ღმერთო მიშველე! ჩემს ზემოთ, ზედ თავზე, რაღაც შავად იღრუბლება! იქიდან უკვე შენიშვნასაც მაძლევენ:

-თქვენ ფაშისტურ სულისკვეთებას გამჩნევთ! რაღაც ანტისემიტური ქვენა გრძნობები ხომ არ მოგძალებიათ?

პარლამენტის წევრობა 1991-1992 წლის შემდგომ, ე.წ. შევარდნაძის არჩევნებში, დარიგდა იმისდა მიხედვით, ვინ საით იდგა! ვინც უსირცხვილოდ ლანძღა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თვით კანონიერი პრეზიდენტი.

### მოქალაქე აჯიაშვილის ვნებანი

ისე, კაცმა რომ თქვას, ძალიან საინტერესოა საიდან მოდის ანტისემიტიზმის ცნება... საიდან გააჩინეს ამგვარი ბრალდება? ვინმეს ხელს ხომ არ აძლევს, არსებობდეს ანტისემიტიზმი, ოღონდ იმიტომ, რომ ჰქონდეთ, გააჩნდეთ საბაბი გინებისა და წყევლისა?

რა ვიცით ანტისემიტიზმის შესახებ? „ანტისემიტიზმი“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ებრაელებისადმი სიძულვილს, რასაც ხელოვნურად ქმნიან და აღვივებენ რეაქციონერები თავიანთი კლასობრივი და პოლიტიკური მიზნებისთვისო!

სიტყვა „ანტისემიტიზმი“ ასეა განმარტებული უცხო სიტყვათა ლექსიკონში, მაგრამ იქვე ისიც სწერია, რომ სემიტურია ტომები, ხალხები, რომლებიც სემიტურ ენაზე ლაპარაკობდნენ ან ლაპარაკობენ. სემიტურია მონათესავე ენები, რომლებიც გავრცელებულია ან გავრცელებული იყო წინა აზიის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ აფრიკის ნაწილში: არაბული, სირიული, ებრაული, ეთიოპური... ძველთაგან ასურული, ბაბილონური, არამეული, ფინიკიური და ა.შ.

ისიც მოგვეხსენება, რომ სემი გახლდათ ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი შვილის სახელი, მაგრამ და კერძოდ — ებრაელთა სიძულვილი, თუ ასეთი მოვლენა სადმე არსებობს, რატომაა ანტისემიტიზმი? რაო, ვისაც ებრაელები სძულს, იმათ ამავდროულად სძულს არაბები, სირიელები, ეთიოპელები, ძველი ასურელები, ბაბილონელები, არამეელები, ფინიკიელები და კიდევ სხვა ხალხები?..

არ შემიძლია, მთლიანად არ ვუჩვენო მკითხველს მართლაც ჩემი სტუდენობის მეგობრის ჯემალ



აჯიაშვილის წერილი, დაბეჭდილი (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №101-102, 1992 წ.) საქართველოში სამხედრო გადატრიალების შემდგომ, სადაც მისი პოზიცია ნათლად ჩანს.

„ბოროტების ამ გაუგონარ აღტკინებას ვერც საქართველოს ებრაელობა გადაურჩა. გახშირდა მათი ოჯახების რბევა და დაწიოკება, საფლავების წაბილწვა, სინაგოგების ძარცვა და შევიწროება. ბოლოს მიცვალებულის ძვლებიც კი ამოყარეს საფლავიდან და გაოგნებულ ჭირისუფლებს ულტიმატუმი წაუყენეს. ესეც არ აკმარეს და ამ ბოლო ხანს ადამიანების მოტაცებაც დაიწყეს ფულის გამოძალვის მიზნით... ისევ წამოტივტივდა „იუდეურ-მასონური მსოფლიო შეთქმულების“ ავადმოსაგონარი მითი, ისევ ამოქმედდა სხვაბისთვის გადაბრალების ნაცადი ხერხი... მე მახსოვს იმ დღეებში საქართველოს ებრაელობის გაწბილებული სახეები: ყველა, დიდი თუ პატარა, ხმამაღლა გამოხატავდა წყენას და გაღიზიანებას, მხოლოდ მრავლისმნახველი უხუცესები, სინაგოგის კუთხეში მიმსხდარნი, კვლავაც უხმოდ ჩაჰკირკიტებდნენ თავიანთ მარადიულ წიგნს და, ვინ იცის, გონებაში მერამდენედ იმეორებდნენ ეკლესიასტეს მტანჯველ სტრიქონებს: „რაიც ყოფილა, იგივ იქნება, არაფერია მზის ქვეშ ახალი“. დიახ, არაფერია მზის ქვეშ ახალი, არც რბევა და შევიწროებაა უცხო ებრაელი ერისათვის და, რა თქმა უნდა, ეს ათას ქარცეცხლში გამოვლილი ხალხი ჩვეული სიდინჯით შეხვდებოდა ამ ლოკალურ გაუგებრობასაც, რომ არა ერთი მტანჯველი აზრი: როგორ მოხდა, რომ აღმაშენებლისა და ილიას ქვეყანაშიც წამოყო თავი კაცთმოძულეობის მღვრიე თესლმა, რამ ჩაანელა ურთიერთგამტანობისა და თანალმობის ის ჩვეული მადლი, რომლითაც საქართველოს ებრაელობა ყოველთვის იწონებდა თავს მსოფლიო ებრაელობის წინაშე? და ბოლოს — მართლა არის თუ არა ყოველივე ეს გამოძახილი იმ მრავალსაუკუნოვანი ცოდო-ბრალისა, იმ ისტორიული უმსგავსოებისა, არასოდეს რომ არ უბარტყია ჩვენში და ეს ერთი ხანია, ჩვენდა სავალალოდ მაინც გაჟონა ალაგ-ალაგ ანტისემიტიზმის ავადსახსენებელი იარლიყით?

... საკუთრივ ებრაელობაზე თუ ვილაპარაკებთ, მან უკვე საკმაო უბედურება იწვნია საამისოდ, გულხელდაკრეფილმა რომ არ უყუროს ძალადობისა და შევიწროების გამოვლინებებს, რაგინდ ლოკალურიც უნდა იყოს იგი. ჯერაც არ შეშრობია სისხლი ბუხენვალდისა და ოსვენციმის სასაკლაოებს... ექვსი მილიონი (მსოფლიო ებრაელობის თითქმის ნახევარი) ადამიანის უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი დღემდე მოითხოვს პასუხს. დიახ! სად იყვნენ კეთილი ნების ადამიანები, როცა ფაშისტებმა უშველებელ ხევში ჩარეკეს გაწამებული და ქანცგალეული ხალხი, ტყვიამფრქვევები დაუშინეს და ჯერ კიდევ სულთმობრძავ ხალხს მიწა წააყარეს... დიდი, ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღო ებრაელობამ, ვიდრე ხელმეორედ მოიპოვებდა თავის დაკარგულ სამშობლოს. ამიერიდან იგი ასეთ მსხვერპლს ვეღარ დაუშვებს...

დიახ, მახსოვს საქართველოს ებრაელობის გაწბილება, მაგრამ ასევე მახსოვს ქართველობის, ჩემი მეგობრების, უამრავი ნაცნობ-უცნობის შემაძრწუნებელი სახეები, საწინდარი იმისა, რომ ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელ ერებში ბოროტებისა და კაცთმოძულეობის უდღეური თესლი ვერ გაღვივდება, თორემ, სხვაგვარად, ის უკეთური ძალა, ასე ავბედითად რომ ჩასაფრებია დღევანდელ საქართველოს, არავის დაინდობს, გინდ ქართველი იყოს, გინდ ებრაელი, - ერთნაირი სიშმაგით დაეძგერება ეკლესიასაც და სინაგოგასაც, თუ დრო მოიხელთა, წიწამურთან ხელმეორედ მოკლავს მკვდრეთით აღმდგარ ილიას!

მძიმე, ძალიან მძიმე დღეებია საქართველოში.

მაგრამ მაინც მჯერა, დადგება დრო და ბიბლიურ ესაიასი არ იყოს, „მახვილებისაგან სახნისებს გამოსჭედავენ და შუბებისგან ნამგლებს, ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარავინ ისწავლის ომს“.

და აღდგენილი საქართველოც ჩვეული ხიბლით გაბრწყინდება ისტორიის გზაგასაყართან“.

დავიწყო კომენტარები?

აჯიაშვილი, იმის გამო, რომ შევარდნაძეს ასიამოვნოს და პარლამენტში მოკალათდეს, მთელი მსოფლიოს მიმართავს — საქართველოში ამ ბოლო დროს (1990-1991 წლებში) ოსვენციმის, ბუხენვალდის ღუმელების სუნი ტრიალებს, ანტისემიტიზმი იფურჩქნება, გაითვალისწინეთო!

მსოფლიოს ყოველ ერს პატივს ვცემ მით უმეტეს ებრაელებს და, როგორც ღვთის მიერ მოვლენილს, უსასრულო სიყვარულით ვესალმები, თუმც აჯიაშვილის მსგავსებს აუცილებლად გავაკრიტიკებ, რაც სულაც არ ნიშნავს კაცთმოძულეობას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-46

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# merabiSvils imitom aqvs ori pasporti, rom gasaqcevad emzadeba

ვესაუბრებით ბატონ
**პეტრე მამრაძეს**

**— ბატონო პეტრე, უკანასკნელ დღეებში დასავლეთის მხრიდან უამრავი მითითებები თუ მოსაზრებები გამოითქვა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. თითქოს თავიდან აღტაცებულნი იყვნენ არჩევნების გზით მთავრობის შეცვლით, მაგრამ დღეს უკვე გარკვეულ რეკომენდაციებსაც გვთავაზობენ, თითქოს ყველაფერი ისე არ არის, როგორც სურდათ? ან ხომ არ არის ეს მათი მხრიდან საშინაო პოლიტიკაში ჩარევა?**

— ბოლო წლების განმავლობაში, დასავლეთში ქვეყნდებოდა ავ-



ტორიტეტული ორგანიზაციების მიერ სრული სიმართლე საქართველოში არსებულ ვითარებაზე და იმ დანაშაულებებზე, რასაც სჩადიოდა სააკაშვილის სადისტური რეჟიმი. ამას აქვეყნებდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისარი, სტრასბურგის სასამართლო, რომელთაც წარმოადგინეს განჩინება, სადაც აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ხელისუფლების სამივე შტო — სასამართლო, პარლამენტი და პოლიცია ერთმანეთთან შეკრულია ერთი მიზნით, რომ დაფარონ ქვეყანაში დანაშაულებები, ეს ყველაფერი აქ ერთი რეჟიმის ხელშია. ასევე ამბობდნენ, რომ ეს არის ქვეყანა, სადაც უდანაშაულობის პრეზუმფცია არ არის დაცული. მიუხედავად ამისა, ამ ავტორიტეტული ორგანიზაციების აღშფოთებას არც ამერიკაში და არც ევროპაში არავინ არ გამოეხმაურა თავის დროზე. ვინმემ მოუწოდა სააკაშვილს ქვეყანაში რა ხდებოდა? შეიძლება ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციების არ დაეჯერებინათ, მაგრამ თავისიანებს რატომ არ უჯერებდნენ? მაშინ სად იყვნენ?

დღეს ნატოს ხელმძღვანელობისა თუ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ლიდერების მხრიდან პირდაპირ გაისმა მოწოდებები პოლიტიკურად მოტივირებულ დაპატიმრებების შესახებ. აქვე მინდა დავამატო, როდესაც ბიძინა ივანიშვილი ზოგიერთ მათგანს პირადად შეხვდა, მათ უკან დაიხიეს და სამართლის აღსრულებაზე დაიწყეს საუბარი.

მე ვსვამ კითხვას — ადრე რატომ არ მოუწოდებდნენ სააკაშვილს სამართლის აღსრულებაზე? რაშია საქმე? გეტყვით, ჩვენ საქმე გვაქვს უცხოელების მიერ გამოყენებულ ორმაგ სტანდარტებთან, რაც სახელმწიფო პოლიტიკაში, სამწუხაროდ, დღესაც რეალობაა. ჩვენ ეს რეალობა უნდა მივიღოთ და პასუხი გავცეთ.

**— მიზეზები რა არის იმისა, რომ დასავლეთი ასე დუმდა აქამდე საჯარო დონეზე სააკაშვილთან მიმართებაში?**

— გეთანხმებით, კერძო საუბრებში ისინი ამბობდნენ ყველაფერს, საჯაროდ არა. ბუშის ადმინისტრაციის დროს გამოცხადდა, რომ საქართველო იყო მათი „სარეკლამო" ადგილი, რადგანაც სხვა ქვეყნებში ფერადმა რევოლუციებმა არ გაამართლა. დოქტრინა, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უნდა დამყარდეს დემოკრატია და თავისუფლება — ჩავარდა. როდესაც სამოქალაქო საზოგადოება არ არის მზად, რევოლუცია არ შველის დემოკრატიის დამყარებას. ხშირად ასეთ დროს ავტორიტარული რეჟიმი მყარდება. 2007 წლამდე აშშ-საც და ევროპასაც ეგონათ, რომ აქ მაინც არ იყო ისე ცუდად საქმე, როგორც სხვაგან. ეს ინერცია ასეც დარჩა 2007 წლის მერე კი ვერაფერი თქვეს ერთი მიზეზით, ფიქრობდნენ, რომ აქამდე არაფერი ვთქვით და ახლა საჯაროდ როგორ ვაღიაროთ სააკაშვილის დიქტატორობაო. ხომ გვკითხავენ, სად იყავით მაშინ? სად იყავით ადრე? ამიტომაც ისინი დუმდნენ. ომახიანად რომ გაიძახოდნენ საპარლამენტო არჩევნები საქართველოში სრულიად დემოკრატიულად ჩატარდაო შეიძლება? ეს არის ტყუილი! ეს არჩევნები არ იყო არც თავისუფალი, არც დემოკრატიული და არც სამართლიანი! თავისუფალი არჩევნების შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი გაცილებით მეტ ხმებს, საკონსტიტუციო უმრავლესობას მიიღებდა. არჩევნები, არჩევნების დღე კი არ არის, ერთი წლის განმავლობაში, სააკაშვილის მხრიდან პოლიტიკური ოპონენტების მიმართ მიდიოდა აღვირახსნილი ძალადობა, ტყუილი და ცილისწამება. ევროპელებმა მაშინ რატომ არ ამოიღეს ხმა? თავად უცხოელები სააკაშვილს ხშირად ექცეოდნენ როგორც შეურაცხად ადამიანს და იყენებდნენ მას. ძალიან კარგად ხედავდნენ, რომ ეს ადამიანი არის ირაციონალური და შეუძლია თავისი თავიც დაღუპოს და სხვებიც გარშემო. 2008 წლის აგვისტოს ომის ავანტიურით მან ზურგში „დანა ჩასცა" დასავლეთს!

**— ხომ მაინც მოუწია ამერიკელებს მითითება საქართველოს პრეზიდენტისათვის იმაზე, რომ ეღიარებინა მას არჩევნებში დამარცხება?**

— უბრალოდ, სხვა გზა არ იყო, ან სააკაშვილს უნდა ეღიარებინა არჩევნებში დამარცხება, ან არადა ამერიკელები აღიარებდნენ იმას, რომ ის იყო დიქტატორი და ხაშურში მომხდარი მოვლენების მსგავსად აღწევდა ბოლო წლებია არჩევნებში გამარჯვებას. ამ კონტექსტში კი მას მისცეს გარანტია, რომ თუ ის აღიარებდა ნაციონალების დამარცხებას, ყველაფერს გააკეთებდნენ იმისათვის, რომ პოლიტიკური ნიშნით მისი და მისი თანაგუნდელების დევნა არ მოხდებოდა. თუმცა ეს დევნა არ ეხებოდა დამნაშავეებს, რომელთაც სისხლის სამართლის დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი.

დღეს, როდესაც მართლმსაჯულების მანქანას პოლიტიკური წნეხი მოეხსნა, ის იწყებს მუშაობას ავტომატურ რეჟიმში. სწორედ ამისი დასტურია ის, რომ პროკურატურის წინ ყოველდღიურად უამრავი ხალხია შეკრებილი ისეთი, რომელნიც მოითხოვენ მართლმსაჯულების აღსრულებას.

**— ისე, სააკაშვილი და მისი მომხრეები თამამად აცხადებენ, რომ არჩევნებში, მართალია, დამარცხდნენ, მაგრამ ბრძოლა გრძელდება, რისი იმედი აქვთ?**

— სააკაშვილსაც და მის მომხრეებს, კერძოდ, უგულავას, ადეიშვილს, მერაბიშვილს და სხვებს, რომელნიც ამბობენ, რომ არიან თავისუფლებისა და დემოკრატიის შუქურები, სინამდვილეში კი იყვნენ სადისტური რეჟიმის შემქმნელნი, რომელთაც იმ დანაშაულთა ნაწილიც რომ დაუმტკიცდეთ, არ ასცდებათ უვადო პატიმრობა. აცხადებენ, რომ ბრძოლას აგრძელებენ. მათ გვერდს უმაგრებენ ლობისტური ორგანიზაციები, რომლებზეც ასობით მილიონი დოლარია დახარჯული.

ყველაფერ ამას კი ბიძინა ივანიშვილმა დაუპირისპირა ერთი მთავარი სათქმელი, როცა მან განაცხადა, რომ ჩვენ ქვეყანა უნდა ვმართოთ არა ისე, თუ რას და როგორ იტყვიან დასავლეთში, არამედ ჩვენი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე.

**— მერაბიშვილ-მაისურაძეზე რას იტყვით?**

— ის ფაქტი, რომ ვანო მერაბიშვილს ორი პასპორტი ჰქონდა, უკვე დადასტურდა. სხვა საქმეა, რატომ გადასცა მან ეს აეროპორტის მუშაკს. სრული პასუხისმგებლობით ვიტყვი, უბრალოდ, მას



შეეშალა! ამაში ეჭვი არ მეპარება. რატომ ჰქონდა, ამასაც გეტყვით. ეს ძნელი გასაშიფრი არ გახლავთ. ცხადია, ის ყალბი პასპორტით საქართველოდან გასვლას არ აპირებდა, მაგრამ თუ მას დასჭირდებოდა სომხეთიდან ან რომელიმე ქვეყნიდან სადმე, თუნდაც ევროპაში წასვლა, ანუ დასჭირდებოდა მესამე ქვეყანაში გადასვლა, მაშინ ის ამას გამოიყენებდა! მსოფლიოში ამისი პრაქტიკა არის, სწორედ ამიტომ სჭირდებოდა მას ეს პასპორტი. თუ საქართველოში მასზე ძებნა გამოცხადდებოდა, ის ამ პასპორტით სადმე გადავიდოდა. ეს არის და ეს, ასე გაჰქრებოდა საზღვრიდანაც და იმ ქვეყნიდანაც. იქნებ სხვა გვარზე სხვა პასპორტი კიდეც ჰქონდა?

**— ესე იგი სააკაშვილის მთავრობა გაქცევის მზადყოფნაშია?**

— დიახ, და თანაც სერიოზულ მზადყოფნაში. იმასაც გეტყვით, რომ ასეთი პასპორტი ბევრ სხვასაც ექნება, მაგრამ დღეს სხვა დროა, ყველას დაეწევა სამართალი იქ, სადაც იქნებიან.

**— აქვე მინდა გკითხოთ ერთი რამ, თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, კარგად მოგეხსენებათ, რას წარმოადგენს საქმე, რომელიც გახლავთ გრიფით საიდუმლო. დღეს ეკონომიკის სამინისტრო განიხილავს და იძიებს პროკურატურასთან ერთად ბევრ ისეთ საქმეს, რომელსაც ახლავს სახელწოდება — „გრიფით საიდუმლო თანხები"?**

— პარლამენტში უნდა შეიქმნას ე.წ. „ნდობის ჯგუფი", რომელსაც ექნება უფლება ამ საქმის გამოძიებისა და ნახვისა.

აქვე მინდა დავძინო, ჩემთვის ცნობილია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში წლების განმავლობაში გრიფით საიდუმლოს იყენებდნენ, უკანონოდ და მას ანიჭებდნენ ისეთ საქმეებს, რომელიც რეგლამენტირებულია კანონმდებლობით. მოხელე, რომელიც უკანონოდ მიანიჭებს რომელიმე საქმეს „გრიფით საიდუმლოს", ის სჩადის ძალიან დიდ დანაშაულს, ეს უკვე კორუფციააა! ყველა დაფიქრდეს, როდესაც 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და თბილისის მერის არჩევნების შემდეგ თბილისის დასუფთავების სამსახურის ხარჯები საიდუმლოდ გამოცხადდა. ეს სწორია? ეს ნორმალურ ქვეყანაში ხდება? მეტსაც გეტყვით, ე.წ. სამხედრო შესყიდვები 2006-07 წლებში განხორციელებული „გრიფით საიდუმლო" რატომ იყო? მათზე ხომ მილიარდამდე დოლარია დახარჯული? რატომ იყო ეს ყველაფერი გრიფით საიდუმლო არ მესმის, რადგან მათზე გაწეული ხარჯები რუსულ ჟურნალ-გაზეთებში თავისუფლად ეწერა. ამ სამხედრო შესყიდვებთან დაკავშირებით ქვეყნები, ვისგანაც ჩვენ იარაღს ვყიდულობთ, გაეროს ატყობინებენ, საერთაშორისო ორგანიზაციებს აცნობენ, აბა, ჩვენთვის რატომ არის ის საიდუმლო? ხელშეკრულების საფუძველზე ხომ ეს ყველაფერი გამჭვირვალეა. ნატოს სამხედრო პირებისათვის ასეთი საქციელი სასაცილოა და გაუგებარი. სხვათა შორის, მაღალი რანგის უცხოელ სტუმრებზე გაწეული ხარჯებიც გასაიდუმლოებული ჰქონდა სააკაშვილის ხელისუფლებას მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ასწრებდნენ ტენდერების ჩატარებას დროულად! აქ როცა ჩამოდიოდნენ უცხოელი პრეზიდენტები, ის ხარჯებიც გასაიდუმლოებულია დღემდე!

**— შეძლებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი იმ დაპირებების შესრულებას, რასაც ის ხალხს შეჰპირდა?**

— მისი ყველაზე დიდი ქველმოქმედება იყო ის, რომ სოფელში ჩაუდგა არჩევნების წინ ოპოზიციას, რომელსაც უნარი არ შესწევდა რეჟიმის დამარცხებისა. მან ეს შესძლო, ასევე შეძლებს თანმიმდევრულად ყველა იმ გეგმის შესრულებას, რაც ერისათვის და სამშობლოსათვის მან დაისახა მიზნად. მას არ უყვარს პოლიტიკური მოღვაწეობა და არ იზიდავს პრემიერის სავარძელი. უბრალოდ, ეს არის ერთადერთი საშუალება იმისა, რომ ხალხს დაეხმაროს.

**— ბოლოს მინდა გკითხოთ, ფიქრობთ, რომ სააკაშვილი მიაღწევს ოქტომბრამდე?**

— მე რომ ვიცნობ მის ფსიქიკას, ამისი შანსები ძალიან მცირეა.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

## ირმა ინაშვილი ვლადიმერ ბედუკაძისთვის ბრალის შემსუბუქებას ითხოვს

მედიაკავშირ „ობიექტივის" დამფუძნებელი ირმა ინაშვილი ვლადიმერ ბედუკაძისთვის ბრალის შემსუბუქების თხოვნით პროკურატურას შუამდგომლობით მიმართავს.



როგორც ინაშვილმა დღეს გაზეთ „პრაიმ ტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბედუკაძის როლი ციხის სკანდალის გამოაშკარავების საქმეში.

ინაშვილი მთავარ პროკურორს ნდობას უცხადებს და ამბობს, რომ სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ციხეებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ამსახველი ვიდეო მასალის გამოძიებისთვის გადაცემა.

„დეტალური ინფორმაცია მე მივაწოდე საგამოძიებო ორგანოებს. ჩვენ ვართ მართალი ამ საქმეში. ჩვენი ყოველი ნაბიჯი იყო ზნეობრივი, წესიერი, არავინ გადაგვიგდია, არანაირი ორი და ხუთი მილიონი არ აგვიღია. თუმცა პირდაპირ გეტყვით, დღეს რომ ვინმე გამოვიდეს ინიციატივით და მაჩუქოს ეს 2 მილიონი, საჯაროდ ავიღებ და თქვენს წინაშე მადლობასაც გადავუხდი", — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ ირმა ინაშვილმა პროკურატურას იმ ვიდეო მასალის დედნები გადასცა, სადაც ციხეებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებია ასახული. ნამდვილობის დადასტურების მიზნით პროკურატურას ის აპარატურაც გადაეცა, რომლითაც კადრებია გადაღებული. ბედუკაძის საქმესთან დაკავშირებით ირმა ინაშვილი გუშინ დაკითხვაზეც იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ვიდეომასალის ავტორი ვლადიმერ ბედუკაძეა, რომელიც ამჟამად ემიგრაციაში იმყოფება. მის წინააღმდეგ საქმე წინა ხელისუფლების მმართველობისას არის აღძრული. მას ბრალი ედება პატიმრების წამებასა და არაჰუმანურ მოპყრობაში.

„მედიინფო"



# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**- რა იგულისხმება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობაში?**

- საქმე ეხება ზიანის ანაზღაურების მოვალეობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით,იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

* * *

**- შეიძლება თუ არა გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვა?**

- შეიძლება. ამგვარს ითვალისწინებს სამოქალაქო კანონმდებლობა. კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რცენა, მას უფლება აქვს, დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

* * *

**- ვცხოვრობ ქირით. შემიძლია თუ არა, ამ ბინის ნაწილი მივაქირავო სხვა პირს?**

- შეიძლება. ასეთს ითვალისწინებს სამოქალაქო კანონმდებლობა, გარკვეული პირობით. კერძოდ:

-სამოქალაქო კოდექსის 549-ე მუხლის მიხედვით, დამქირავებელს არა აქვს უფლება, გამქირავებელი ნივთი გამქირავებლის თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს. ანუ, აქ იგულისხმება, რომ დამქირავებელს აქვს, გააქირავოს დაქირავებული ნივთი,თქვენს შემთხვევაში, ბინის ნაწილი.სამოქალაქო სამართალში აღნიშნულ ქმედებას ქვექირავნობას უწოდებენ. ასევე, გეტყვით, რომ მესამე პირებად არ მიიჩნევიან დამქირავებლის ოჯახის წევრები.

* * *

**- რას ნიშნავს სამისდღემშიო რჩენა და შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების დადება სანოტარო წესის გარეშე?**

- საქართველოს სამოქალაქო კიდექსის 941-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას /მარჩენალი/, მოვალეა, გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს / სარჩენს/ მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით / ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით/.

ამავე კოდექსის 942-მუხლის მიხედვით, სამისდღეშიო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელსეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

თქვენი შეკითხვის შინაარსიდან გამომდინარე, დაგიკონკრეტებთ, რომ თუ სამისდღეშიო ხელშეკრულების საგანი არის ბინა, მიწის ნაკვეთი / უძრავი ქონება/ კანონი იმპერატიულად მოითხოვს სანოტარო წესით დადასტურებას, მაგრამ თუ ხელშეკრულების საგანი არის ავტომანქანა, ძვირფასეულობა და ა, შ / მოძრავი ნივთი/, არ არის სავალდებულო ხელშეკრულების დადება სანოტარო წესით.

* * *

**- ჩემი მეგობარი იმყოფებოდა 13 წლის მანძილზე ფაქტობრივ ქორწინებაში. მათ ჯვარი ჰქონდათ დაწერილი, სამოქალაქო ქორწინება კი არ გაუფორმებიათ. შვილი არ ჰყავდათ. მეუღლე გარდაიცვალა. ჩემი მეგობარი დარჩა მემკვიდრეობის გარეშე. სამკვიდრო გარდაცვლილის დებმა გაინაწილეს. რა ფორმით შეიძლება, ჩემმა მეგობარმა მიიღოს თავისი წილი?**



- სამწუხაროდ, ვერაფრით დაგამშვიდებთ, რადგან მეუღლეთა შორის ყოველგვარ სამართლებრივ შედეგს იწვევს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება და არ ჯვრისწერა. ვინაიდან, თქვენს მეგობარს არ ჰქონდა ხელი მოწერილი მეუღლესთან, ის არ ჩაითვლებოდა პირველი რიგის მემკვიდრედ და დარჩენილი სამკვიდრო, კანონის შესაბამისად, განაწილდებოდა, მეორე რიგის მემკვიდრეებზე - მოცემულ შემთხვევაში, დებზე.

თავმოსულელებულნი.

ყველას გვახსოვს ამასწინათ მომხდარი კურიოზულ-კრიმინალური შემთხვევა — ვანო მერაბიშვილის პასპორტის ნაცვლად გამშვებ-კონტროლიორს ვინმე ლევან მაისურაძის პასპორტი მიაწოდეს, სადაც ბატონი ვანოს ფოტო იყო ჩაკრული.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებამ ბევრი იმუშავა, დაჰკითხა თვით ვანო მერაბიშვილიც, მაგრამ პასპორტის წარმომავლობის ბურუსით მოცული საიდუმლოება მაინც ვერ ამოხსნა.

თუმცა, როგორც კონფიდენციალურმა წყარომ გვაცნობა, საიდუმლოება უკვე ამოხსნილია.

# sensaciuri informacia

## ლევან მაისურაძის ვინაობა დადგენილია, ის ვანო მერაბიშვილის ტყუპისცალია!

როგორც წყარო ამბობს, თურმე ამასწინათ ბატონ ვანოს წერილი მიუღია ლევან მაისურაძისგან, რომლის შინაარსსაც ახლავე გაგაცნობთ: „ძმაო ვანო, მე შენი ძმა ვარ, ლევანი, შენი ტყუპისცალი. ჩვენი ერთი კვერცხუჯრედიდან გავჩნდით, მაგრამ მუხთალმა ბედისწერამ ერთმანეთს დაგვაშორა. (როგორ და რანაირად მოხდა ეს ამბავი, ამას პირადად რომ შეგხვდები, მაშინ მოგიყვები).

მე გაფაციცებით ვადევნებდი თვალს შენს ყოველ ნაბიჯს. მიხაროდა და მეამაყებოდა შენი წარმატებები, შენი აღმასვლა კარიერის კიბეზე.

შენ რომ უშიშროების მდივანი გახდი, მე მაშინ მშენებლობაზე ვმუშაობდი „მალიარად". ერთხელ მუშებმა მკითხეს, შენ ვანო ხომ არ ხარ, მერაბიშვილიო? — დიახ-მეთქი, — ვუპასუხე. — მერე აქ რა გინდა, შე დალოცვილოო? — დაეჭვდნენ. — რა მინდა და ქვეყნის მშენებლობაში ჩემი წვლილი ხომ უნდა შევიტანო-მეთქი? — იქით შევუბრუნე კითხვა.

შენ რომ შინაგან საქმეთა მინისტრი გახდი, მე ერთ-ერთ საავადმყოფოში სანიტრად მოვეწყვე.

შენი ბიჭების მიერ ნაცემნაბეგვი ხალხი რომ დამინახავდა, ყვირილს იწყებდნენ: — აქაც ვანოა, გვიშველეთო, მაგრამ მე ვამშვიდებდი, ვაწყნარებდი და ისე გულისხმიერად და ისეთი სიყვარულით ვუვლიდი, აქედან რომ მიდიოდნენ შენს მზეს ფიცულობდნენ — ეს რა ოქროს გულის კაცი ყოფილაო.




ცხვირი გავს? — გავს! ტუჩი გავს? — გავს! ესე იგი გავს!

როგორც შემეძლო და რანაირადაც შემეძლო, პიარს გიკეთებდი, ძმაო, ჩემო საყვარელო ტყუპისცალო.

ახლა იმიტომ გამოვჩნდი, ვიცი, საფრთხე გემუქრება და გაჭირვებაში ხომ არ მიგატოვებ?

ვიცი, დაჭერას გიპირებენ, ეს უმადურები და გადავწყვიტე, საქმე ისე მოვაწყო, შენს ნაცვლად მე დამიჭირონ.

წინასწარ ვარ შეგუებული იმ აზრს, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს მომიწევს ჩაჯდომა, მაგრამ ეგ არაფერი — ჩემთვის ნუგეშად ისიც იკმარებს, რომ შენს მიერ აშენებულ ციხეში ვიჯდები.

წადი, გაიქეცი, ძმაო, დროზე გააღწიე აქედან, და შენს თავს მიხედე, მე კი შენს ნაცვლად ვივლი დაკითხვებზე და ბოლოს, როგორც ვთქვი, შენს ნაცვლად ჩავჯდები.

ჰო, მართლა, მეც ზუსტად იმ ადგილას მაქვს ხალი, სადაც შენ გაქვს...

წადი, ძმაო, გაიქეცი, სანამ დროა...

სიყვარულით —

შენი ტყუპისცალი ლევანი"

აი, ასეთია ამ ახლართულ-ჩახლართული ისტორიის თავი და ბოლო.

ეჰ, მართლაც რა მოულოდნელობებით არის სავსე ეს მუხთალი წუთისოფელი?

**P.S. ეს ამბავი რომ „გაიასნებულა", ვანოს უთქვამს: — არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ ჩემს ნაცვლად ჩემი დაკარგული ძმა ჩაჯდეს. მაგას ისედაც იმდენი ტანჯვა-წამება გადაუტანია თურმე, ახლა ჩემს მაგივრადაც რატომ უნდა იწვალოს — მე თვითონ ჩავჯდებიო.**

**აი, ასეთი ძმობა იციან საქართველოში...**

# samoTxis gamyaLbebLebi

## ნაცმოძრაობის იდეოლოგებო — აკოებო, კაკოებო, კიკუებო, გიგუებო, ბოცოებო, ოჩიაურებო, დარჩიაშვილებო, გაბაშვილებო, ხერხეულიძეებო — თქვენ გაცილებით დიდი დამნაშავეები ხართ, ვიდრე ისინი, ვინც დღეს ციხეებში სხედან

— თუ ბაჩო ახალაია დამნაშავეა, მაშინ მეც დამნაშავე ვყოფილვარ და მეც დამიჭირეთო, — თქვა აკო მინაშვილმა.

დაგვიჭირეთო, ითხოვენ თეა, გიგი, ბოცო, ხათუნა, ეკა და „ნაციონალების" კიდევ სხვა იდეოლოგები, თუმცა მათ ამ თხოვნას ჯერჯერობით არავინ უსრულებთ მათ არავინ მოუკლავთ, არავინ გაუძარცვავთ, ქონება არავისთვის წაურთმევიათ, პატიმრები არ უწამებიათ და უდანაშაულო ადამიანებს, აბა, ვინ დაიჭერს?

თუმცა არიან თუ არა სინამდვილეში ეს ადამიანები ეს კიდევ საკითხავია.

„ნაცმოძრაობის" მიერ მიღებული კანონების მიხედვით ისინი ნამდვილად არიან დამნაშავეები, რადგან ადრეც და ახლაც ინტელექტუალურ მხარდაჭერას უწევდნენ და დღემდე უწევენ ადამიანებს, რომლებიც კრიმინალურ ქმედებებში არიან ეჭვმიტანილნი.

განა ემზარ კვიციანისთვის ინტელექტუალური მხარდაჭერის ბრალდებით არ დაიჭირეს „ნაციონალებმა" ირაკლი ბათიაშვილი და რამდენიმე წელი ციხეში არ გამოკეტეს?

მერაბიშვილები, შაშკინები, კეზერაშვილები, ახალაიები, ადეიშვილები, სხვანი და სხვანი, ვინმეზე ნაკლები დამნაშავეები არიან, რომ მათთვის ინტელექტუალური მხარდაჭერა, მათი ცოდვების გათეთრება და მათი უცოდველობის მტკიცება „ნაციონალების" მიერ მიღებული კანონებითვე არ დაისაჯოს?

ვფიქრობთ, „ნაციონალური მოძრაობის" იდეოლოგები, რომლებიც წლების განმავლობაში ტვინს ურეცხავდნენ ადამიანებს, ახდენდნენ მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, თეთრს შავად წარმოაჩენდნენ და შავს თეთრად, პიარტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებით აშკარად კრიმინალურ ქმედებებს ამართლებდნენ და ამ ქმედებების ჩამდენებს გმირებად აცხადებდნენ, არანაკლები დამნაშავეები არიან, ვიდრე ისინი, ვინც დღეს ციხეებში სხედან, ან ისინი, ვინც მომავალში უნდა ჩასვან.




უფრო მეტიც, რომ არა „ნაცების" იდეოლოგთა წახალისება და წამქეზებლობა, შეიძლება, ბევრს არც ჩაედინა ესა თუ ის კონკრეტული დანაშაული და დროზე მოსულიყო გონს.

რომ არა ნაცმოძრაობის იდეოლოგების მიერ დამკვიდრებული მახინჯი გარემო, სადაც სისასტიკე, კაცთმოძულეობა, კლანური მენტალიტეტი, მტრის ხატის მუდმივი ძიება, ბევრი მათგანი, ვინც დღეს ციხეში ზის ან დაპატიმრების შიშით ქვეყნიდან არის გაქცეული, ადვილი შესაძლებელია, ჩვეულებრივი, წესიერი მოქალაქეები ყოფილიყვნენ.

ისინი არ დაბადებულან დამნაშავეებად, დამნაშავეებად ისინი იმ რეჟიმმა აქცია, რომლის იდეოლოგიური ხერხემალი აკოებმა, გაკოებმა, გიგიებმა, ხათუნებმა, თეაკოებმა, ბოცოებმა „შეაკოწიწეს" და „ნაციონალურ ყალიბში" ჩამოასხეს.

ისინი, ეს „ნაცისტურ-ფაშისტური" შეფერილობის იდეოლოგები, დღემდე აგრძელებენ ქართველი ხალხის შეურაცხყოფას და აბუჩად აგდებას, დღემდე გვიმტკიცებენ, რომ ის ჯოჯოხეთი, რაც ქართველმა ხალხმა ამ ცხრა წლის განმავლობაში გამოიარა, ჯოჯოხეთი კი არა, სამოთხე იყო.